„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე



ლიტერატურული მესხეთი

№3 (183)
მარტი
2014 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეთეძვსმეტე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

მესხეთ-ჯავახეთი

საფარა


ნუნდა

ბორჯომი

გადმოვლახეთ მთა და სერი,
მოვიარეთ ჰანგ ძლიერი,
მშვენიერზე მშვენიერი იმერეთი,
ქართლ-კახეთი,
ჟამთა ცელმა ვერ აჩალა
თვალწარმტაცი მთა და ჭალა,
და ჰა, თვალწინ გაიშალა
ძველი მესხეთ-ჯავახეთი!
აქ ვარძიის მკვიდრ სავანეს
ტბა ანათებს თაფარავნის,
მთა მრავალი ამირანის,
მრავალ საუკუნის სვეტი...
იყოს მრავალ-ჟამიერი,
უძველესი ჩვენი ერი,
მისი სახე, მისი ფერი,
მისი მესხეთ-ჯავახეთი!
ვნახულობდით მთებში მწყემსებს
და ვმღერიდით ახალ ლექსებს,
რომ დროს გაუკეთესებს
შრომა მხვნელი, შრომა მჭედი,
რომ მშვიდობა არ თავდება,
რომ მზე ამოთავთავდება
და კვლავ უფრო აყვავდება
ჩვენი მესხეთ-ჯავახეთი!
ამოძრავდეს მთა და ქედი,
გამობრწყინდეს ქართლის ბედი,
ახმაურდეს ვეფხი მეტი,
მეტის ძალით და იმედით, –
დღეგრძელობდეს მესხი, თან ის,
მესხი – უახლოეს ხანის,
მესხი „ვეფხისტყაოსანის“,
მესხი მესხეთ-ჯავახეთის!

ვალერიან გოგიტიძე

კუმურდო


ზარზმა

საღამოს ტბა

კონკურსი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს კონკურსს მესხეთის თემატიკაზე.

საკონკურსო მასალა მიიღება დევიზით: **ერთი კონვერტით იგზავნება ლექსი (ლექსები) და დევიზი; მეორე კონვერტით – ავტორის გვარი, სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსის (ლექსების) ჩამონათვალი. (კონვერტზე უნდა მიეთითოს სახელწოდება – „კონკურსისათვის“, დაუშვებელია ავტორის ვინაობის დაფიქსირება).**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს.

დაწესებულია ერთი პრემია ა(ი)იპ სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტისაგან – 500 ლარი.

გამარჯვებულს პრემია გადაეცემა „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე – შოთაობაზე“.

საკონკურსო ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ დაბეჭდილი ფორმით.

ამასთან, გამოსაცემად მზადდება წიგნი – „ქართველი პოეტები – მესხეთს“, სადაც კონკურსზე წარმოდგენილი ყველა საუკეთესო ლექსი შევა ამ კრებულში.

საკონკურსო მასალა უნდა გამოიგზავნოს მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე შემდეგ მისამართზე:
0500, ასპინძის რაიონი, დაბა ასპინძა, თამარის ქუჩა №3
გაზეთის – „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.

ტელ. 599979524

ცხოვრება ქრისტიანისა

„ამპარტავნებისაგან იშობებიან შეურაცხება მოყვასთა,
სიძულილი ძმათა, უმორჩილოება უხუცესთა თვისთა,
მრისხანება უდარესთა თვისთა და ამათ გამო იშვების
ბრძოლა და კაცის კვლა“...
სულხან-საბა ორბელიანი

დედამიწაზე დაახლოებით ექვსი მილიარდი ადამიანი ცხოვრობს.

პლანეტაზე მცხოვრებთა ამ საერთო რაოდენობიდან, გარკვეული ნაწილი ქრისტიანია და, ბუნებრივია, ქრისტიანული ცხოვრებისაკენ ისწარფვის. მათ კარგად აქვთ შეგნებული, რომ ყოველივე, რაც კი გააჩნიათ, მხოლოდ ღმერთისაგანაა და მისი ნების საწინააღმდეგოდ ერთი ნაბიჯის გადადგმა აზრადაც არ მოუვათ. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, ზოგჯერ ასეც ხდება:

– მიაღწევს კაცი ცხოვრებაში მრავალ სიკეთეს: შექმნის ოჯახს, მოიხვეჭს მატერიალურ სიმდიდრეს, სამუშაო ადგილითაც კმაყოფილია და მაშინვე... ივიწყებს უფალს, მიიჩნევს რომ, ეს საკუთრივ მისი დამსახურებაა და არა ღვთის წყალობა.

ყოველივე ამას, ამპარტავნებაში ჩავარდნა ჰქვია და საკმაოდ გახშირებულ ცოდვად გვევლინება.

აი, რას ამბობს ამის შესახებ ჩვენი სულიერი ცხოვრების უდიდესი მოძღვარი, – წმინდა ანტონი დიდი:

– „ყოველნი ცოდვანი საძაგელ არიან წინაშე ღმრთისა, გარნა ყველაზედ უსაძაგლესია ამპარტავნება“.

ამპარტავნების გამო დაკნინდა ეშმაკი და სწორედ ამიტომ მოაკლდათ სამოთხისეული ნეტარება ჩვენს პირველ წინაპრებს (ადამს და ევას), რომლებმაც მოიწადინეს გაღმერთება და კეთილისა და ბოროტის შეცნობა.

ხშირია ჩვენ მიერ ჩადენილი სიტყვიერი თუ საქმითი ცოდვა მოყვასის და აქედან გამომდინარე, ყოვლისშემძლე უფლისადმი, რის გამოც, ფიზიკურად გარდაცვალების შემდეგ, ადამიანს აკლდება ზეციური საუკუნო ნეტარება.

მოკლედ, ღვთიურ ჰარმონიას, ამპარტავნებისა და დაუჯერებლობის გამო, საკუთარი სურვილით განეშორნენ პირველქმნილი ადამიანები. მიუხედავად ამისა, შემოქმედს მათზე მზრუნველობისთვის არასოდეს მიუნებებია თავი.

ასეთ მოვლენაზე ბრძანებს ღვთის მეტყველი ვასილი დიდი:

– „შენ მარადის მწყალობ და მე განგარისხებ, შენ სინანულად მომიწოდებ და მე ურჩ გექნები, შენ მხადი და მე გელტვი, ესრეთ ყოვლითურთ წინააღმდგომ შენდა არს ცხოვრებაი ჩემი“.

ჩვენი დედაეკლესიის ბრძენი მამამთავარი, – ილია მეორე, დიდებულად ბრძანებს თავის ერთ-ერთ ეპისტოლეში:

– „უფალი ჩვენგან არაფერს ითხოვს, ოღონდ ჩვენივე გადარჩენისათვის გვთავაზობს, ჩავჭიდოთ ხელი მის მხსნელ მარჯვენას და ჩვენი გული და სული მისკენ მივმართოთ, რათა ღვთის მადლით ცოდვის ჭაობს განვეშოროთ და შიგ არ დავინთქათ“.

მათეს სახარებაში წერია, რომ კაცის მკვლელს, ამპარტავანს, ხარბს, უგულოს, უსამართლოს ღმერთი საშინელ სამსჯავროზე წარდგენისას უბრძანებს:

– „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნოსა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოსთა მისთათვის“.

ადამიანისათვის შეუძლებელია ცოდვისაგან სრულად განრიდება. ამიტომ ჩადენისთანავე წრფელი გულით უნდა შევთხოვოთ ყოვლადუზენაესს შენდობა და ვეცადოთ, მომავალში განვერიდოთ უღირს საქციელს. კარგად გვახსოვდეს, რომ უნებლიედ, ზოგჯერ თვით უდიდესი წმინდანებიც კი სცოდავენ, მაგრამ მაშინვე სწუხან ამაზე.

მაგალითისათვის გავიხსენოთ ბიბლიური გმირი, – წმინდა მეფე და წინასწარმეტყველი დავითი, რომელმაც ჩადენილ ცოდვათა გამო, ასეთი ფრაზა წარმოსთქვა:

– „დავშვერი მე სულთქმითა ჩემითა, დავბანო მარად ღამე ცხედარი ჩემი, ცრემლითა ჩემითა სარეცელი ჩემი დავალტო“.

დროული იქნება, აქვე გავიხსენოთ მაცხოვრის უსაყვარლესი მოწაფე, – წმინდა პეტრე მოციქული.

ეკლესიური გადმოცემით, ის მამლის ყივილის ნებისმიერ გაგონებაზე საწოლიდან დგებოდა, გარეთ გადიოდა და მიწაზე დამხობილი ცხარე ცრემლით ტიროდა იმ ცოდვაზე, როცა იესო ქრისტე უარყო.

წუთისოფელში ყოფნის მთელ მანძილზე ნანობდა პეტრე მოციქული თავის საქციელს და გულწრფელად ევედრებოდა უფალს პატიებას.

მიწიერი ცხოვრებისეული ჭეშმარიტებიდან გამომდინარე ბრძანებს წმინდა ღვთისმეტყველი იოანე ოქროპირი:

– „ვითარცა შემდეგ დიდის წვიმისა, იწმინდება ჰაერი, ეგრეთვე შემდეგ ცრემლთა ფრქვევისა, დადგება მყუდროება და სიწმინდე, და ბნელი ცოდვისა განქრების“.

აქვე მახსენდება დიდი მღვდელმსახურის, მიტროპოლიტ წმინდა დიმიტრის წარმოთქმულიც:

– „გლოვა ცოდვათათვის, განბანს სულსა, განასპეტაკებს ყოველსა სიბნელესა, განსწმენდს სვინდისსა, განანათლებს გონებასა, განხსნის ცოდვისა საკრეველთა, წაბღალავს ხელწერილსა ყოველთა უსჯულოებათა“.

სიმშვიდე და თავმდაბლობა მართლმადიდებელი ქრისტიანის განუყოფელი მეგზურია. წუთისოფლისათვის დამახასიათებელი მავნე ჩვევებიდან გამომდინარე, უფროსი თუ უმცროსი, მეგობარი ან სრულიად უცნობი ადამიანიც კი, შეგნებულად და, შეიძლება მისდაუნებურადაც, გვაწყენინებს სიტყვიერად, ზოგჯერ საქმითაც. ასეთ დროს, ჭეშმარიტი ქრისტიანია ის, ვინც თავს შეიკავებს, არ განრისხდება და მოთმინებით აიტანს წყენას.

ამ საქციელით მივბაძავთ უფალს, რომელმაც ჯვარცმის დროსაც კი დაითმინა, არ დაჰგმო დამნაშავე ხალხის მასა, ევედრა ყოვლადუზენაეს განგებას მათი სულების შეწყნარებას და შესთხოვა, არ დაესაჯა ისინი.

ქრისტიანი კაცი, როგორც წესი, ცდილობს ხმა არ აიმაღლოს, ბოროტება არ მიაგოს ბოროტების წილ და შეურაცხყოფა – შეურაცხყოფისათვის.



ყოვლადმოწყალე უზენაესი გვასწავლის:

– „მიუტევნეთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქუენც მამამან თქუენმან ზეცათამან, ხოლო უკეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან მოგიტევნეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი“.

ქრისტიანისათვის დამახასიათებელია სათნოებითა და სამართლით ცხოვრება. ასეთი ადამიანები ისე ესწრაფვიან ცხოვრების ამგვარ წესს, როგორც მშიერნი – პურს და მწყურვალნი – წყალს.

საზოგადოების გარკვეული ნაწილი თვლის, რომ პატიოსნად ცხოვრება შეუძლებელია. მათ გასაგონად ხმამაღლა უნდა ითქვას:

– გალაღებული ცხოვრება ჯოჯოხეთში მიმავალია და ფართო, ცოდვილიან გზას ჰგავს, ხოლო ღვთის სასუფეველთან მიმავალი გზა კი ვიწრო ბილიკია და მისი გავლა მხოლოდ სასარგებლო შრომითა და ტანჯვითაა შესაძლებელი.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება დიდი იოანე ოქროპირის ნაბრძანები:

– „სათნოების საქმეში დასაწყისია ძნელი, ხოლო განგრძობა სასიამოვნო: სათნოების გზაზედა რამდენადაც მომეტებულ მიისწრაფი წინ იმოდენად შეგიმსუბუქდება გზა შენი“.

იმავე ღვთისმეტყველის წარმოთქმულია ცნობილი ფრაზაც:

– „ღმერთი შეგვიმსუბუქებს ჩვენ სათნოების ღვაწლსა არა მხოლოდ სასოებითა მომავალს კეთილთაზედა, არამედ სხვა ღონისძიებითაც, ესე იგი სამარადისო თვისის მიმადლებულის ხელის აღპყრობითა და შეწევნითა“.

ქრისტიანს მოწყალების თვისებაც აქვს. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ მოვიშველიოთ იოანე ოქროპირი, რომელიც ბრძანებს:

– „მოწყალება არს დედოფალი სათნოებათა“.

გვწამდეს, რომ სხვათა ხელის გამმართველს, უფალი ზურგს არ შეაქცევს და არც ხელს კრავს, რადგან თანადგომით არამარტო მოყვასს ვეხმარებით, არამედ ვეხმარებით და ვახარებთ მაცხოვარს.

ქრისტიანი კაცი საკუთარი გულის სიწმინდეზე მზრუნველია. მას არ შურს მოყვასის წარმატება-წინსვლა, არც სიმდიდრე და დალხინებული ყოფა, რადგან სწამს, რომ საუკუნო დიდების მისაღწევად საკმარისი როდია მხოლოდ გარეგნულად გამოვიყურებოდეთ სანიმუშოდ, აუცილებელია საქმე ვაკეთოთ სუფთა, წრფელი გულით და არა ვინმეს დასანახად. სწორედ ამაზეა თქმული მათეს სახარებაში:

– „ჩვენის ცხოვნებისათვის საკმაო არ არის გაუმჯობესება გარეგანის ყოფაქცევისა, არამედ საჭიროა განწმენდა გულისა. მხოლოდ წმიდანი გულითა იხილვენ ღმერთსა“.

მიუღებელი გულის წადილი და სურვილი შორსაა ქრისტიანისაგან. მათი აღმოფხვრით ნადგურდება თესლი, რომლისგანაც შემდგომში ყოველგვარი ბოროტება და არაადამიანური საქმე წარმოსდგება.

გულის განსაწმენდად კაცთმოყვარული ცხოვრება, საღმრთო ლიტერატურასთან დაახლოება, მხურვალე ლოცვა და სასიკეთო შრომის გაწევაა საჭირო.

სისხლხორცეულად უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ უფალი მფარველობს მშვიდობის მოყვარულ ადამიანებს, მოგვიწოდებს ურთიერთთანხმობისა და სიამტკბილობისაკენ, გვასწავლის მიტევებით ცხოვრებას, კინკლაობის უგულვებელყოფას; უფრო მეტიც, მოგვიწოდებს, როგორმე მოვახერხოთ მომდურავთა შერიგებაც კი. ამის შესახებ, საგულისხმოა წმინდა გრიგოლ ნოსელის წარმოთქმული:

– „რომელიც დაამშვიდებს გადამტერებულთა, იგი ჰყოფს დიადს ქველს საქმესა და სამართლიანად შეუძლიან იწოდოს ნეტარად; იგი იქმს საქმესა ღმრთისა ძალისასა, განაქარვებს რა კაცობრივს ბუნებაში ბოროტსა და მის მაგიერ შთანერგავს ზიარებასა (ერთობასა) კეთილთასა“.

ადამიანი, რომელიც საკუთარი სულიდან განდევნის მტრობის, შურისძიების, შფოთის და სხვა ბოროტ თვისებებს, ახარებს უფალს; მათთვის მფარველ ხელს არ დაიშურებს მამაზეციერი!...

ქრისტიანი, უპირველეს ყოფლისა, სიმართლის მოყვარულია და მისი საქმიანობა სიკეთისკენაა მიმართული, წმინდანთა მსგავსად, მუდამ მზადაა უყოყმანოდ სიცოცხლეც კი გაიღოს უფლისათვის, თუ ამას შექმნილი მდგომარეობა საჭიროებს.

უფლის დიდება საკუთარი სულის უკვდავების გარანტიაა. სულიერად ამაღლებაა საჭირო იმ დონემდე, რომ ყოველგვარ ბოროტ ზრახვაზე (ღალატი, ამპარტავნება, შურისძიება, ტყუილი, გამდიდრებისაკენ ლტოლვა, თვითკმაყოფილება...) უარი ვთქვათ, უცხო და მომწამვლელ ხილად მივიჩნიოთ და გამეტებით, ხელის კვრით უფსკრულში გადავუძახოთ.

გვახსოვდეს, ყოვლადუზენაესს სასუფეველი ემეტება მხოლოდ მათთვის, რომლებიც ცდილობენ ამქვეყნიური ცხოვრების გზა, მიმსგავსებულად მაინც გავლონ ისე, როგორც ეს მაცხოვარმა ჩვენმა და წმინდანებმა შეძლეს.

მათეს სახარებაში ვკითხულობთ:

– „ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყვიდნენ ხორცნი, ხოლო სულისა ვერ ხელეწიფების მოკლვად; არამედ გეშინოდენ მისა უფროს, რომელი შემძლებელ–არს სულისა და ხორცთა წარწყმედად გეენიასა შინა“.

მრავალსაუკუნოვანმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ დაანახა კაცობრიობას, რომ აუცილებელია უფლისმიერი წესით ცხოვრება და ბოროტების ყოველგვარი ფორმის დაძლევა.

ადამიანი ვალდებულია იცხოვროს მშვიდობის, ურთიერთსიყვარულის და თანადგომის პრინციპებზე აგებული წმინდა კანონებით, რომელსაც გვიქადაგებს საღმრთო სიტყვა; თუმცა, ჩვენი გონება დღემდე ვერ ეზიარა ცხოვრების აუცილებელ წესს, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ვერ შეიგნო ეს აუცილებლობა; უფრო მეტიც, ზურგი შეაქცია რეალობას. სწორედ ესაა მთავარი მიზეზი იმისა, რომ აქამდე შფოთავს ჩვენი პლანეტა. სახეზეა გაუთავებელი ომები, ხალხის დანაშაულებრივი უაზრო ხოცვა-ჟლეტვა, რაც არამარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც დიდ საფრთხეს უქმნის მთელ მსოფლიოს და გარდაუვალი კატასტროფით ემუქრება მას.

მოკლედ, მრავალი ცოდვა გვაწევს მხრებზე და გვამძიმებს. ამაზე დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი და მასზე საუბარს, იმედს ვიტოვებთ, ღვთის წყალობით, მომავალშიც გავაგრძელებთ...

ძვირფასო მკითხველო, წერილის დასკვნით ნაწილში, გავიხსენოთ („ბიბლია“, ახალი აღთქმის წიგნი – „გალატელთა მიმართ“, 5. 14-26) უფლის მიერ ნაბრძანები.

– „... გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. ხოლო თუ ერთიმეორეს კბენთ და ჭამთ, ფრთხილად, სულაც არ ამოწყვიტოთ ერთმანეთი.

მე ვამბობ: სულისაებრ იარებოდეთ, და ნუ აღასრულებთ ხორციელ სურვილს. რადგან ხორცს სულის საპირისპიროდ სურს, და სულს – ხორცის საპირისპიროდ. ისინი ერთიმეორეს ეურჩებიან, რათა ვერ იქმოდეთ იმას, რაც გსურთ. ხოლო თუ სულისაებრ იქცევით, არა ხართ რჯულის ქვეშ. ხორცის საქმენი აშკარაა, ესენია: სიძვა, უწმინდურობა, ბილწება, კერპთმსახურება, მწამვლელობა, მტრობა, შუღლი, შური, რისხვა, განხეთქილება, მწვალებლობა, სიძულვილი, მკვლელობა, მემთვრალეობა, ლირწება და სხვა მისთანანი. წინასწარ გეტყვით, როგორც უკვე მითქვამს წინასწარ, რომ ამის მოქმედნი ვერ დაიმკვიდრებენ ღმერთის სასუფეველს. ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება, სიტკბოება, რწმენა, თვინიერება, თავშეკავება, ამათ წინააღმდეგ არ არის რჯული. ხოლო მათ, რომელნიც არიან ქრისტესნი, ჯვარს აცვეს ხორცი მისი სურვილებით და ვნებებით. თუ სულით ვცოცხლობთ, სულსავე უნდა მივსდევდეთ. ნუ ვიქნებით ცუდმედიდნი, ერთმანეთის გამომწვევნი, ერთმანეთის მოშურნენი...“

ქრისტიანის მთავარი ვალდებულება ყოვლადწმინდა სამების და მრავალრიცხოვან წმინდანთა დასის სიყვარული, გულწრფელი პატივისცემა, მათ სამართლიანობასა და ყოვლადძლიერებაში ღრმა დაჯერებაა.

რწმენაში განმტკიცებას მხოლოდ ეკლესიურად განათლებულნი, ქრისტიანული ეკლესიის განვლილი გზისა და მისი დღევანდელობის სწორად აღმქმნენი აღწევენ.

მახსენდება ძველი აღთქმის პერიოდის პატიოსანი, ღვთის უსაზღვროდ ერთგული უმდიდრესი იობი, – კაცი, რომელიც ეშმაკის დაჟინებული მოთხოვნით, ყოვლადუზენაესმა მაცდურის დასანახად ერთგულებაში გამოსცადა; რაც კი რამ გააჩნდა, მთლიანად გაუნიავა, შემდეგ ესეც არ აკმარა და შვილები დაუხოცა იობს, თავადაც მძიმე სენი შეჰყარა. ზეზეულად გამოფიტულ, მატლებდასეულ და აუტანელი ტკივილებით გათანგულს, ერთი სასაყვედურო სიტყვაც არ დასცდენია ყოველივეს განმკარგავის მიმართ; პირიქით, ასეთ ყოფაში ჩავარდნილი, კიდევ უფრო ხშირად და მადლიერებით მიმართავდა უფალს:

– „უფალმა მომცა, უფალმა წაიღო, კურთხეულ იყოს უფლის სახელი“.

ღმერთმა, ურწმუნოებს ამით დაანახა რწმენაში ღრმად განმტკიცებული იობის ჭეშმარიტი სახე და... აღუდგინა გარდასული ბედნიერი ცხოვრება, შვილებიც გაუცოცხლა.

გული არ მომითმენს, რომ აქ არ გავიხსენო ჩვენი საყვარელი თევდორე მღვდლის მიერ გაწეული უსაზღვრო თავგანწირვა ღმერთის, სამშობლოსა და მოყვასისადმი.

1609 წელი იდგა.

ქართლში ხმა გავარდა: თათარხანი ოსმალ-ყირიმელთა ოციათასიანი მხედრობით თრიალეთს მოადგაო. გაგზავნეს ამბის დასაზუსტებლად რამდენიმე კაცი, თან გზების ჩახერგვაც დაავალეს, რათა მტერს შემოსვლა გასჭირვებოდა.

წარგზავნილებმა დავალება კი შეასრულეს, გზებიც ჩახერგეს, მაგრამ მომხვდურთა მოლოდინში ჩასაფრებულებს, ადამიანურმა სისუსტემ დაძლია და... ჩაეძინათ.

სწორედ იმ დროს, მოულოდნელად, თათრები წამოადგნენ თავზე და მთვლემარენი ერთიანად ამოხოცეს.

მაშინ მეფე ლუარსაბ მეორე ცხირეთში იმყოფებოდა ამალით. შემოვიდნენ ოსმალ-თათრები, გადაწვეს მანგლისი და კველთა, სადაც წააწყდნენ ღვთის უზომოდ მოყვარულ პატიოსან მღვდელ თევდორეს, რომელიც, რაღა თქმა უნდა, მეფის უერთგულესიც იყო.

ტყვედ აყვანილ მოძღვარს გზაში გამეტებით სცემეს და უბრძანეს მეფის სამყოფელში წაძღოლა, რადგან გულით ეწადათ ერის წინამძღოლის შეპყრობა.

თავდადებულმა, მართალმა მღვდელმსახურმა იფიქრა: ჩემი

→

 პროზა

ბაია მაჩიტიძე

ბოლო სინანული

ერთი მითხარი, სიყვარული რას ნიშნავს? – ჰკითხა ერთხელ პატარა თიკომ მამას ბაღში სეირნობის დროს.

– ყველაფერს, შვილო, ყველაფერს ნიშნავს! ღმერთია სიყვარული ზეცაში და მისი ნაყოფია სიყვარული ამ ქვეყანაზე.

– ეგ, როგორ? – ვერ გაიგო თიკომ მამის პასუხი.

– სიყვარულია შვილო ამ ქვეყნის დასაბამიც და დასასრულიც. სიყვარულია, იმედს რომ არ აკარგვინებს კაცს და ბრძოლის ჟინს აძლევს. ეგ არის ყველაფრის თავიდათავი, ყველაზე წმინდა და ყველაზე სპეტაკი, რაც კი რამ შეუქმნია ქვეყანაზე უფალს. შენც სიყვარულით ხარ ნასაზრდოები, ჩემო პატარავ. დიდი რომ გაიზრდები, ყველაფერს თავად მიხვდები.

ამ საუბრიდან დიდი დრო გავიდა. ახლა ის პატარა გოგონა აღარ იყო. სიყვარულიც გაიგო რა იყო და სიყვარულით გამოწვეული ტკივილიც.

თიკოს ყოველთვის უყვარდა ზურა, თუმცა ზურას არასოდეს უგრძნობინებია მისთვის, რომ უყვარდა, რაზეც თიკო ოცნებობდა. ისინი მეგობრები იყვნენ და ზურაც ფიქრობდა, რომ მეგობრულად უყვარდა და პატივს სცემდა მას. თიკო კი გრძნობდა, მოსვენებას არ აძლევდა ზურაზე ფიქრი. ხშირად იყო აფორიაქებული და ვერავის უმხელდა გულის ნადებს.

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

ერთმანეთს მეგობრის ოჯახში შეხვდნენ. სტუმრად იყო ჩასული თიკო მეგობართან. ზურა თავაზიანი ყმაწვილი აღმოჩნდა და მალევე მოიგო გოგონას გული. თუმცა, მათი ურთიერთობა მეგობრობის საზღვრებს არ გასცილებია. ისინი საერთო მეგობრის – ლიკას დახმარებით, ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ორივეს რაღაც ძალა იზიდავდა ერთმანეთისკენ, მაგრამ ზურა მაინც ვერაფერს ხვდებოდა, თუმცა არ უნდოდა საკუთარ თავს გამოტყდომოდა, რომ თიკო უყვარდა და ცდილობდა გაერკვია, რა ემართებოდა მასთან შეხვედრის დროს. ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ. ოთახში განმარტოვდებოდა და ფიქრებს მიეცემოდა...

– არა, რას ვბოდავ, ნუთუ მართლა მიყვარს, ვერ ვხვდები... მერე რა, რომ მიხარია როცა ვხედავ... არა, ეს სიყვარული არ არის, სიყვარული სხვაგვარია, მაგრამ როგორი?! – პასუხს ვეღარ პოულობდა. თვითონაც არ იცოდა, როგორ სიყვარულს ეძებდა. არა, თიკო მიყვარს, მაგრამ ისე, მეგობრულად, ის ჩემთვის ძალიან ძვირფასია, მაგრამ...

და აქ უკვე ვეღარ პოულობდა სიტყვას, რომელიც ამ ფრაზას დაასრულებდა. ასე ცდილობდა ხოლმე ზურა თავისი გრძნობების ლაბირინთებიდან გამოსვლას. თუმცა, ბოლოს, მაინც ახერხებდა დასკვნის გამოტანას:

– არა, სიყვარული სხვაა და მე მას აუცილებლად ვიპოვნი. და არ იცოდა, რომ უკვე ნაპოვნი ჰქონდა. ამას გვიან მიხვდა, როცა უკან დასაბრუნებელი ყველა გზა მოიჭრა.

თიკოსაც აწუხებდა მწველი ფიქრები, მაგრამ, ზურასაგან განსხვავებით, მან კარგად იცოდა, რას გრძნობდა და რასთან ჰქონდა საქმე. ხვდებოდა, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობდა. განსაკუთრებით ძილის წინ შემოაწვებოდა გულს მწუხარება. ტირილით გულს მოიოხებდა და გვიან ჩაეძინებოდა ხოლმე. სიზმარშიც ხშირად უნახავს, თუმცა, საიმედოს იქაც ვერაფერს პოულობდა.

წლებმა თავისი გაიტანეს. სკოლა წარჩინებით დაამთავრა თიკომ. სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტიც გახდა და დიდ წარმატებასაც მიაღწია. გარეგნულად ძლიერის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ საოცრად გულჩვილი და ლმობიერი იყო. მუდამ სევდიანი თვალები ჰქონდა და ამას ბევრი ვერც კი ამჩნევდა.

ზურა მასზე ხუთი წლით უფროსი იყო. ბიზნეს-ეკონომიკის ფაკულტეტი იმნაც წარჩინებით დაამთავრა და საზღვარგარეთ განაგრძო სწავლა. იგი ისე წავიდა უცხოეთში, არც კი დაემშვიდობა თიკოს. უბრალოდ, არ ჩათვალა საჭიროდ.

წლები გადიოდა. ზურა ხშირად ფიქრობდა თავის სამშობლოზე და იმ ქალაქზე, სადაც თავისიანები

ეგულებოდა. თავისდაუნებურად, თავს შეახსენებდა ხოლმე ის დღეები, თიკოს გვერდით რომ იყო, მაგრამ ამას სერიოზულად არც კი აღიქვამდა.

წელი წელს მისდევდა. თიკოს წარმატებით ახლობლები ხარობდნენ, მაგრამ მისი დაოჯახების საკითხი, კითხვის ნიშნის ქვეშ რჩებოდა ხოლმე. ბევრს მოსწონდა, ის კი ყველა შემოთავაზებაზე უარს ამბობდა. ახლობლები ამ საკითხზე სერიოზულად დარდობდნენ, გამუდმებით ჩასჩიჩინებდნენ და, ბოლოს, შედეგმაც არ დააყოვნა. ამ გადაწყვეტილების მიღება ერთმა გარემოებამაც დააჩქარა. თბილისში ყოფნის დროს, თავისი და ზურას საერთო ნაცნობი შეხვდა. რა თქმა უნდა, ზურას ამბავიც უკითხავთ.

– ზურა ინგლისში ცხოვრობს, თან სწავლობს და მალე სამშობლოში დაბრუნდებაო, – გულუბრყვილოდ უთქვამს თიკოს.

– ჰო, ეგრეა, მაგრამ, იმასაც ამბობენ, იქაურმა „კაი ბიჭებმა“ ჩაითრიეს და უდარდელი ცხოვრებისთვის მიუყვია ხელი. ვიღაცასაც გადაჰკიდებია და, მგონი, მის შერთვასაც აპირებსო, – დასძინა თურმე თანამოსაუბრემ.

ამის გაგონებაზე ფერი ეცვალა თიკოს. გაოგნებულმა ხმა ვერ ამოიღო, განსაკუთრებით „კაი ბიჭების“ ხსენებამ ააფორიაქა. ყველაფერს მიხვდა, რა ხალხთან ჰქონდა საქმე ზურას.

ბევრი იდარდა, მაგრამ, აბა ამით რას შესცვლიდა და გადაწყვიტა თავისივე თანაკურსელ გიგას გაჰყოლოდა ცოლად, რომელსაც, შეხვედრისთანავე, შეჰყვარებია თიკო. გიგამ ბევრჯერ სცადა მისთვის გული გადაეშალა, მაგრამ ყოველთვის უარს ღებულობდა. ახლა კი, თავად თიკომ მისცა საბაბი და მათი ურთიერთობა ქორწინებით დაგვირგვინდა. უბედნიერესი წყვილი იყო თიკო და გიგა, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. გიგასთვის ეს მართლა ასე იყო, თიკოსთვის კი... გიგას უსაზღვროდ უყვარდა და პატივს სცემდა. გიგა თბილისელი ბიჭი იყო. ორივე ერთიდაიმავე კლინიკის ქირურგიულ განყოფილებაში მსახურობდნენ. თიკო საუკეთესო ქირურგის სახელით სარგებლობდა.

დღე დღეს მისდევდა. ახალგაზრდა წყვილი მყუდროდ და მშვიდად ცხოვრობდნენ. ორი შვილიც შეეძინათ, რომლებიც უსაზღვროდ უყვარდათ. ბავშვებთან თავს ბედნიერად გრძნობდნენ. დროთა განმავლობაში, გიგასთან თანაცხოვრებამ, გრძნობა გაუჩინა თიკოს, თუმცა, ძველი იარა მაინც შეახსენებდა ხოლმე თავს. ისიც ცდილობდა გიგაში ეპოვნა ზურას მსგავსება და ამით ახდენდა იმის კომპენსირებას, რაც ასე ძლიერ აკლდა მას.

ღამის სამი საათი იქნებოდა, ტელეფონის გაბმულმა ზარმა რომ გამოაფხიზლა თიკო.

– ალო, ქალბატონი თინათინი ბრძანდებით? – გაისმა უცნობი ქალის ხმა.

– დიახ, მე ვარ, – ნამძინარევი ხმით უპასუხა თიკომ.

– საავადმყოფოს სამორიგეოდან გაწუხებთ, თქვენი დახმარებაა საჭირო, მძიმე ავადმყოფი მოიყვანეს, რთული მდგომარეობაა. მხოლოდ მორიგე ექიმი ვერ იღებს თავის თავზე პაციენტის ოპერაციას. იქნებ, თქვენ მაინც უშველოთ რამე...

– ახლავე მოვდივარ, – დაამშვიდა.

სწრაფად ჩაიცვა თიკომ. გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. გზაში წუთები საშინლად იწელებოდნენ. როგორც იქნა მიაღწია საავადმყოფოს. ოპერაცია დაწყებული ჰქონდათ. სწრაფად მოემზადა და კოლეგის დასახმარებლად შევიდა საოპერაციოში. ავადმყოფის მძიმე მდგომარეობის გამო ქირურგიული ჩარევა თითქმის ზედმეტიც აღმოჩნდა. პაციენტს სასიცოცხლო ორგანოები მთლიანად ჰქონდა დაზიანებული, მაგრამ, შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთეს იმისათვის, რომ ცოტა მაინც გაეხანგრძლივებინათ პაციენტის სიცოცხლე.

პაციენტისათვის სახეზე არც კი შეუხედავს, ისე ასრულებდა რთულ ოპერაციას თიკო. როცა ოპერაცია დამთავრდა, ავადმყოფის ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გადაყვანა ბრძანა, თვითონ კი საოპერაციოდან გავიდა ახლობლებისათვის მდგომარეობა რომ ეცნობებინა.

დერეფანში მხოლოდ ის ელოდა, ვინც შემთხვევის ადგილიდან პაციენტი მოიყვანა.

– როგორი მდგომარეობაა? – იკითხა შეშფოთებულმა უცნობმა.

– უიმედო! ყველაფერი გავაკეთეთ, თუმცა, გადარჩენის იმედი მინიმალურია. შეიძლება რამდენიმე დღე იცოცხლოს, გული სადამდეც გაუძლებს. ახლობლებს გადაეცი, რომ მოვიდნენ, – ენის ბორძიკით თქვა თიკომ.

– კი, მაგრამ, მეც არ ვიცი ვინ არის იგი. ეტყობა, ნასვამი იყო, საჭე ვერ დაიმორჩილა და გზიდან გადავიდა. არც საბუთები აღმოაჩნდა. იქნებ გავარკვიოთ რამე, – სინანულით თქვა ახალგაზრდამ.

ოპერაციიდან რამდენიმე საათი იყო გასული, თიკოს კაბინეტში ექთანი რომ შემოვიდა და მოახსენა:

– ქალბატონო თინათინ, პაციენტი გონს მოვიდა. ვიღაცას ეძახის.

– ახლავე ვნახავ, – თქვა თიკომ და რეამინაციულ განყოფილებაში შევიდა.

თვალებს ძლივს ახელდა პაციენტი. სუსტი ხმით მხოლოდ თიკოს სახელს იმეორებდა.

პაციენტს რომ შეხედა, ექიმს ელდა ეცა! ვერ დარწმუნებულიყო, ნუთუ მოჩვენებები დაემართა? ეს ხომ ზურა იყო, ზურა!

სიტყვა პირზე შეაშრა. გული შეეკუმშა და იგრძნო, როგორ ებინდებოდა გონება და როგორ ეყინებოდა სისხლი ძარღვებში.

– რა გჭირთ, ექიმო! – ჰკითხა ექთანმა, რომელმაც უგუნებობა შეამჩნია თიკოს.

– არაფერი! – ახლაღა გამოერკვა თიკო. მერე, ერთხანს, გაოგნებული ისევ მიაშტერდა პაციენტს, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ნამდვილად ის იყო. გაფერმკრთალებული ღაწვები, გაჭაღარავებული თმა, ჩაცვენილი თვალები და დანაოჭებული სახე სამოცი წლის კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. არადა, 35 წლისაც არა იყო იგი!

– თიკო... თი..კო... თი... ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმით ძლივს წარმოსთქვა პაციენტმა... ეს შენ ხარ თუ მეჩვენება?.. არ მინდოდა ისე წავსულიყავი ამ ქვეყნიდან, შენ რომ არ მენახე. არ მინდოდა არ მეთქვა ის, რასაც ასე გვიან მივხვდი... შენი თა..ვი გა..მო...მიგ..ზავ.. ნა ღმერთ..მა... ენის ბორძიკით ისევ ძლივს ამოილუღლუღა ავადმყოფმა. ყელი გაუშრა და ნერწყვის ყლაპვას მოუხშირა.

ახლა კი ვეღარ შეიკავა თავი თიკომ. კივილით წარმოსთქვა მისი სახელი და აქვითინებულმა გიგას მკერდში ჩარგო თავი.

თითქოს რაღაცამ უბიძგაო, ძალა მოიკრიბა ზურამ და დიდი ხნის წინანდელი სათქმელი ახლაღა უთხრა:

– ნუ ტირი, შენი ცრემლების ღირსი არ ვყოფილვარ. თუმცა, ჩემთვის, ყველაზე ძვირფასი ხარ, რაც ამქვეყნად გამაჩნია. მაშინ ვერ გავერკვიე და ვერ გავიგე, როცა დრო იყო, რომ ის არ მეძებნა, რაც ნაპოვნი მქონდა – სიყვარული! მე კი ამის ძებნას შევალიე მთელი ჩემი ცხოვრება და მაინც ვერ ვიპოვნე ან კი რას ვიპოვნიდი იმაზე უკეთესს, რაც უკვე მქონდა – შენი სიყვარული. მე კი სუსტი აღმოვჩნდი საიმისოდ, როცა თავი ძლიერ ადამიანად მომქონდა. არ დავაფასე და ამისთვის მომეზღო კიდეც. საზღვარგარეთ ნარკოტიკებს მივეჩვიე და ჩემს სიყვარულსაც აქ დაესვა საბოლოოდ წერტილი. მან მომიღო ბოლო და ჩემი მშობლებიც ჩემზე დარდმა შეიწირა. არაფერი აღარ მაკავშირებს ამ ქვეყანასთან. ერთადერთი შენი ნახვის სურვილი მქონდა, რაც მასაზრდოებდა და მანვე ჩამომიყვანა აქ. ყველაფერი ვიცი შენზე და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მხოლოდ მე ვარ დამნაშავე ყველაფერში. ერთი თბილი სიტყვა ან მინიშნება მაინც რომ დამეტოვებინა, ვიცი, დამელოდებოდი და ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. თუმცა, შენზე ფიქრი უნებურად მაინც არ მასვენებდა. გვიან მივხვდი, რომ ბედნიერება შენთან, შენს მიწა-წყალზე, შენს გულსა და გრძნობებში უნდა ეძებო და არა სხვაგან. ყველა, ვინც ჩემნაირად მოიქცა, ჩემივე ბედს ეზიარა. შენს გარეშე ვცხოვრობდი, მაგრამ ბოლოს მივხვდი, უშენოდ არც ერთი დღე არ გამიტარებია. თურმე, მუდამ შენთან ვყოფილვარ და ვერ ვგრძნობდი, როგორ მყვარებიხარ. ყველას, ვინც საკუთარს დაივიწყებს და სხვისას შეიყვარებს, სხვაგან დაიწყებს ბედნიერების ძებნას, სიყვარული ისე დაეკარგება, როგორც მე დავკარგე და არავინ იქნება იმის შემცოდე...

თიკო ცხარე ცრემლებით ქვითინებდა და სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა. დიდხანს ჩამუხლული იდგა ზურას სანოლთან და მისთვის ძვირფასი ადამიანის ესოდენ ძვირფას სიტყვებს ისმენდა.

– მიყვარდი, მიყვარხარ და მეყვარები, თიკო, იცოდე! უფალს მადლობა, რომ შენთან შეხვედრის ღირსი გამხადა და იმის თქმა შევძელი, რაც ადრე უნდა მეთქვა. ახლა სინანული უკვე გვიანია.

– მეგონა იარა მოვიშუშე-მეთქი, მაგრამ ტყეული ყოფილა. ვინაა მტყუანი და ვინ მართალი, ამას ვერ განვსჯი. გათხოვილ ქალს არ შეშვენის ის, რასაც მე ვამბობ, მაგრამ მე შენ ყოველთვის მიყვარდი, ზურა!

– თუ შეგიძლია, მაპატიე თიკო, – ენის ბორძიკით თქვა ზურამ.

თიკომ ცრემლები ხელით მოწმინდა ზურას და თვალებზე ეამბორა.

– ბედნიერი მივდივარ ამ ქვეყნიდან, თუმცა უბედური იყო მთელი ჩემი ცხოვრება, თი..კ...

ხმა გაუწყდა ზურას. ვეღარ დაასრულა სიტყვა და ბაგეზე შეეყინა „თიკოს“ სახელი.

გარეთ გასული ექთანი, რომელიც გრძნობდა, რომ პაციენტისა და ექიმის შეხვედრა ჩვეულებრივი არ იყო, ახლა უფრო შეაძრწუნა ექიმის მწარე გოდებამ. ფეხაკრეფით შევიდა ექთანი პალატაში. პაციენტის სხეულს ძლივს მოსწყვიტა ექიმი და გარეთ გამოიყვანა.

ზურა თავისმა ახლო ნათესავებმა დაკრძალეს. დაკრძალვაზე თიკო მეუღლესთან ერთად მივიდა და წითელი ვარდებით უკანასკნელ გზაზე გააცილა საყვარელი ადამიანი. მეუღლეს არ უკითხავს მისთვის, რა იყო ასეთი მწუხარების მიზეზი, თუმცა ხვდებოდა, რომ ეს პაციენტისადმი უბრალო პატივისცემას არ ჰგავდა. ხვდებოდა, მაგრამ არაფერი უთქვამს, ან ჰქონდა კი რამის თქმას აზრი?! მასაც ხომ ძალიან უყვარდა თიკო.

ორი დღის სიცოცხლისათვის მეფეს და ქვეყანას როგორ ვუღალატებ, შემდგომ **„მე რაღა მეშველება, ან ჩემს სულსაო“** და დაეთანხმა ურჯულოებს გზის გაკვლევაზე; სინამდვილეში კი, სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით გაუძღვა ჯარს და ცხირეთს მიახლოვებულნი, დიდ მანძილზე დააშორა მას.

დიდი დაგვიანებით მიხვდნენ ურჯულონი თევდორეს ჩანაფიქრს, იქვე თავი მოკვეთეს მღვდელს, რომელიც იმწამიერად **„შეირაცხა წმიდათა მოწამეთა თანა“.**

ასეთი უმაგალითო გმირობა მოიმოქმედა წმინდა თევდორე კველთელმა.

მისმა თავგანწირვამ უდიდესი კეთილი ნაყოფი გამოიღო. დროის ის მონაკვეთი, რომელიც მან ფუჭად დააკარგვინა მტერს, სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ქართველთა მობილიზაციისათვის და ახლა უკვე, ერთაწმინდასა და ახალქალაქში შესული ოსმალ-ყირიმელი თათრების მრავალრიცხოვანი ჯარის მანევრს, ცხირეთიდან თვალნათლივ აღიქვამდა ჩვენი ბრწყინვალე მეფე, რომელსაც მხარში ედგნენ საბრძოლველად შემართული თბილისის დიდი მოურავი – გიორგი საკაძე და მამაცი თავადი – ზაზა ციციშვილი.

სასწრაფოდ შეგროვდნენ ქართველი მეომრები, ბრძოლისათვის განეწყვნენ და სხერთის ჭალაში დაუხვდნენ თურქ-ყირიმელებს. საშინელი დღე აყარეს ჩვენებურებმა ურჯულოებს, რომელთა ჯარის დიდმა ნაწილმა საციციანოსაკენ გაქცევით უშველა თავს, ბევრიც დაიხოცა, გაცილებით მეტი კი ტყვედ ჩაბარდა.

მოკლული მტრის მრავალი თავი იხილა იმ დღეს ჩვენმა უდიდესმა წმინდა მეფე ლუარსაბ მეორემ. სახელოვანი გამარჯვება მოიპოვა ქართველთა ჯარმა.

იმ ბრძოლაში მოპოვებულ წარმატებაში განუზომელი წვლილი მიუძღვის წმინდა თევდორეს. რომ არა ცხოვრების მისეული ქრისტიანული აღქმა შექმნილი ვითარებისა, ვინ იცის, ისტორიულად როგორ წარმართებოდა ჩვენი სამშობლოს ბედი მომდევნო ათწლეულებში.

მახსენდება, თანამედროვეობის თვალსაჩინო მწერლის, შოთა ნიშნიანიძის ლექსი „თევდორე“, – მიძღვნილი დიდი წმინდა მღვდელისადმი.

„...შენ ხარ ვენახი აჩეხილი,
მესიის სურვილი ამხდარი,
ღვთის სახლი, სათნო სახლი დამეხილი,
წაქცეული, დაქცეული საყდარი.
მამაო, გალობა ხარ შეწყვეტილი,
მამაო, სანთელი ხარ დამწვარი,
მამაო, ცეცხლი იყავ სვე-კეთილი,
ახლა ხარ ნაცარი...
ლოცვა ხარ ბაგეზე შეყინული,
ნახევრად სიზმარი... არაკი...
ლომი ხარ ქართველობას შეწირული
და კრავი – ქრისტეს ზვარაკი...“

ვიცხოვროთ ქრისტიანული წესით, თუ გვსურს, მამაზეციერის შეწევნით, საუკუნოდ ზეციურ სასუფეველში დავიმკვიდროთ სული ჩვენი!...

ლევან გვეტაძე,
მწერალი

ქართველი და სომეხ ხალხთა მეგობრობის სიმბოლო



დღეს ჯავახეთში მცხოვრებ ნებისმიერ ადამიანს რომ შეეკითხო, ვინ იყო არსენ კარაპეტიანი, უეჭველად, ყველა გეტყვის: – დიდი კაცი, შესანიშნავი პოეტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ქართველ და სომეხ ხალხთა მეგობრობის სიმბოლო. კაცი, რომელიც ერთნაირად იყო შეყვარებული საკუთარ ერზე და იმ მიწის შვილებზე, სადაც ის დაიბადა, აღიზარდა და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება პატიოსნად ემსახურა მათ.

„ხე ფესვებიდან იზომებაო“ და იმ ფესვმაგარმა ხემ 100 წელი ხორციელად და სულიერად მოაღწია აქამდე.

100 წელი გავიდა ამ დიდი კაცის დაბადებიდან, კაცისა, რომელსაც შესანიშნავად იცნობდა როგორც საქართველოს, ასევე სომხეთის ლიტერატურული საზოგადოება.

ბატონ არსენს განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ ქართველი და სომეხი მწერლები, აფასებდნენ მის შემოქმედებით ნიჭს და ერთგულ მეგობრადაც მიიჩნევდნენ. დიდ კაცთან მეგობრობა დიდ კაცობასაც მოითხოვს. გენიალური გალაკტიონი ყოველთვის მეგობრად მიიჩნევდა მას, ხოლო გამოჩენილი ქართველი და სომეხი პოეტები – იოსებ გრიშაშვილი, იოსებ ნონეშვილი, მორის ფოცხიშვილი, კარლო კალაძე, გიორგი ნატროშვილი, გრიგოლ აბაშიძე, ალიო მირცხულავა, ავეტიკ ისააკიანი, სილვა კაპუტიკიანი, კრიტიკოსი ბესო ჟღენტი და სხვები, ძმური სიყვარულით იხსენებდნენ.

ქართული, თურქული, აზერბაიჯანული, სპარსული, რუსული ენების განსაკუთრებული ცოდნის წყალობით, ბატონმა არსენმა ბრწყინვალედ იცოდა ამ ენებზე მოსაუბრე ხალხთა ლიტერატურა და ისტორია. ამიტომაც იყო, რომ შესანიშნავად თარგმნიდა ქართულ და სომხურ ენებზე თანამედროვე პოეტთა შემოქმედებას. მისი არაჩვეულებრივი ნიჭი განსაკუთრებით გამოვლინდა აშუღური პოეზიის თარგმანებში. რომ არა იგი, ალბათ, ქართველი მკითხველი ვერ მიიღებდა ცნობილი აშუღების – შივღასა და ჯივანის პოეტურ თარგმანებს იმ დონით.

გასული საუკუნის 70-იანი წლების სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს დღესაც კარგად ახსოვს ბატონ არსენ კარაპეტიანის მომნუსხველი გამოსვლები პოეზიის საღამოებზე, ლიტერატურულ ღონისძიებებზე, ხალხმრავალ შეხვედრებზე. „პოეზიის სახალხო დღესასწაულის – შოთაობის“ არცერთ ღონისძიებას იგი არ გამოტოვებდა და ყოველთვის გამოდიოდა თავისი ლამაზი ლექსებით და წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა პუბლიკაზე.

ქართველი და სომეხი ლიტერატორები განსაკუთრებით აფასებდნენ ბატონი არსენ კარაპეტიანის შემოქმედებას. იგი ათასზე მეტი ლექსის, მრავალი მოთხრობის, პუბლიკაციის, ლიტერატურული წერილის და თარგმანის ავტორია.

სამწუხაროა, რომ დღემდე ვერ მოხერხდა მისი შემოქმედების ერთ მთლიანობაში მოყვანა და ცალკე წიგნად გამოცემა. იმედია, ახლა მაინც შესაძლებელი გახდება ამ ხარვეზის გამოსწორება.

იგი, როგორც გამორჩეული საზოგადო მოღვაწე, დიდად იყო დაინტერესებული სამცხე-ჯავახეთის ისტორიული წარსულით. თავდაუზოგავი, შესაშური ძალისხმევით შესძლო ახალქალაქში დაეარსებინა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და დიდხანს, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იყო მისი თავკაცი.

ბატონი არსენ კარაპატიანი, უპირველესად, მაინც დიდი პედაგოგი იყო, – ქართული ენის უბადლო მცოდნე, რომელმაც სიცოცხლის თითქმის ნახევარი ამ ღვთისნიერ საქმეს შეალია. არაჩვეულებრივი ნიჭის გამო, იგი ჯერ კიდევ მე-7 კლასის მოსწავლე, წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სპეციალურად მიავლინა სოფელ კოთელიაში.

სადაც კი ბატონმა არსენმა იმოღვაწა, – ეს იყო ახალქალაქისა თუ მურჯახეთის სკოლები, ახალქალაქის მე-3 ქართული საშუალო სკოლა (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი), განათლების რაიონული განყოფილება (განყოფილების გამგე), ყველგან თავისი კვალი დატოვა და დღესაც მადლიერებით იგონებენ თავისი ნამოწაფრები.

ჯავახეთი ყოველთვის იზიდავდა ქართველ და სომეხ ლიტერატორებს, მეცნიერებს, ხელოვნების მოღვაწეებს და ამიტომაც იყო, რომ ვერცერთი მათგანი ბატონ არსენ კარაპეტიანთან შეხვედრის გარეშე ვერ ტოვებდა ამ ლამაზ კუთხეს.

ჰამლეტ მოვსესიანი,
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

განათლების, კულტურის და პოეზიის შემოქმედი

ბატონ არსენ კარაპეტიანს, როგორც განათლების დარგის დამსახურებულ მუშაკს, მუზეუმელს, მკვლევარსა და შემოქმედს, ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ვიცნობდი, მაგრამ ახლო ნაცნობობა და საქმიანი ურთიერთობები ამავე საუკუნის 80-იანი წლებიდან განვითარდა, განსაკუთრებით, როდესაც მე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის – ივ.ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ფილიალის დირექტორი და მისი კოლეგა გავხდი. თუმცა, ორ მუზეუმს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა 1988-1989 წლებში ჯავახეთში ჩატარებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ექსპედიციების მიმდინარეობის პერიოდში, როცა ბატონი არსენი და მისი მეგობრები: აპოლონ აბრამიძე, სოსო თეთვაძე, ვარლამ კარაპეტოვი, გურამ მელიქიძე, თამარ და ნიკოლოზ ალელიშვილები კეთილ მასპინძლობას გვიწევდნენ და, შესაბამისად, მათი მხარდგომით და დახმარებით, ორი წლის განმავლობაში, შევძელით ჯავახეთის ექსპედიციების წარმატებით დასრულება, რაც იმაში გამოიხატა, რომ ჩვენ მიერ ველზე თუ მოსახლეობაში მოძიებული და შეგროვილი მატერიალური და სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლებით შეივსო და გამდიდრდა მუზეუმის ფონდები. ამასთანავე, მათი დახმარების გარეშე ამ საქმის ბოლომდე ასე წარმატებით დასრულება უდაოდ გაგვიჭირდებოდა.

ჩვენი თვალსაწიერით, ბატონი არსენი გახლდათ დიდი პიროვნება, ადამიანი, რომელსაც უზარმაზარი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა. ბევრი რამ იცოდა და ცხოვრებაშიც მრავალი რამ გადაეტანა. ამიტომაც იყო, რომ ადამიანის ამოცნობა ადვილად და შეუცდომლად შეეძლო. სწორედ ამის გამო იყო, რომ

მასთან ურთიერთობა ძალიან გვიადვილდებოდა და დიდ გამოცდილებასაც გვძენდა. მუზეუმელები კი ყოველთვის სულმოუთქმელად ველოდით მის გამოჩენას, როგორც ჯავახეთის ექსპედიციაში ყოფნის დროს, ისე სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ჩვენი ექსპედიციის ახალქალაქში ყოფნის დროს, არაერთხელ მოგვიხდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მასთან მისვლა. აშკარად თვალშისაცემი იყო ის გარემოება, რომ ბატონმა არსენმა წარუშლელი კვალი დატოვა ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საქმიანობაში, რაც გარკვეულწილად მის მიერ მომზადებული კვალიფიციური მოხსენებებისა და სამუზეუმო არქივის კვლევის შედეგებით იყო გაჯერებული და, რაც მთავარია, – იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე მხნედ იდგა ქართველი და სომეხი ხალხის ურთიერთთანაცხოვრებისა და სიყვარულის სადარაჯოზე.

სწორედ ბატონი არსენის პიროვნული თვისებებით და ერუდიციით იყო განპირობებული ის ფაქტიც, რომ მას საქართველოს მასშტაბით თითქმის ყველგან იცნობდნენ და პატივს სცემდნენ.

სამაგალითოდ მინდა აღვნიშნო ბატონი არსენ კარაპეტიანის აქტიური მონაწილეობის შესახებ ეთნოგრაფთა და ენათმეცნიერთა რესპუბლიკურ ღონისძიებებში. როგორც მოგეხსენებათ, იგი შესანიშნავი მოქართულე გახლდათ და თავისი გამოკვლევებით, შესაშური საუბრის კილოთი და საკითხის სიღრმისეული გააზრებით, ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა აუდიტორიაზე.

ბატონი არსენის უკეთ წარმოჩენისათვის უკომენტაროდ მინდა შემოგთავაზოთ აწ განსვენებული პროფესორის – ირაკლი სურგულაძის ნაამბობი 1989 წელს ქ. სოხუმში გამართულ ეთნოგრაფთა რესპუბლიკურ სამეცნიერო სესიაზე:

იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთში ტარდებოდა სამეცნიერო სესია ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, მიუღიათ გადაწყვეტილება, რომ აფხაზი მეგობრების საპატივსაცემოდ სესიის მუშაობა რუსულ ენაზე წარმართულიყოდა როცა ბატონი არსენი კათედრასთან მიბრძანებულა, განუცხადებია: – **„მე, ახლა რომ გითხრათ, რუსული ენა არ მეხერხება, ამას თქვენ არ დამიჯერებთ, მაგრამ რადგანაც ჩვენ ვცხოვრობთ და ვმოღვაწეობთ საქართველოში და ვართ ამ ქვეყნის ღვიძლი მოქალაქეები, ამიტომ ნებას ვითხოვ, ჩემი მოხსენება სწორედ ქართულ ენაზე წარმოგიდგინოთ, ანუ რომელ ენაზეც განათლება მაქვს მიღებული და რომელ ენაზეც ვაზროვნებ... ამით,** – აღნიშნა ირაკლი სურგულაძემ – **ბატონმა არსენმა ყველას, ერთბაშად ცივი წყალი გადაგვასხა – გამოგვაფხიზლა და მწარედ ჩაგვაფიქრა კიდეც..“**

ბატონი არსენი ბუნებისაგან მრავალმხრივ დაჯილდოებული პიროვნება გახლდათ და შემოქმედებით საქმიანობაშიც წარმატებული, რის გამოც ჩვენ, მუზეუმელები მოხიბლული ვიყავით როგორც მისი პოეზიით, ასევე დიდაქტიკური და პატრიოტული ხასიათის ჩანახატებით. იგი თავის შემოქმედებაში აცოცხლებდა ჯავახეთში მოღვაწე მომღერალ შივღებს, ატარებდა შემოქმედებით საღამოებს და გაზეთის ფურცლებზე აქვეყნებდა მათი საქმიანობის აღმნიშვნელ ისტორიებს. ამით მათთან ერთად თავის თავსაც უკვდავყოფდა.

დაბოლოს. ქ.ახალქალაქის ქუჩებში ხშირად შეხვდებოდით მაღალ, ახოვან, დროულ კაცს მძიმე და სწორი ნაბიჯებით მიმავალს. ხვალინდელ დღეზე მაფიქრალ პიროვნებას, შესანიშნავი ოჯახის პატრონს, მეუღლეს, მამას, ბაბუას, თან დაჰქონდა ულევი სითბო და სიყვარული, რომელსაც პირუთვნელად უნაწილებდა როგორც ოჯახის წევრებს, ისე მეგობრებსა და თანამოქალაქეებს.

... წლები ვერ დაჩრდილავს ბატონი არსენის განვლილ გზას და ყოველთვის კეთილად მოიხსენიებს მადლიერი შთამომავლობა.

ციური ლაფაჩი

მცირე მოგონება არსენ ძიას შესახებ

კარაპეტიანების ორი ოჯახი შავშეთიდან ჩამოსახლების შემდეგ ცხოვრობდა სოფელ კოთელიაში. მათ შორის იყო არსენ კარაპეტიანის მამაც. ბუნებრივია, მათი შვილები გაიზარდნენ ქართულ გარემოში და სწავლობდნენ ქართულ სკოლაში. არსენმაც ქართული სკოლა დაამთავრა, შემდეგ კი სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. იგი იოსებ ნონეშვილის თანაკურსელი და თანაჯგუფელია, ერთადაც თანამშრომლობდნენ კედლის გაზეთში, რომლის რედაქტორიც ძია არსენი იყო.

„არსენ ძია“ როგორც ბავშვები ვეძახდით სოფელში, იყო კარგი მოქართულე და დიდად ერუდირებული ადამიანი, ამიტომაც მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა ქ.ახალქალაქის ქართული საშუალო სკოლის დირექტორად და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. იგი ჩინებული თამადაც გახლდათ და თამადობის დროსაც კი თავისი ომახიანი ხმითა და ღრმააზროვანი საუბრით მსმენელს ქართულ სიტყვას აყვარებდა. სანამ სადღეგრძელოს იტყოდა, მანამ რაღაც იგავს ან არაკს მოჰყვებოდა, შემდეგ შესაბამის ლექსსაც მოაყოლებდა და მისი თამადობით სუფრა ქართული სიტყვის ზეიმად იქცეოდა.

მახსოვს, სკოლის მოსწავლე ვიყავი. თვალი ამტკივდა და მამაჩემმა ახალქალაქში ექიმთან წამიყვანა. საავადმყოფოდან მამიდაჩემის, რომელიც კარაპეტიანების რძალი იყო (ვარლამ კარაპეტიანის მეუღლე – ლიზა), სანახავად გავიარეთ. იგი ცხოვრობდა ქართული სკოლის წინ და იქვე იყო ქალაქის ბაღიც, რომელსაც „ხასბაღს“ ეძახდნენ. იქ, ხეზე, დამონტაჟებული ჰქონდათ ხაზის რადიო და რადიოგადაცემებს ხმამაღლა გადმოსცემდნენ. ჩვენი იქ მისვლის დროს რადიოს ეთერში გოგლა ლეონიძე ლექსებს კითხულობდა. არსენ ძია მიყრდნობოდა ხეს და გულისყურით უსმენდა. მამაჩემმა ჯავახურად გასძახა: – „ჰაი, არსენ“! – მან, თითქოს ვერ გაიგო, ხელი აიქნია. როცა ლექსის კითხვა დამთავრდა, მერეღა გამოგველაპარაკა და ხუმრობით მამაჩემს უთხრა: „მიშამჯან“ (ასე ეძახდა მამას), რა მოგვიდა, ხომ გესმოდა, – ლეონიძე ჰქუხდა. ჯერაც ვერ მომინელებია მისი გარდაცვალებაო.

იგი შესაშური, დახვეწილი ქართულით ლაპარაკობდა. როცა მათ სახლში მივიდოდით, ან ჩვენთან, სოფელში გვეწვეოდა, სულ დაძაბული ვიყავით, ვაი-თუ გამართული ქართულით ვერ გველაპარაკა, ბავშვებსაც კი, ტაქტიანად მოგვცემდა შენიშვნებს: – ეს სიტყვა ასე გამოითქმის ან, უკეთესია, ეს სიტყვა გამოიყენოო. გარდა ამისა, სოფელში ჭირი იყო თუ ლხინი, ყოველთვის, იქ იყო, გვერდში ედგა ხალხს და თავის მადლიან სიტყვასაც არავის დაამადლიდა.

ლალი აჩელაშვილი,
ქ.ახალციხის ცენტრალური ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი

ლირსებით შემკული

მე ნიკო კეცხოველის დროინდელი უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი, აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგი, ,,პირველი სხივის'' წევრი და აქტიური თანამონაწილე; ეს იყო გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლები; მაშინდელ ჩვენს თაობას დიდ თერგდალეულთა საუკუნო ,,სწორებაზე'', ახლაც სამოციანელებად გვიხსენიებენ...

წარმოუდგენლად დიდი პატივია, ღმერთმანი.

,,პირველი სხივის'' ლიტერატურის წრის ,,პატრონაჟი'' აბა სხვას ვის უნდა ეკისრა, თუ არა კეცხოველს; გარდა იმისა, რომ თითქმის ყოველ ლიტერატურულ განხილვას ესწრებოდა, სრულიად საქართველოს ეკლესია-მონასტრებს, ციხე-კოშკებსა და, ცხადია, ფლორასა და ფაუნასაც გვაცნობდა...

მისთვის ქვეყნის იმერ-ამერი უპირველესი ხატი იყო.

დავყავდით ყველგან და ყოველთვის. ერთადერთი, რაზეც გული ეთანაღრებოდა, ეს იყო მესხეთ-ჯავახეთი. ვგრძნობდით, როგორ აღიზიანებდა აწყურში ჩამდგარი რუსის ჯარის გამშვები პუნქტის არსებობა და ეგრეთ წოდებულ ,,საზღვრის გადაკვეთისთვის'' საშვი...

მიუხედავად სიძნელეებისა, ჩვენ იშვიათად, მაგრამ მაინც ვახერხებდით ამ რთული ციტადელის დაძლევას და მშობლიურ მესხეთ-ჯავახეთთან ყოფნის დაუძლეველ სურვილს ვისრულებდით..

მოგეხსენებათ, საქართველოს თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულს ჰყავდა გამორჩეული მასპინძელი, რომელმაც, რაღა თქმა უნდა, ჩვენზე უკეთ იცოდა საკუთარი ადგილის დედის ყველა სიკეთე, რასაც სიამაყითა და საქმის ცოდნით ჩვენც გვაზიარებდა.

ახალქალაქში ასეთი კაცი არსენ კარაპეტიანი იყო. ადამიანი, რომელიც მშობლიური ქალაქის ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მუზეუმს დააარსებს, აუცილებელ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებს მოუყრის თავს, ეთნოგრაფიული ექსპონატებით გაამდიდრებს და მრავალი წლის მანძილზე თავად გაუძღვება ასეთ საშურ დაწესებულებას, ჭეშმარიტად პატივისცემის ღირსია.

არსენ კარაპეტიანი წელს თურმე ასი წლისა უნდა შესრულებულიყო.

ჩვენ ადრეც შევხვდით ერთმანეთს, როცა ოვანეს შირაზის პოემების ქართული თარგმანები ჩამოიტანა თბილისში. შემდგომშიც შევხვედრილვართ ახალციხესა, ახალქალაქსა თუ ნინოწმინდაშიც და, თუ ჩემზე თითქმის ოცი წლით უფროსი იყო, ვერაფრით ვიფიქრებდი.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, როცა მე თბილისის შაუმიანის სახელობის სომხური დრამატული თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ვიყავი, დასახელებულ სამივე რაიონულ ცენტრში ყოველ წელს გავდიოდით საგასტროლოდ. არ მახსოვს, არსენს როდესმე უყურადღებოდ დავეტოვებინე. მართალია, ადგილობრივი ხელისუფალნი არ გვტოვებდნენ უმასპინძლოდ, მაგრამ მე მაინც მასთან, მის ახალციხელ კოლეგა კუკური თორდიასთან, მერაბ საჯაიასთან ,,განმარტოება'' უფრო მახალისებდა... ჩვენს უნივერსიტეტიდან დაწყებულ ძმობას კარგი ქართულიც უხდებოდა. არადა, აკი არსენიც ტოლს არ გვიდებდა...

მრავალი ადამიანური თვისებებით შემკული ბრძანდებოდა, ხალხთა ძმობის მესაძირკვლენი სწორედ ასეთები არიან.

დაბოლოს. მადლობა ,,ლიტერატურულ მესხეთს'', მის გასახსენებლად ორიოდე სიტყვის საშუალება რომ მომეცა.

გივი შაჰნაზარი

ძმობისა და მეგობრობის ჭეშმარიტი მომღერალი

ბატონ არსენ კარაპეტიანს რომ ვიხსენებთ მისი თანამედროვენი, თვალწინ გვეშლება ჯავახეთის ძირძველ ქართულ მიწაზე შობილი და ქვეყნის სამსახურში დაუღალავად მოღვაწე პიროვნება, წარმოსადეგი ფიზიკური შეხედულებით, რომ იტყვიან, მთასავით კაცი, მადლიანი ქართულით მოსაუბრე, დინჯი პედაგოგი – მოძღვარი, დიდსულოვანი ადამიანი, ახლო თუ შორეულ წარსულში მრავალსაუკუნოვანი ქართულ-სომხური ისტორიული მეგობრობის დაუღალავი მოტრფიალე, ორივე ერის ჩვენი დროის „აშული“, კაცი, რომელსაც ფესვები ქართულ-სომხურ ისტორიულ წარსულში ჰქონდა მყარად გადგმული.

ქართული პოეზიის გვირგვინის – შოთა რუსთაველის, მისი იდეების ღირსეული მქადაგებელი, სახალხო დღესასწაულის – „შოთაობის“ უცვლელი და აქტიური მონაწილე, მკაფიო მაგალითი ერებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამკვიდრებისა და განვითარებისა – აი, მოკლე დახასიათება არსენ კარაპეტიანის ღვაწლისა და დამსახურებისა.

ზემოთ ნათქვამის მკაფიო დადასტურებაა მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი – „არ ვეთანხმები სამანის მომგონს“ სადაც იგი წერს:

„საქართველოდან სომხეთში მივალ
თუ სომხეთიდან – საქართველოში,
მე ორივეგან მკვიდრი მაქვს ბინა,
ორივეს ვეტრფი, არც ერთს არ მოვშლი.
ბავრის ხიდთან ვარ და ერთი ამბობს:
„აგერ საზღვარი საქართველოსი“!
მე კი ფიქრებით შორს მივქრი ამ დროს,
მხიბლავს ქათქათი მწვანე მდელოსი...
ვინ დააწესა ძმათა საზღვარი,
ან აქ საზღვარი მოვნახო როგორ?
შესტყუპებია ერთურთს მთა-ბარი,
არ ვეთანხმები სამანის მომგონს“!

ბატონ არსენ კარაპეტიანს ახლო მეგობრობა აკავშირებდა ცნობილ ქართველ მწერლებთან და პოეტებთან – გალაკტიონ ტაბიძესთან, იოსებ ნონეშვილთან, მორის ფოცხიშვილთან და სხვებთან.

დღეს სამცხე-ჯავახეთში დიდი მოწიწებითა და პატივისცემით იხსენებენ ღვაწლმოსილ პედაგოგს, პოეტს, მამულიშვილს და ღირსეულ მოქალაქეს არსენ კარაპეტიანს მისი მრავალრიცხოვანი აღზრდილები, მეგობრები, თანამოაზრეები და უბრალი ადამიანები, ისინი, ვის წიაღშიც იშვა ეს სამაგალითო ადამიანი და ვინც არასოდეს დაივიწყებს მის მიერ გაწეულ ამაგს.

შალვა ტაბატაძე,
მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ადმინისტრატორი

რეცენზია არსენ ყარაპეტიანის თარგმანზე

პოეტი არსენ კარაპეტიანი, რომელიც ქართულად წერს, უკვე კარგა ხანია, რაც პოეზიის დარგში მუშაობს. მას აქვს საკმაოდ მრავალი, როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი ლექსი, რომელთა უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებულია რაიონულ გაზეთში (რადგან ავტორი, ცხოვრობს და მოღვაწეობს რაიონში).

არსენ კარაპეტიანი თავისი ორიგინალური ლექსებით ყოველთვის თანამედროვე, აქტუალურ თემატიკას ეხება. მისი პოეზია განსაუთრებით მომხიბლავია იმითაც, რომ პოეტი ლექსის მდიდარ შინაარსთან ერთად იძლევა კარგ ლექსს, მას ამეტყველებს ლირიკული სინარნარით, მუსიკალური ჟღერადობით.

გარდა ამისა, პოეტი კარგად ფლობს ლექსის ტექნიკას, იცის ლექსთა წყობის კანონები და, რაც მთავარია, ენა აქვს საკმაოდ დახვეწილი მდიდარი სიტყვის მარაგით. სწორედ ეს უწყობს ხელს მას სომხურიდან ქართულად თარგმნის დროს.

სარეცენზიო თარგმანები სომხური პოეზიის თვალსაჩინო ნიმუშებია. ოვანეს შირაზის საკმაოდ დიდი პოემა – „სიამანთო და ხაჩეზარე“, ერთ-ერთი საინტერესო ლეგენდაა, რომელიც მძაფრი ფერებით ასახავს და მდიდარი სურათებით, დიდი პოეტური შთაგონებითა და განცდებით გადმოგვცემს ერთი სომეხი მწყემსის – სიამანთოს და ქურთი ბეგის ასულის – ხაჩეზარეს წმინდა სიყვარულისა და ტრაგიკული დასასრულის ამბავს.

პოეტ ოვ. შირაზის ამ პოემას საფუძვლად უდევს სომხური თქმულება, რომელშიც დიდი სიბრძნე და შინაარსია ჩადებული. ოვ. შირაზს ეს თქმულება გადმოუცია პოეტური აღნაგობით, ყურადღება გაუმახვილებია მის სოციალურ მხარეზე და ამით ღეგენდა რეალური გზით დაუახლოებია ჩვენი დროისათვის.

მთარგმნელს, უპირველეს ყოვლისა, კარგად აქვს გაგებული სომხური ტექსტი, ორიგინალის ყოველგვარი ნიუანსი, მისი ძირითადი მიზანდასახულობა, პოემის გარეგნული ფორმა, მისი წყობა, მეტრიკა. ამიტომ არის, რომ თარგმანი ორიგინალურად ჟღერს და შენარჩუნებულია აგრეთვე სიტყვის სიმკვრივე, დაცულია ეპითეტები, რომელიც პოემას ასხივოსნებს.

მთარგმნელს დაუძლევია სომხური ენის მრავალმხრივი სირთულე და ქართულ თარგმანში გამოუნახავს შესაფერისი შესატყვისები. შენარჩუნებულია აგრეთვე ოვ. შირაზის მდიდარი რითმები, რომელნიც ჰარმონიულად ჟღერენ მთელ პოემაში. ცხადია, მას ხელს უწყობს როგორც ქართული და სომხური ენების კარგად ცოდნა, აგრეთვე შინაგანი პოეტური ბუნება, ალღო და ნიჭი.

ამ პოემის გარდა, ავტორს წარმოდგენილი აქვს ოვ. თუმანიანის რამდენიმე ლექსისა და პოემა „თმოგვის ციხის აღება„-ს თარგმანები.

ოვანეს თუმანიანის ლექსებისა და პოემების კარგ მთარგმნელად დღემდე მიჩნეულია პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი, რომელმაც მართლაც დიდი მუშაობა გასწია სახელგანთქმული პოეტის ლექსებისა და პოემების ქართული თარგმანის შესრულებაში და ამით კარგი სამსახური გაუწია ქართველ მკითხველს, გააცნო პოეტის მრავალი ლექსი და სხვა ჟანრის ნაწარმოებები. მაგრამ თუმანიანს ჯერ კიდევ აქვს მრავალი ლექსი, პოემა და პროზაული ნაწარმოები, რომელიც დღემდე არ არის ქართულად თარგმნილი. ამიტომ მეტად წასახალისებელია არსენ კარაპეტიანი, რომელმაც ქართულად თარგმნა ოვ. თუმანიანის სწორედ ის ნაწარმოებები, რომელთა თარგმანები დღემდე არ არსებობდა.

არსენ კარაპეტიანის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ეს თარგმანები კარგად და კეთილსინდისიერადაა შესრულებული.

ქართული თარგმანების სომხურ ტექსტთან შედარებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ოვ. თუმანიანს საერთოდ, კარგი მთარგმნელები აღმოუჩნდა.

ეს ლექსები, რომელთა თარგმანები ზედმიწევნით არის შესრულებული, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ, სიახლეს წარმოადგენს ქართველი მკითხველისათვის და აუცილებელად მიგვაჩნია მათი გამოქვეყნება.

რაც შეეხება ოვ. თუმანიანის ვრცელ პოემას – „თმოგვის ციხის აღებას“, იგი მელიქსეთ-ბეგის თარგმანით, ცალკე წიგნადაა გამოქვეყნებული ამ რამდენიმე წლის წინ, მაგრამ წინამდებარე სარეცენზიო თარგმანი გაცილებით უკეთესია და უფრო პოეტური, რაც უთუოდ მიუთითებს მთარგმნელის მხატვრულ შემოქმედებით უნარზე, მის პოეტურ ხასიათზე, მასში დაცულია როგორც შინაარსი, ისე გარეგნული ფორმა და ჟღერადობა.

პოემის თავისებურება და აღმოსავლური იერი თარგმანშიც აშკარად გამოსჭვივის.

ამრიგად, ჩემის აზრით, ზემოხსენებული თარგმანები უთუოდ ღირსია დაბეჭდვისა, არა მარტო ღირსი, მათი დროზე გამოქვეყნება და გამომზეურება საჭიროა და აუცილებელი. მთარგმნელს დიდი დრო და შრომა დაუხარჯავს ამ თარგმანზე, რომლებიც შერჩევითაც კი ღაღადებენ მთარგმნელის კარგ გემოვნებაზე.

სურენ ავჩიანი,
1957 წელი, ქ. თბილისი

მიმართვა
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბატონი არსენ კარაპეტიანი ქართველი და სომეხი ერის მეგობრობის სიმბოლოს რომ წარმოადგენს, ეს სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებთა (და არა მარტო აქ) უმრავლესობამ კარგად იცის, საგაზეთო მასალებიც ამის დასტურია, მაგრამ ამით ყველაფერი როდია ნათქვამი, პირიქით, ბატონ არსენის შემოქმედება, მისი ღვაწლი სათანადო შესწავლას, განზოგადებას და დაფასებას მოითხოვს, მით უფრო, დღევანდელ მშფოთვარე ცხოვრებაში.

მიგვაჩნია, რომ ბატონ არსენის ღვაწლი სათანადოდ უნდა დაფასდეს და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე შევდივართ წინადადებით, ამ ღვაწლმოსილი ადამიანის დაბადების 100 წლის საიუბილეოდ, გამოიცეს მისი ლექსების, თარგმანების, მოთხრობებისა და წერილების კრებული, ახალქალაქის ერთ-ერთ ქუჩას და მხარეთმცოდნეობის მუზეუმს მიენიჭოს მისი სახელი. ეს ბატონი არსენ კარაპეტიანის ხსოვნის უკვდავყოფაც იქნება და მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა ორი ერის ურთიერთობისა და დაახლოებისათვის.

გაზეთის – „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია

არსენ კარაპეტიანი

ჯივანობაზე

***

იმ მაღალ მთაზე თოვლია მუდამ,
მაგრამ მის მკერდზე – ზაფხული მწველი.
მეც მისი ბაძი ნიადაგ მსურდა,
ახლაც მის სახეს ნუგეშით ველი.

არ შეგაშინოს ჩემმა ჭაღარამ,
არ დამიწუნო თმა დათოვლილი.
ტრფობის კოცონი გიზგიზებს მარად,
მეც იმ მთასავით ცხელი მაქვს გული.

დაღუპული მეგობრის ხსოვნას

მახსოვხარ, ანდა რა დამავიწყებს,
და სიკვდილამდე იქნება ასე,
გული აწყდება მკერდის ლავიწებს
შენი სახელის მოგონებაზე.

სოფლის ნიავმა გივარცხნა თმები,
თავს ევლებოდი დაცვარულ ვარდებს,
ქილდის ქარაფზე გაშალე ფრთები,
როგორც არწივის პატარა მართვემ.

თვრამეტ წელს შეხვდი მწარე ტკივილით,
დღე რომ გათენდა მრუმე და ავი,
როცა დედებმა გაბმულ კივილით,
თურქის ასკერებს შეაკლეს თავი.

როცა აბორგდა მიწა ჯავახთა,
ხალხი აკვნესდა, გაქრა ღიმილი,
ჭრელი სიზმრები კარგად არ ახდა,
ნორჩ გულში ჩაგრჩა შენც სიმძიმილი.

გავიდნენ წლები და მზის ნათებამ
აქაც მოშუშა ჭრილობა ძველი,
საქართველოშიც ბრძოლით გათენდა
დილა ბრწყინვალე და სანატრელი.

შენც იმ განთიადს შესთხოვე ძალა,
ტკბილი ღიღინით და ბავშვურ ძალით,
სოფლის ქარაფზე კვლავ გაიშალა
თეთრი ფარა და ჭრელი ნახირი.

მერე ჭაბუკმა გაშალე ფრთები,
თვალი შეავლე ამ არემარეს,
თითქოს გეძახდნენ ამაყი მთები, –
გულში ჩაიკარ მშობელი მხარე.

მახსოვს, რა ტკბილად იმღერე მაშინ
შენ, ჯავახეთის საგანთიადო,
მზე ციმციმებდა შენს გრუზა თმაში
და ხმას გიწმენდდა ხვალის იადონს.

მაშინ იყო რომ პირველ სიყვარულს
გულისფანცქალით გაუღე კარი,
და ამ ზენაარ ტკივილს, სიხარულს
უძღვენ ჭაბუკის მდუღარე ბწკარი.

ნარგიზმა მაშინ გტყორცნა ღადარი,
როცა საქვეყნოდ ახელდი თვალებს,
კვლავ ირხეოდა ბარში ჭადარი,
ეშხით უმღერდი ქუთათურ ქალებს.

უმღერე აბულს, წუნდას, ვარძიას,
კავკასიონის ჭაღარა ქედებს,
ტურფა სამშობლოს, მზიანს, ნაძვიანს,
კაკბებს, შურთხებს და ღუღუნა ქედნებს.

და გსურდა, ასე გემღერა მარად,
ახალი ყოფის საგალობელი,
ლექსი გეჯავშნა მშვიდობის ფარად,
გექო მიჯნურის ნარნარა წელი.

მაგრამ ყორნებმა გაიყაშყაშეს,
ატეხეს ომი და სისხლის დენა,
შენც თოფს დასტაცე მყის ხელი მაშინ,
წახველ სამშობლოს გადასარჩენად.

გულით იცავდი აკმანის მიწას,
ძველ არაბათის კედლების ახლოს,
ამბობდი: „ვითომ აზმანას ვიცავ,
ჩემს მამულს ხელი არავინ ახლოს“!

და როს სანგრიდან ისროდი ტყვიას,
მეხად ატანდი თან მებრძოლ სტრიქონს,
გელანდებოდა ნაცნობი ფია,
ვარძელაურში იწექი თითქოს.

ყორანმა ფრთები გაშალა შავი,
ასე მგონია, ეს იყო გუშინ;
ყირიმის მიწას შესწირე თავი,
ხელში შაშხანით, ლექსებით – გულში.

წლები გაფრინდნენ ქროლვით, ხმაურით,
ომებს მშვიდობის ქუხილი მოჰყვა,
მტერს დავულოცეთ გლოვა, ტრაური,
შენ კი სადა ხარ, რატომ არ მოხვალ?!

ისევ ჰყვავიან ბაღში ვარდები,
ძმათა ძახილის რატომ არ გჯერა!
რატომ არ მოხვალ, გულისნადები
გადმოადინო ლექსის ჩანჩქერად.

კვლავ კამკამებენ ფირუზი ტბები
და შრიალებენ ლერწმები წუნდის,
ამაყად დგანან ზურმუხტი მთები,
ცის თაღს აჭრელებს მტრედების გუნდი.

ქარაფს ამშვენებს კაკბების ჯელგა,
ისევ გაისმის შურთხების ზარი,
მთებს კვლავ ამშვენებს ღრუბლები ლეცა,
ისმის ღუღუნი ჩონგურის, თარის.

შენ კი სადა ხარ, გვითხარ თავადა,
წერომ თვრამეტჯერ გადაიარა,
მოდი, დაგვიდექ ლხინში თამადად,
მოგიშუშდება გულის იარა!..

ჯივანის მოტივებზე

თუ რომ ტურფამ მოგცეს ხელი,
შენც მოჰკიდე, რაღას ელი
ქალი, ბევრის საყვარელი
გინდ ყოფილა, გინდა არა!

სანამ ყრმა ხარ გულით სრულით,
სატრფიალოდ ძგერდეს გული,
მოხუცისთვის სიყვარული
გინდ ყოფილა, გინდა არა!

საბრძოლველად იყო გმირთან,
საქეიფოდ – ენატკბილთან,
ჭკვიანური სიტყვა ვირთან
გინდ ყოფილა, გინდა არა!

ცოდნის წყარო როდის შრება,
მას ჭკვიანი ეწაფება,
სულელისთვის დარიგება
გინდ ყოფილა, გინდა არა!

გონიერი ჭკუას ხმარობს,
ლოთი კიდევ – ღვინით ხარობს,
თუ რომ კაცი მუდამ მთვრალობს, –
გინდ ყოფილა, გინდა არა!

თუ ცაზე დგას კარგი დარი,
სასიმღეროდ კვნესის თარი,
მსუქან ლუკმის მეგობარი
გინდ ყოფილა, გინდა არა!

ზღვა რომ ზღვაა, ისიც შრება,
ფოლადიც კი ცეცხლში დნება,
მეტისმეტი მოთმინება
გინდ ყოფილა, გინდა არა!

მოწაფე გყავს ჭკუით მდარე,
რას ასწავლი, ოფლი ღვარე,
კედელს ფეტვი შეაყარე, –
გინდ ყოფილა, გინდა არა!

ტრფობის მალვა ბევრს სურს ბარე,
მეც ვეცადე, დიდხანს ვფარე,
ხანძარს თივა დააფარე, –
გინდ ყოფილა, გინდა არა!

რეგვენისთვის არის მდარე,
გინდ პირიდან ოქრო ყარე,
ბრმაკაცისთვის ტურფა მხარე, –
გინდ ყოფილა, გინდა არა!

ფარვანელი ქალწული

სადაც თქმულება მთით გადასული
ბარზე გადაწვა ფაფუკ ნისლებად, –
რომ აქ საქმროებს მეფის ასული
უქრობ ჩირაღდანს სთხოვდა ღირსებად...

და მაღალ კოშკით, წარბთა ჩეროდან
გზას გასცქეროდა ზღვისფერ თვალებით,
ჩაუქრობ ცეცხლის ნახვის სჯეროდა, –
გმირნი ეძებდნენ მას გამალებით.

ბოლოს ასულმა რულით, ზმორებით,
ტრფობის წალკოტი სევდით დანისლა
და ლეგენდარულ ცრემლის ტბორებით
მხარეს შესძინა ტბა ფარვანისა.

მაშინ თვითონაც ცრემლში ჩაინთქა,
თან სინანული ჩაჰყვა წამებად,
და ცუდმაშვრალი ჯგუფი რაინდთა
კვლავ ცეცხლს ეძებდა წვრილ ფარვანებად.

დრო დაედევნა წლების ქარავანს,
აბულს აეხსნა ნისლი ზვიადი,
და უქრობ ცეცხლად მისწვდა ფარვანას
ახალ ცხოვრების მზე – განთიადი.

დღეს ფარვანელი ტურფა ქალწული
ცეცხლის ლოდინით არ ითენთება,
აღარც ცრემლი სდის – თვალთა ნაწური
და ახალ ყოფის ცეცხლით ენთება.

ასე მახსოვს იგი ტკბილად

(ომში დაღუპულ პოეტ სოსო ბალახაძეს)

მე ის შემხვდა ჩემ ცხოვრების
სისხამ დილით, ალიონზე,
როგორც ნისლი, ფიქრის ბოლო,
ჩვენი მთების ყალიონზე.
როგორც ცეცხლი, ვერცხლის წყალი,
როგორც მდელო, თმაქოჩორა,
შევიტკბეთ და შევიყვარეთ
ერთმანეთი თანასწორად...
მაკვირვებდა მისი ალღო,
ქართულ ასოს მონახაზი,
მისი გული – მეგობრისთვის
გადაშლილი ფიანდაზი.
სადაც იყო, – შინ თუ გარეთ,
ლხინობდა თუ ჰქონდა სევდა,
სულ ებრძოდა ფრთიან ბწკარებს,
ყველგან ლექსებს ჩურჩულებდა.
გუთნის მანჭვი ეჭირა თუ
ცხენზე იჯდა ქორისთვალა,
უნდოდა, რომ დაღვრილიყო
წრფელ სიმღერის ნიაღვარად.
მეხრედ იყო, ხარს უმღერდა,
ლეიბზე თუ იწვა ქვაზე,
მეზობლებსაც ხშირად ლექსად
უყვებოდა სილამაზეს.
ყველგან, ყველგან ასე მუდამ,
პირს ეკერა ყოფნის ქება,
უნდოდა რომ ეწანწკარა
ლექსებად და სიმღერებად.
სალ კლდეებსაც, ქარაფებსაც,
მწვანე მდელოს, ფერად ბაღებს,
ყანას, ჭალას, ლოდებს, ქვებსაც,
მთებში ორბებს, იმ ფრთამალებს.
ამ ნაცარა კაკბის გუნდებს
და შავთვალა ტურფა ქალებს,
ყველას, ყველას უზოგველად
შეაყრიდა ლექსის ლალებს.
უნდოდა, რომ შენც გემღერა,
იცოდი თუ არ იცოდი,
შეგაჩვევდა ლექსის წერას,
დაიწყებდი ლექსით ცოდვილს.
აგიჟებდა რუსთაველი,
პოეტების ალამდარი,
დაგწვავდა და დაიწვოდა
ქართულ ლექსის ცხელ ღადარით.
ასე იყო ჩვენი სოსო,
ჩემი ტოლი, ჩემი კბილა,
ნურც წაშლილა მისი ხსოვნა,
ასე მახსოვს იგი ტკბილად!

ქალწულის ცრემლები

(ლეგენდა)

ქალი იყო პაემანზე,
გულში ედგა ტრფობის შვება,
სიო ეკრა ბროლის ტანზე
სიფრიფანა მარმაშებად.
ჭადრებს შორის ჭადარივით
იდგა ტყეში ვარდფურცელა,
აქ მოსული ადრე დილით
სატრფოს ბაგის საკოცნელად.
მწველ ლოდინით გათანგული
ასე დიდხანს იდგა ქალი,
არ ცხრებოდა ნორჩი გული,
ბილიკებზე შერჩა თვალი.
მზემ სხივებით ნება-ნება
ოქროს გულში ჩაილაგა,
ის ქალი კი ქანდაკებად
იდგა ისევ ერთ ალაგას.
მაგრამ ვაჟი არსად ჩანდა,
ფეხზე დადნა ქალი ლამის,
მზე მთებს იქით გადაქანდა,
ხევში ჩადგა მწუხრის ჟამი.
მხოლოდ სიო, პეპლისფრთება
დაჰქრის ტყეში დაკარგული,
ქალსაც სიო ეფერება,
თმებს უწეწავს სიყვარული.
თითქოს იყოს სუნთქვა ვაჟის,
უნდა ყურთან დაეკეროს,
ხან წამწამთა ტევრზე აზის,
ხან უკოცნის თვალთა ჩეროს.
ხანაც ყურში ჩასჩურჩულებს:
– „დაგიდგაო ჟამი მწველი,
ნუ ეძლევი ფიქრებს ულევს,
აღარ მოვა, ვისაც ელი.
შენ მე დამრჩი, ჩემო კარგო,
არ მექნება თვალზე რული,
ეცადე მეც არ დამკარგო,
შეიფერე სიყვარული.
მოგიტაცებ მსუბუქ ფრთებით,
მოგატარებ მთებს და ველებს,
მერე გულში ჩაგეკვრები,
შემოგაწნავ მსუბუქ ხელებს.
კვლავ გიმღერებ, რომ დაგატკბო,
რაც კი ქვეყნად მიმღერია,
მე ვიქნები შენი სატრფო,
შენ კი ჩემი ტყის ფერია...“
ქალი სევდამ გადათოვა,
ყურს მოესმა გულის ძგერა:
– „ნუთუ, იგი აღარ მოვა?..
არა მჯერა, არა მჯერა“!
ვიდრე შეკრთა კვლავ ცისკარი,
იდგა ქალი შენაშფოთი,
მაგრამ ვაჟი არსად არი,
ვაჟი ქალთან აღარ მოდის.
მაშინ ქალი გულმდუღარე,
თვალგიშერა, ალვისტანა,
აქვითინდა მწარე-მწარედ
და კანკალმა აიტანა.
მერე დარდით დადნა იგი,
და იქ, სადაც იდგა ქალი,
უხვ ბუნების წესით, რიგით
კლდეში ჩადგა ბროლის წყალი.
და მას შემდეგ დღე ცისმარე,
ამ მთის თხემზე „ქალის წყარო“,
სატრფოს სტირის გულმდუღარედ
და ცრემლებად მოწანწკარობს.

არბო-და კიევი

ახლახან ერთმა ქართველმა პარლამენტარმა თქვა: **„კიევში რაც ხდება, ჩვენთანაც შეიძლება მოხდეს, პუტინის რუსეთი ჩვენი მიმართულებითაც გააქტიურდებაო."**

ეტყობა, თბილისში, საკუთარ სახლთან რომ ნახავს მავთულხლართს, მაშინ იტყვის: **„პუტინის რუსეთი ჩვენი მიმართულებითაც გააქტიურდა!.."**

გორის რაიონის სოფელ არბოში სოლომონ მაისურაძის ლამაზი ეზო. ეზოს წინ, რამდენიმე მეტრში მდინარე პატარა ლიახვია; მდინარის გადაღმა – გაპარტახებული ქართული სოფლები, ცოტათი შორს – რუსი ოკუპანტების მოზრდილი ბაზა იბღვირება. სახლის მარცხნივაც და უკანაც საოკუპაციო ზოლი და გავერანებული ქართული სოფლებია – თითქოსდა ნახევარკუნძულზეა ბატონი სოლომონის სახლ-კარი.

– რუს-ოსებმა სახლების კედლებიც კი აგურ-აგურ დაშალეს და მასალად დაიტაცეს – დანანებით ამბობს სოლომონის მეზობელი. სოლომონი აგრძელებს:

– არბოში 100 სახლიდან 40 უკვე ცარიელია; თუ რაღაც არსებითად არ შეიცვალა, მალე აღარავინ დარჩება აქ; მე არბოს წმინდა გიორგის ძალა მაძლებინებს – სევდიანად იყურება იქვე მდგარი ეკლესიის მიმართულებით, თუმცა მზერა უფრო შორს იკარგება.

მის მზერას ფიქრით მივყვები; პაუზის შემდეგ ვამბობ:

– იქით ბორჯომ-ბაკურიანია, იმის იქით კი – სომხეთის ქალაქი გიუმრი, სადაც რუსების დიდი ბაზაა – კულბითის მაცხოვრის ეკლესიის სიახლოვეს აღმართული რუსული ბაზიდან გიუმრის დიდ სამხედრო ბაზამდე სახმელეთო გზის გაყვანა უნდა რუსეთის იმპერიულ ამბიციას, რომ საბოლოოდ აკონტროლოს კავკასია-წინა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის გასაღები...

სოლომონი მპასუხობს:

– არქიტექტორი ვალიკო ჭილაშვილი ცხოვრობდა კულბითში; თავისი ხელით ააშენა ქართული ციხესიმაგრე და გაამშვენიერა, რომ კარგად წარმოჩენილიყო ქართველთა სიძლიერე და ტრადიციული კულტურა... რუს-ოსებმა მასაც გადაუწვეს სახლ-კარი, მის აგებულ ციხეს კი დაეპატრონენ. თავად გადარჩა და საგურამოში ჩაასახლეს 2008 წელს საოკუპაციო ხაზის გაფართოების შემდეგ. ახლახან გავიგე, საგურამოში დაუჭერიათ ეს დიდებული კაცი ხის გადანაჭერის (ფიცრის) სახლში წაღებისათვის...

რა გვჭირს?

– უარესს გეტყვით, – აგრძელებს სოლომონის მეზობელი:

– აქვე ახლოსაა სოფელი დიცი; არბოს მსგავსად, დიცზეც გადის საოკუპაციო ხაზი; გამყოფი ხაზიდან რამდენიმე მეტრში ცხოვრობს გორის უნივერსიტეტის რექტორი ბატონი გიორგი სოსიაშვილი; დედაც აქ ჰყავს და ცოლ-შვილიც; ყოველდღე სოფლიდან დადის უნივერსიტეტში; ამბობს: გორის სახლში რომ დავრჩე ღამე, რა პირით შევხედო ჩემს მეზობლებსო; ყოველ დილით რომ ჩაივლის გორისკენ, ტიძნისის, ტყვიავისა და კარალეთის მცხოვრებთ, ზოგადად, ყველა აქაურს, ძალა გვემატება: ამხელა თანამდებობის კაცი დიცს რომ არ ტოვებს, ე.ი. კიდევ გვაქვს გადარჩენის შანსიო... სოსიაშვილის შესახებ კი ვინმე აფციაურს, ჟურნალისტს დაუწერია: დვანში რომ ვიყავით აქციაზე ჩასული თბილისელი და გორელი ჟურნალისტები, ჩვენს აქციას რექტორი არ დაესწროო და გაულანძღავს... ჩვენ აქ, საოკუპაციო ზოლთან, ყოველდღიურად სიცოცხლის რისკით ვცხოვრობთ, ზოგი კი ერთხელ ჩამოვა და, დახმარებას ვინღა ჩივის, აქეთ გვლანძღავს.

სოლომონის ეზოში ღამდება: მარანთან დანთებულ ცეცხლს ვეფიცხებით. რამდენიმე ასეულ მეტრში, ლიახვს გაღმა, გაპარტახებული სოფლები – ნასოფლარები: მერეთი, ქსუისი, დისევი, კურბითი – ბნელში ნელ-ნელა უჩინარდება; იქვე, **შამბირეთის** ფერდობზე კი მკაფიოდ იკვეთება რუსული ბაზა, რომელიც ღამეულ ზღვაში მდგარ მეკობრეთა გაჩახჩახებულ უზარმაზარ გემს მაგონებს...

რომც არ ციოდეს, ბნელეთში მდგარი ამ მოჩახჩახე ურჩხულის ფონზე სუფრას ვერ მივუჯდებით. სახლში შევდივართ; მჭიდროდ მოხურული კარი: ფსიქოთერაპია ურთიერთმოფერებით, გმირებისა და წინაპრების ხსოვნა... სოლომონის საოცრად კარგი ღვინით და გზადაგზა სოლომონის მონათხრობის ჩემეული ჩანიშვნები.. აქ მოკლედ მოვიყვან სამ ამბავს:

12 თელა და 9 ლეკი.

მიხა პაპამ, – მიხა გვიმრაძემ, ახლა 120 წლისა იქნებოდა, ჩემი ბავშვობისას მიამბო ერედველი ვაჟკაცის ამბავი, რომელიც ძალას მუდამ მმატებს (ფიქრებიდან ამოდის და მერე აგრძელებს):

კახეთში, სოფელ ქედში წავედით ხორბლის საყიდლად; ერთმა საოცრად დამახინჯებულმა კაცმა როცა გაიგო, რომ არბოდან ვიყავით, გვკითხა:

12 თელა რომ ჰქვია, ის ადგილი იცით?

– როგორ არა, ახლოს ვცხოვრობთ – ვუთხარით გაოცებულებმა: არც ერთი ყური არ ჰქონდა, სახეც დასერილი ჰქონდა...

– ჩემი დამახინჯებული სახე გაკვირვებთ? სწორედ 12 თელას უკავშირდება ჩემი დამახინჯება: მე ლეკი ვარ; მე და ჩემი 8 ძმაკაცი საყაჩაღოდ წავედით ცხინვალისკენ; ერედვში ბევრი ოჯახი გავძარცვეთ ერთ ღამეში; რამდენიმე ცხენით მიგვაქვს დიდძალი ნაძარცვი... თენდება, 12 თელასთან რომ მივაღწიეთ (ცხინვალიდან 7 კილომერზეა – **ტ.ფ.**), ვხედავთ, უცხენო ახალგაზრდა კაცი მოღიღინებს; ეტყობა, თავადია: ლამაზი ჩოხა-ახალუხი აცვია. ჩვენ, 9 კაცი თოფებითა და ხმლებით ვართ, ის ერთია ერთი ხანჯლით. ჩემს ერთ ძმაკაცს მოეწონა მისი ჩოხა და უთხრა, გაეხადა; მეორემ ახალუხი მოსთხოვა; მესამემ – ხანჯალი; მეოთხემ – ჩექმას დაადგა თვალი. გაიხადა ჩოხა-ახალუხი, ხანჯალიც შეიხსნა; – ჩექმაც წაიღე, ბატონო ჩემო, ოღონდ გამხადეთ, მე ჩექმას ვერ ვიხდი, თუ სხვა არ მომეხმარაო; ჩამოხტა ცხენიდან ჩემი ძმაკაცი; ჩექმას წაეტანა გასახდელად. მისკენ როცა გადაიხარა, უჩოხოდ დარჩენილმა ქართველმა, ჩემს ძმაკაცს საოცარი სისწრაფით ამოუღო ქარქაშიდან ხმალი და თავი გააგდებინა, ასევე წამებში ჩამოგვიქროლა ყველას და ყველა დაანვინა იმავე ხმლით; მე მითხრა: შენ ლეკებს ამბავი წაუღე, მაგრამ უნიშნოდ არ გაგიშვებო და ერთი სწრაფი მოძრაობით ასე დამამახინჯა...

მიხა პაპამ თქვა, ის ახალგაზრდა თავადი ან ბაქრაძე იქნებოდა, ან ფავლენიშვილიო... უფრო ფავლენიშვილიო...

ასეთი ქართველი დღესაც ბევრია – ამბობს სოლომონი, მაგრამ გათითოკაცებულია ყველა; ღმერთო, ისე ნუ მომკლავ, რომ არ ვნახო ერთად შეკრული მართალი ქართველები; მანამდე ვერ აღდგება ვერც ერედვი, ვერც კურბიეთი, ვერც დისევი თუ ქურთა და ვერც აფხაზეთი ვერ დაგვიბრუნდება...

ჟურული და გუღაძე.

სოლომონ მაისურაძის მიერ მოყოლილმა მეორე ამბავმა არბოელი ჟურულების გვარის ისტორია გაატარა ჩვენს თვალწინ: მე-18 საუკუნის ბოლოს ბელოთსა და არბოში მსახურობდა დეკანოზი ანდრია ჟურული. გიორგი XII-სა და იულონ ბატონიშვილს შორის ინტრიგებში მონაწილეობდა – ორივე მხარეს ატყუებდა და აქედან მოზდოკში გაქცევა მოუწია. ანდრიამ თან წაიღო არბოს წმინდა გიორგის ბაზილიკაში დაცული წმინდა გიორგის ნაწილი, რომელიც წმინდა გიორგის ხატში ყოფილა მოთავსებული. მოზდოკში ჩასულ ანდრიას რუსი დიდვაჭარისთვის მიუყიდია სიწმინდე; მალევე თავში რაღაც დასცემია და მომკვდარა. იქაურ ქართველებს გამოუსყიდიათ წმინდა ნაწილი და არბოში დაუბრუნებიათ. ანდრია ჟურულის ერთ-ერთმა მემკვიდრემ – დურმიშხან ჟურულმა – ბაზილიკის გვერდით დიდებული ეკლესია ააგო, ისევ წმინდა გიორგის სახელობისა...

აქაური ჟურულების გვარი მაინც გადაშენდა: მათ სახლში – სიძე მაკარაშვილი ცხოვრობდა; ეს მაკარაშვილებიც რუსეთში გადასულან; სწორედ ამ გვარის წარმომადგენელს ეკუთვნის პისტოლეტ „მაკაროვის" გამოგონება... ჟურულების ნაფუძარზე კიზირია მოსულა, მისი მემკვიდრეა ცნობილი „არბოჰესის" ამშენებელი ანატოლი კიზირია.

მაკაროვისა თუ „არბოჰესის" ისტორია ახლა არ მაინტერესებს: დარდი მკლავს: ზუსტად ვიცი: ქართველები გადავრჩებით იმ შემთხვევაში, თუკი ტელესივრცეს ველარ მოწამლავენ ჩვენი წმინდანების მლანძღველი ბუღაძისნაირი ლაწირაკები და როცა ეკლესიაში გულწრფელად ილოცებს ქართველთა ნახევარი მაინც; ეს დრო კი გვიანდება და გვიანდება...

8 ხარი და მისისხლხორცება.

– ჩემს ბავშვობაში მეკალოეს მეძახდნენ: მიყვარდა პურის ლეწვისას კევრზე ჯდომა; ახლაც მახსოვს ყველა იმ 8 ხარის სახელი, მაშინ კევრში რომ გვება: საძირეში (პირველ რიგში) გვება ღვინია და ნაპოვნელა; შემდეგ – ბუღრია და კუდა; შემდეგ – წიკარტა და ტოროლა, ბოლოს კი – თაფლა და ნაცარა... მახსოვს, ბუღრია გადაგვეჩეხა და დაიმტვრა; ვეხვეწებოდი, არ დაეკლათ: ცოცხალი იყო, მაგრამ ვერ დგებოდა. თვალები ისეთი სევდიანი ჰქონდა, ვტიროდი; ვტიროდი და ვეხვეწებოდი, არ დაეკლათ...

რელსებიდან გადავარდნილი მატარებელივით მიხოხავს ჩვენი ქვეყანა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ... ვერაფერს ვშველი; ასე მგონია, ბუღრიას თვალებით მიყურებს ჩემი ქვეყანა... მეტი არაფერი შემიძლია: მისისხლხორცებული ვარ ჩემს არბოს და ვიტანჯები, როგორც ჩემი ბავშვობის ბუღრია.. მეც და ჩემი ქვეყანაც დამტვრეულ ბუღრიასავით ვართ, მაგრამ ბუღრიასგან განსხვავებით, საქართველო უნდა წამოდგეს!

საოცარად თბილ-რიტუალური ქართული პურობა ყველა ტკივილს გვაძლებინებს...

გათენდა. გარეთ გამოვდივართ: წუხანდელი სუფრული „მოგზაურობიდან" ისევ ოკუპირებულ რეალობაში ვბრუნდები. დილით უფრო ცივა; წვიმს; თოვლსაც ურევს. მე მოვდივარ თბილისში, სადაც თბილი სახლი მელოდება, რომელიც ნამდვილად ვერ გაათბობს არბოში ყოფნისას ჩემში შემოჭრილ დიდ სიცივეს.

სოფელი არბო:

სოფლის ცენტრში წმინდა გიორგის ორი ეკლესია დგას: X საუკუნეებში აგებული ბაზილიკა და იქვე XIX საუკუნის 20-იან წლებში აღმართული ლამაზი ტაძარი, ტაძარი, რომლის აგება იმ ჟურულის ერთ-ერთმა შთამომავალმა – დურმიშხან ჟურულმა ითავა... იქვე ახლოს დგას ანტონ ფურცელაძის დაქცეული სახლის ერთი კედელი, შორიახლოს კი ნიკო ლომოურის ცივად გამოკეტილი სახლ-კარი.

სოფელი ნელ-ნელა იღვიძებს... იღვიძებს მეზობელი ქორდიც, დიციც... დიცში ერთ სახლზე მიმითითა ჩემმა მეგობარმა და მითხრა: „იქ ერთი ოსი ქალი ცხოვრობს; 2008 წლის აგვისტოში, მთელი ეს უბანი გაძარცვას გადაარჩინა..."

თბილისსა თუ რუსთავში, ასევე, საქართველოს სხვა შიდა რაიონებში, ბევრი ისეთი ოსი ცხოვრობს, რომლებიც საქართველოს ერთგულნი არიან; ზუსტად ვიცი: საქართველოში არ გვაქვს ქართულ-აფხაზური თუ ქართულ-ოსური კონფლიქტი; ოსთა, აფხაზთა, სომეხთა თუ ქართველთა ნაწილს დღესაც საზარბაზნე ხორცად იყენებს კავკასიაზე კონტროლის შენარჩუნების მოსურნე კრემლი.

ამას როცა ვწერ, თბილისში შუაღამეა, მაგრამ ნათლად ვხედავ ჩემთვის სახე-სიმბოლოდ ქცეულ სოლომონის ეზოს, ეზოს რომელიც ნახევარკუნძულივითაა შეჭრილი ოკუპირებულ ზოლში: სოლომონის სახლ-კარი არბოში მდგარ ციხესიმაგრედ მოჩანს.

როდემდე გაძლებს?

ყურში ჩამესმის ამაყად მდგარი ჭარმაგი ახალი მეგობრის სიტყვები:

– ჩემო ტარიელ, არბოს ცენტრში მდგარი წმინდა გიორგის ეკლესიებიდან ჩემს სახლამდე მომავალ ამ ტალახიან გზას მე დავით აღმაშენებელის ქუჩა ვუწოდე!

მე ჩემი სახლიდან ვპასუხობ (და მას ესმის, ასე მგონია):

–ბატონო სოლომონ, არ მიყვარს მშვიდობის სადღეგრძელო; არ მიყვარს იმიტომ, რომ საშინელებაა დამარცხებული კაცის მშვიდობა; თუკი სუფრასთან ასეთ სადღეგრძელოს იტყვიან, მე ვამატებ: „მშვიდობას კი არა, გამარჯვებული კაცის მშვიდობას გაუმარჯოს"!.. ახლა, მით უმეტეს, არ მინდა, ეს სადღეგრძელო. ერედვიდან არბომდე სულ 3 კილომეტრია; რამდენიმე წლის წინ ამ მანძილს რამდენიმე წუთში გაივლიდა ქართველი კაცი...

დაბოლოს, იმ პარლამენტარის (ზოგადად, ქაფის პოლიტიკოსების) გასაგონად:

სოფელ არბოში წინაპრების დედმიწას მისისხლხორცებული სოლომონ მაისურაძის ციხესიმაგრე საქართველოს გრუშევსკია, გრუშევსკი, რომელზეც რუსულ-ევროპული გეოპოლიტიკური საზღვარი წლების წინ გავიდა, საზღვარი, სადაც არბოელები, დიცელები, ქორდიელები... ისევ ღირსეულად დგანან რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ და დგანან გაცილებით უფრო დიდი ხანია, ვიდრე გრუშევსკის გმირები.

ტარიელ ფუტკარაძე

31.01.2014

მტერს არ სძინავს...

ბონდო არველაძე

აგერ რამდენიმე ათეული წელია სამეცნიერო და ფართო მკითხველი საზოგადოება განებივრებულია პროფესორ **გელა საითიძის** ნარკვევებით და სტატიებით, რომელნიც ხშირად ქვეყნდება ქართულ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ახლახან კი გამოვიდა მისი ვრცელი კრებული – „ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევების“ სახელწოდებით. მასში თავმოყრილია გასული საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან დაწყებული, დღემდე გამოქვეყნებული მისი რჩეული ნაწერები. ეს საკმაოდ ვრცელი მოცულობის კრებული ნაყოფია წლების მანძილზე ფუტკარივით შრომისა, რომელმაც თითქმის ჩემ თვალწინ გაიარა. გელა მუდმივი მკითხველია ილია ჭავჭავაძის საჯარო ბიბლიოთეკისა, კერძოდ, ქართველოლოგიის კაბინეტისა. ეს ტრადიციული დარბაზი, სადაც მეცნიერ-მკვლევართა მთელი თაობები გაიზარდნენ, მის გარეშე ვერ წარმომიდგენია. მას ამორჩეული აქვს პირველი მაგიდა, მის კუთხეში, კედელთან ზის და დინჯად შლის ძველი ჟურნალ-გაზეთების გაყვითლებულ ფურცლებს... დიახ, ასეთი მუყაითი შრომა-გარჯით იქმნება ჭეშმარიტი სამეცნიერო შრომა. ამის ერთ-ერთი მაგალითია აღნიშნული კრებული. იგი იწყება 1921 წლის 25 თებერვალს მე-11 არმიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისადმი მიძღვნილი ახალი ფაქტობრივი მასალებით გაჯერებული სტატიით. ამდენხანს ვიცოდით, თითქოს ლენინი მაინცდამაინც არ იყო მომხრე საქართველოს ანექსია-ოკუპაციის, მაგრამ, აღმოჩნდა პირიქით: აგრესიის ინიციატორი, რა თქმა უნდა, სტალინთან ერთად, ისიც ყოფილა. ეს ირკვევა 1921 წლის 28 იანვარს სტალინის მიერ ს.ორჯონიკიძისადმი გაგზავნილი წერილიდან. მასში ვკითხულობთ: **„ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება გასწიოს მოსამზადებელი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ შესაძლოა საჭირო შეიქმნას სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია. გადაწყდა აგრეთვე, შეკითხვა გაუგზავნონ კავკასიის ფრონტს ჩვენი ძალების სამხედრო ძლიერების მდგომარეობაზე, იმაზე, თუ რა ძალები დაგვჭირდება კიდევ, რომ უეჭველად დავამარცხოთ საქართველო... მე და ილიჩი ველით შენგან ზუსტ გაუზვიადებელ პასუხს“.**



ამონარიდიდან ნათლად ჩანს, ლენინი საქმის კურსშიც იყო და უშუალოდაც მონაწილეობდა საქართველოს ოკუპაციის მომზადებაში. მათ ეს ოკუპაცია იმისთვის სჭირდებოდათ, რომ საქართველოს გავლით სურსათ - სანოვაგე მიეწოდებინათ საბჭოთა სომხეთისთვის.

განა სომხეთისთვის სურსათ-სანოვაგის საქართველოზე ტრანსპორტირების მომიზეზებით არ დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა რუსულმა ურჩხულმა 1993 წელს?!.. რუსეთს გულზე ეკლად ესობოდა და ესობა საქართველოს დამოუკიდებლობა და, ამიტომაც, მყისიერად აამოქმედა „პროლეტარიატის ბრძენი ბელადის“ – სტალინის მიერ ქართულ მიწაზე ჩადებული ნელმოქმედი ნაღმები – აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის სახით.

მაგრამ, მივუბრუნდეთ წარსულს: 1921 წლის თებერვლის შუა რიცხვებში თბილისში გავრცელებული პროკლამაციით ცნობილი გახდა ე.წ. „შულავერის“ საქართველოს რევკომის წევრთა შემადგენლობა. მკვლევარს მოტანილი აქვს ფაქტის შესახებ საინტერესო კომენტარი, რომელიც გაზეთ „საქართველოს“ გაუკეთებია: **„ეს პროკლამაცია კიდევ ერთი ხერხია რუსი ბოლშევიკების პროვოკაციისა. გულუბრყვილო ადამიანს შეუძლია იფიქროს, თითქოს რუსის წითელი არმიები იმიტომ ღვრიან თავიანთ სისხლს, რომ ფილიპე მახარაძე დასვან საქართველოს მთავრობაში.**

ნამდვილად რუსი ბოლშევიკების ერთადერთი მიზანი ის არის, გაანადგუროს საქართველოს რესპუბლიკა და ისე დაუმორჩილოს დიდ რუსეთს, როგორც აზერბაიჯანში, სომხეთსა და სხვაგან ჰქნეს, სადაც კი მივიდნენ. შულავერის რევკომში თითქოს ერთი რუსიც არ ურევია, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეს მოხერხებული ანკესია, რომელზედაც უნდათ წამოაგონ ქართველი ხალხის სიფხიზლე და თავდაცვის ენერგია.

რუსი ბოლშევიკების ეს ხერხიც ვერ გავა და „საქართველო“ დაწყევლის როგორც მათ, ისე მათგან გამასხარავებულ ქართველ კომუნისტებს“.

ამას წერდა გაზეთი 1921 წლის 23 თებერვლის ნომერში. ორი დღის შემდეგ წითელი „ბრადიაგების“ მე-11 არმია შემოვიდა თბილისში, რომელსაც წინ მოუძღოდა ავადსახსენებელი სერგო ორჯონიკიძე... 70-წლიანი შავი სუდარა გადაეფარა ქართველი ხალხის ეროვნულ სულს!..

1900-იანი წლების ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან თავისი ეროვნული შემართებით გამოირჩეოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს ჟურნალი „კლდე“. ამ ჟურნალის დაარსების ინიციატორი იყო ფრიად განათლებული და პატრიოტი ქართველი – **დავით ვაჩნაძე.** ჟურნალის მიზანი იყო „ერის გამომაფხიზლებელ მესაყვირედ“ ქცეულიყო იგი. მისი თანამშრომლები იყვნენ რეზო გაბაშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე („ფრონელი„), შალვა ამირეჯიბი, დავით კასრაძე, მიხეილ მაჩაბელი, დიმიტრი ჯავახიშვილი და სხვ. მათი პროგრამიდან გამოყოფდი მონოდებას – **„საქართველო ჯერ ქართველებისთვის“.** ამ ლოზუნგის საჭიროება წარმოიშვა იმიტომ, რომ იმ დროს (1915-1919) ოსმალეთში განხორციელებული სომეხთა ე.წ. გენოციდის შედეგად საქართველოს მოაწყდა ასეულ ათასობით სომეხი ლტოლვილი. ეკონომიურად შეჭირვებულ საქართველოს არ შეეძლო ამდენი ლტოლვილის მიღება და დაბინავება, ამიტომ **მენშევიკურმა მთავრობამ მიმართა სომხეთის დაშნაკურ ხელისუფლებას, რომ მათი თანამემამულეების გარკვეული ნაწილი მაინც მიეღო, რაზეც დაშნაკებმა უარი განაცხადეს, იმ მოტივით, რომ სომხეთს უჭირდა და მათ ვერ გამოკვებავდა.**

როგორი პასუხია?!..

რა, ამ დროს საქართველოს ულხინდა?!..

ათასობით საკუთარი ლტოლვილი თანამემამულე მშიერ-მწყურვალი, სიცივეში ბაკურიანის და აწყურის ტყეებში სულს ღაფავდა. მიუხედავად იმისა, დაშნაკებმა ასე გულგრილად განირეს ჩვენთან შემოხიზნული სომეხი ლტოლვილები. საქართველოს მთავრობა ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, შესაძლებლობის ფარგლებში, სომეხი ლტოლვილებისთვის მიეხედა. ამ დროს ქართველთმოძულე დაშნაკი აგიტატორები კი დაძრწოდნენ სომეხ ლტოლვილებთან ბანაკებში და საქართველოს წინააღმდეგ აქეზებდნენ. მათმა ანტიქართულმა შოვინისტურმა აგიტაციამ საპირისპირო შედეგი გამოიღო. ამას მოწმობს საქართველოს მთავრობის სახელზე დაწერილი სომეხ ლტოლვილთა არაერთი მიმართვა, რომლებშიც წერდნენ – **გთხოვთ მოგვაშოროთ დაშნაკი აგიტატორები, ისინი საქართველოს წინააღმდეგ გვაქეზებენო!**

სომხეთის დაშნაკური მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა ჯავახეთი სომხეთისგან არ დაცარიელებულიყო, ეს კი რეალური იყო, რადგან ოსმალეთის ჯარები ახალქალაქის მაზრის ტერიტორიაზე შემოიჭრნენ და ჯავახეთის შეშინებული სომეხი მოსახლეობა გაქცევით შველოდა თავს. ეს კი დაშნაკების ანგარიშში არ შედიოდა. თუ სომხები ჯავახეთში არ იქნებოდნენ, მაშინ სომხეთის დაშნაკურ მთავრობას საფუძველი აღარ ექნებოდა მოეთხოვათ ჯავახეთის მიერთება სომხეთთან...

ეს მცირე წიაღსვლა გავაკეთე იმიტომ, რომ ამ დროს – **„ქართული ტერიტორიების შენარჩუნებისათვის ბრძოლა ჟურნალ „კლდის“ ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა, ვინაიდან მასში ირეკლებოდა საქართველოს მომავლის ბედი“,** – მართებულად წერს გელა საითიძე.

ქართული მიწების და სომეხ ლტოლვილთა საკითხთან დაკავშირებით რეზო გაბაშვილი ამბობდა: **„რა თქმა უნდა, საჭირო იყო გაჭირვებაში ჩავარდნილის ხელის გამართვა, მაგრამ ასევე აუცილებელი იყო ქართველებსაც ეფიქრათ თავის თავზე – ყოველი ადამიანი ვალდებულია ხელი წააშველოს დავრდომილს და შეინახოს იგი, მაგრამ როცა ეს დავრდომილი აღემატება მის ძალას, იგი ვალდებულია თავის თავზე იფიქროს“.**

ჟურნალ „კლდის“ ამ პოზიციის გამო დაშნაკურმა გაზეთებმა (თუმცა რომელი არ იყო დაშნაკური) „მშაკმა“ და „ჰორიზონმა“, ისტერიული წივილ-კივილი ატეხეს და შოვინიზმში დაადანაშაულეს „კლდეისტები“. არა და, მათ არასოდეს არ უთქვამთ: „საქართველო მარტო ქართველებისთვის“! „კლდეისტების“ ლოზუნგი იყო – **„საქართველო ჯერ ქართველებისთვის“!** რაც ნორმალურია და მასში არმენოფობია არ იკითხება. გელა საითიძისა არ იყოს – **„თუ კაცი გეტყვის – არას გერჩი, ოღონდ ჩემს კარმიდამოში ჯერ მე მომეცით სულის მოთქმის საშუალებაო, განა ეს სომეხმოძულეობას ნიშნავს„?**

ჟურნალ „კლდის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა აგრეთვე სტატიები, რომლებშიც პრინციპულად მოითხოვდნენ ცარიზმის მიერ გაუქმებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. აგრეთვე მოითხოვდნენ საქართველოს ეკლესიიდან რუსეთის მიერ მიტაცებული ასეულმილიონობით მანეთის ღირებულების ქონების უკან დაბრუნებას.

კრებულის ერთ-ერთი საინტერესო წერილია **„მტერს არ სძინავს – ფხიზლად ვიყოთ ქართველებო“!** მასში მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანად არის გაანალიზებული წითელი რუსეთის წინასწარი სამზადისი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასამხობად. ყოველივე ამას, როგორც ითქვა, – ლენინი უძღვებოდა. 1921 წლის 26 იანვარს ერთა ლიგამ საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო. ამ ფაქტმა გააცოფა ლენინი და სტალინი. მათ სასწრაფოდ მოიწვიეს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი და დადგენილება გამოიტანეს: **„საქართველო საშინლად გათავხედდა, არის თუ არა საკმარისი კავკასიის ფრონტის სამხედრო ძალები საქართველოსთან მოახლოებული ომისთვის? მიეცით დირექტივა რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს და კავკასიის ფრონტს, თუ საჭირო იქნება, მოემზადონ საქართველოსთან ომისათვის“.**

ლენინმა შუქი აუნთო წითელ ჯარს საქართველოს ოკუპაციის განსახორციელებლად. დანარჩენს უკვე სტალინი ხელმძღვანელობდა, ორჯონიკიძე კი, – მისი ხელის ბიჭი, სამხედრო ოპერაციას პრაქტიკულად ასრულებდა.

გელა საითიძე კარგად წერს: **„ი.ჯუღაშვილმა თავისი მშობლიური ენის ცოდნა იმაში გამოიყენა, რომ მოსკოვიდან ბაქოში გაგზავნილ ტელეგრამაში ორჯონიკიძეს ქართულად აცნობა: „დასტურია. მიდი, აიღე ქალაქი“! ე.ი. სამშობლო ქვეყნის დედაქალაქი თბილისი საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში დააბრუნეო...“** ო, როგორ ჰგავს ეს თანამედროვე სიტუაციას, ოღონდ გვარსახელებია სხვადასხვა, თორემ დანარჩენი ტყუპისცალივით ანალოგიურია!.. ჯობია მოვუსმინოთ გელა საითიძეს, რომელიც უხმობს დიდ ნიკო ნიკოლაძეს – **„მოყვრად და მეგობრად მოწვეული რუსი მალე გადაიქცა ჩვენში ბატონად და სასტიკ მტარვალად. დიდი ზიანი ნახა ბედშავმა საქართველომ ამ შეუსაბამო კავშირით, ბევრი ჭირი და ვარამი, ტანჯვა-ვაება და აწიოკება განიცადა მან რუსის მთავრობისაგან, მისი სალდათ-ჩინოვნიკებისაგან. ბევრი უმანკო სისხლი დაიღვარა საქართველოში, ბევრი ღირსეული შვილი კოლხეთ-ივერიისა დაიღუპა ციმბირის ტუნდრებში, აურაცხელი დამცირება განიცადა ქართველმა ერმა, აუარები მიწა-მამული ჩამოერთვა მას, შერაცხეს სახაზინოდ და დაასახლეს ზედ უცხო ტომნი, განსაკუთრებით რუსები და სომხები... ეს იყო სატანური პოლიტიკა ერის გარუსების, გადაგვარების, მოსპობის და განადგურების. რუსის მთავრობამ მოსპო ჩვენში ქართული მართვა-გამგეობა, ეკლესია, სკოლა, სასამართლო და ნაცვლად დაამყარა ყველაფერი რუსული. მან მოიწადინა ქართული სულის ამოგლეჯვა, ე.ი. ჩაიდინა ის, რაც არ ჩაიდინეს ჩვენში აზიის უსაშინლესმა მტარვალებმა 2000 წლის განმავლობაში“.**

ნიკო ნიკოლაძე ამას წერდა 1918 წლის მარტში. მან ყველაზე უკეთ იცოდა რუსის ავადმყოფური დამპყრობლური ფსიქიკა, რუსეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ისტორია ხომ იცოდა და იცოდა, მან გააფრთხილა ქართველი ერი, რომ რუსეთი არ შეურიგდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას...

ჩვენი დიდი წინაპრის თითქმის საუკუნის წინ ნათქვამი ეს სიტყვები, სამწუხაროდ, დღესაც აქტუალურია, რადგან **დედამიწის ავთვისებიან სიმსივნეს – რუსეთის იმპერიას** დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო ახლაც ეკლად ესობა გულზე და ყოველგვარ სისაძაგლეს ჩადის, რათა მისი სწრაფვა დასავლეთისკენ, შეაჩეროს და გზას ააცდინოს. კიდევ უფრო სავალალოა, რომ მას ჰყავს ახალი სერგო ორჯონიკიძეები, ფილიპე მახარაძეები და ლევან ღოღობერიძეები... ერის გამყიდველები, ე.ნ. ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის სახით. ისინი დაუფარავად აცხადებენ, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, საქართველოს რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად გადააქცევენ... ღმერთმა დაიფაროს ასეთი პრეზიდენტისაგან საქართველო, თორემ ისევ სამგლოვიარო რექვიუმად აკვნესდება კოლაუ ნადირაძის ტრაგიკული სტრიქონები:

„თოვდა და თბილისს ეხურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი...
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
შემოდიოდა სიკვდილის ცელი“.

ეს უბედურება კვლავ რომ არ დაატყდეს საქართველოს, გელა საითიძე გვაფრთხილებს: **„მტერს არ სძინავს, ფხიზლად ვიყოთ, ქართველებო“!**

სულმოუთქმელად წავიკითხე – **„მკვდრეთით აღდგომის პირველი დღესასწაული“.** ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის – **1918 წლის 26 მაისის, – სიხარულის და ეროვნული ბედნიერების მცირე მემატიანე. მას ქართველი ერი სულ ცოტა 117 წელი ელოდა, ელოდა, მაგრამ გულხელდაკრეფილი არასოდეს ყოფილა ერთი წუთითაც კი. დროდადრო გაიბრძოლებდა ხოლმე, რომ ცარიზმის კოლონიური უღლისაგან თავი დაეხსნა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ რუსის ჩექმამ მძიმე ბეჭედი დაასვა ქართველი ერის სულს. მათმა ბატონობამ დათრგუნა და დაჩაგრა ქართული კულტურა, ქართული რაინდობა და კეთილგონიერების ნაცვლად, შთანერგა ბრმა მიმბაძველობა და მონური სული, ერის ფსიქიკა, ნიჭი, ინიციატივა და შემოქმედება, ამასთან ერთად ეროვნული გრძნობა და შეგნება“** – წერდა ნიკო ნიკოლაძე ***(გაზეთი „საქართველო, 1918).***

გელა საითიძეს პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული აქვს ქართველი მწერლებისა და პუბლიცისტების წერილები, რომლებშიც გადმოცემულია საქართველოს საერთო-სახალხო სადღესასწაულო განწყობა და სიხარული 26 მაისის დამოუკიდებლობის დღედ გამოცხადებასთან დაკავშირებით, მოტანილი აქვს აგრეთვე ებრაელ მიხეილ ხანანაშვილის სიტყვა:

„დღეს 26 მაისი – სიხარულის დღეა. დღეს საქართველო გასხივოსნებულია და ამ ბედნიერ, კაი დღეს მეც ქართველი ისრაელი, სხვა ქართველებთან ერთად სავსებით ვიზიარებ საერთო დიდებულ ზეიმს და ვუძღვნი გულწრფელ სალამს ჩვენს სათაყვანებელ ძვირფას სამშობლოს:

ვაშა შენს წარსულს!
ნეტარესა შენს აწმყოს!
და დიდება შენს მომავალს“!

ეს არის გულწრფელი სიტყვები. მასში ეჭვის შეტანა მკრეხელობაა!

საქართველოში მცხოვრები არცერთი სხვა ერის შვილებს არ მიუღიათ ისეთი აღფრთოვანებით ჩვენი დამოუკიდებლობა, როგორც შეხვდნენ ქართველი ებრაელები. ზოგიერთმა, პირიქით, პრეტენზია წამოგვიყენა და თითქმის სურამის მთაგრეხილამდე მოითხოვა ქართული მიწა. ხოლო დედაქალაქის – ქუთაისში გადატანა. რომ ვერ მიიღეს, გამოგვიცხადეს ომი, მაგრამ სამარცხვინოდ დამარცხდნენ.

მეფის რუსეთს კი დავაღწიეთ მაშინ თავი, მაგრამ წითელმა რუსეთმა 70-წლიანი ბატონობის უღელი დაადგა ბედკრულ საქართველოს.

*

საბჭოთა იდეოლოგიის წყალობით არ ვიცნობდით ქართველი მენშევიკების ლიდერებს. კომუნისტური პარტიის ისტორიის მოკლე კურსის მიხედვით, გვქონდა ცალმხრივი ცოდნა მათ შესახებ. ამ ხარვეზის გამოსწორების მცდელობაა კრებულში წარმოდგენილი წერილიც – **„საქართველოს პარლამენტის პირველი თავმჯდომარე *(შტრიხები კარლო ჩხეიძის პოლიტიკური პორტრეტისთვის„*).** გულახდილად ვიტყვი – პირადად მე მენშევიკური პარტიის მიმართ არცთუ დიდი სიმპათიები გამაჩნია, თუ რატომ, ამაზე სხვა დროს. რაც შეეხება კარლო ჩხეიძეს, რუსეთის სათათბიროში გამოსვლის დროს ლენინი არაერთგზის გააბითურა, ბოლოს იმდენად გამწარდა ლენინი, რომ კარლო ჩხეიძეს და კაკი წერეთელს პირადად სთხოვა: **„რა გინდათ ქართველებს, გამანებეთ თავი. ავტონომიას მოგცემთ და ფინეთივით იქნებითო“!..**

რა თქმა უნდა, ლენინმა არ შეასრულა თავისი სიტ-

ყვა და ძალადობით როცა ხელთ იგდო ხელისუფლება, ავტონომია კი არა, საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპო და ოკუპაციის კლანჭებში მოაქცია.

მკითხველს გარკვეული წარმოდგენა მაინც რომ შეექმნას კარლო ჩხეიძის მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ მამაცობაზე, მოვიტან ორიოდე ამონარიდს წერილიდან: **„მთავრობამ უზარმაზარი მიწების ექსპროპიაცია მოახდინა ბათუმის და სოხუმის ოკრუგებში, რათა შემდეგ იგი მცირეაზიელი ბერძნებით და სომხებით დაესახლებინა, ხოლო ადგილობრივი აფხაზები თურქეთში გარეკა...“, „არც ერთ მთავრობას იმდენი ყალბი დაპირება არ გაუცია, რამდენიც რუსეთის მთავრობას. მისი პოლიტიკა არის შავრაზმული, შავრაზმელები კი ვერ დამშვიდებულან იმის გამო, რომ კავკასიაში ჯერჯერობით ძირფესვიანად დანგრეული არ არის ყველა სოფელი და ყველა ქალაქი, რომ ძუძუთა ბავშვები ყელგამოუჭრელნი არიან, რომ ყველა ქალი გაუუპატიურებელია... ისინი აღშფოთებულნი არიან იმით, რომ კავკასიაში ჯერ კიდევ ფეთქავს სიცოცხლე, რომ პუშკინის და ლერმონტოვის ნამღერი სამოთხე – კავკასია, ამ შავრაზმელებს ჯერჯერობით სასაფლაოდ ვერ უქცევიათ...“**

თანამედროვე რუსი შავრაზმელებიც ხომ ასე ფიქრობენ ჩეჩენი და ქართველი ხალხის სისხლში ყელამდე მცურავი პუტინის მომხერეებით...

თითქმის შეუსწავლელია, განსაკუთრებით მისი პუბლიცისტიკა. ეს ხარვეზი შეავსო გელა საითიძემ სტატიით – **„გიორგი ლეონიძე – გაზეთების – „ნაციონალისტის“ და „მიწის თანამშრომელი“.**

პოეტი არ ყოფილა არც პარლამენტის და არც დამფუძნებელი კრების წევრი. სამაგიეროდ, იყო მისი უფროსი მეგობრის – სანდრო შანშიაშვილის მიერ დაარსებული გაზეთის – „საქართველოს“, ამ ყოველდღიური სალიტერატურო და საპოლიტიკო გამოცემის პასუხისმგებელი მდივანი. მკვლევარი მართებულად შენიშნავს: პოეტის ბიოგრაფები ამ ფაქტს დუმილით უვლიან გვერდს იმ მიზეზის გამო, რომ ემიგრაციაში გახიზნული სპირიდონ კედიას, გიორგი გვაზავას, რევაზ გაბაშვილის, დავით ვაჩნაძის, შალვა ამირეჯიბის და სხვა ქართველი ეროვნული მოღვაწეების გვერდით მოღვაწეობისთვის ბოლშევიკები თავზე ხელს არ გადაუსვამდნენ გიორგი ლეონიძესა და ამიტომაც ერიდებოდნენ მისი შემოქმედების – პირველი პერიოდის პუბლიცისტიკის განხილვას. ასეა თუ ისე, გელამ პირველმა წამოსწია გოგლას მოღვაწეობის ეს წლები (1918-1921). ამ დროს ბატონი გოგლა აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო საქმე“, „საქართველო“, „ნაციონალისტი“, „მიწა“ და სხვ.

გიორგი ლეონიძე დამოუკიდებელ საქართველოს ეთაყვანებოდა, მაგრამ მენშევიკური ხელისუფლება მისთვის მიუღებელი იყო, როგორც ყოველგვარი სოციალისტური სის-

*

მაგრამ, მივხედოთ გელა საითიძის მიკვლეულ უცნობ გოგლას. მას განხილული აქვს პოეტის წერილები, რომლებიც, გასაგები მიზეზების გამო, მკითხველისთვის მიუწვდომელი იყო. 21 წლის გოგლა ლეონიძეს პირველი წერილი გამოუქვეყნებია გაზეთ „ნაციონალისტში“ (1920,№4). ამ წერილის სათაურია – „ძველ პოეზიაზე“. ახალგაზრდა პოეტი ორიგინალური თვალთახედვით განიხილავს ძველ ქართულ პოეზიას, თუმცა სჯობია თვით მას მოვუსმინოთ: „ **... ინტერნაციონალური კულტურა მძვინვარე ვეშაპივით მოექანება. მას დამოუკიდებელი კულტურა აბრაზებს... ჩვენ დღითი-დღე ვიწამლებით კომერციული კულტურის ფაბრიკაციით და ცოფიანი კოსმოპოლიტები ჰქმნიან დიდ კულტურას, ხელოვნებას საერთაშორისო ბირჟით, რომ ერის სული უნაყოფო გახდეს... მაგრამ ერის კულტურა ხომ შემოქმედ პიროვნებაზეა დამოკიდებული? პენიაში გაშიშვლებულა ერის სული. პენია – ერის სულის კვინტესაციაა, ჩვენი წარსული ჩვენივე თვითდამტკიცებაა.**

არავითარი საერთო ჩვენ არ გვქონდა რომაელებთან, ბერძნებთან, არც გერმანელებთან, სამაგიეროდ, შეგვრჩა სულიერი ზნეობა, ტრადიციები, მოგონებები.

ჩვენ გვქონდა მრავალი კულტურული გავლენა, მაგრამ თითოეული ჩვენთვის დარჩა, როგორც უბრალო დეკლარაცია. ჩვენმა სულმა არც ერთი მათგანი არ მიიღო.

ჯებელი კანონი და გაურყვნელი ხასიათი. მისი აჯანყებული ერისთავები ბრაზობენ, როგორც კენტავრები. ეს ის დროა, როცა რაინდული მისტერიები მთავრდება“ *(გაზეთი „ნაციონალისტი“, 1920, №20).*

ამ დროს **„რუსეთის საშიშარი ქირურგი პეტრე-იმპერატორი, საშიშარ ოპერაციას უკეთებს საქართველოს“ *(იქვე).*** რა იგულისხმება ამ მხატვრულ მოქნეულ ფრაზაში? რუსეთის ანკესზე წამოგებული ვახტანგ მეექვსე, სპარსეთის სიუზერენი, პეტრე პირველთან კავშირს კრავს სპარსეთის წინააღმდეგ. დანდობილი ქართველი მეფე თავისი 40.000-იანი მხედრობით ამაოდ ელის პეტრეს გამოჩენას მტკვრის სანაპიროსთან... დარუბანდის აღების შემდეგ პეტრე უკან ბრუნდება... ეს იყო რუსეთის მეფის ჩვეულებრივი, მორიგი ღალატი და მუხანათობა. ნეტავ რუსის რომელ მეფეს შეუსრულებია პირობა!.. ასეთს არ იცნობს ისტორია!.. ამჯერადაც, პეტრე პირველმა გატეხა სიტყვა – **„საქართველო... საქრისტიანო ქვეყანა იანიჩრებს მისცა სათარეშოდ... ამით მთავრდება აღმოსავლეთ საქართველოს დაშლა-დაქუცმაცება სანჯაყებად და საფაშალიკოებად, სახანოებად და საბეგლარბეგოებად“...** ვახტანგ VI იძულებული გახდა თავისი ქვეყნის დამაქცევარის – რუსეთის კალთას შეფარებოდა. ეს იყო ერთი ყველაზე ტრაგიკული აქტი ქართლის ისტორიაში, რადგან – **„ამ გარდახვეწამ ქართულ რასას საუკეთესო სისხლდაუკარება, ხოლო ამავე განგებამ ქართული რენესანსის ბედი გადასწყვიტა“.**

ფხიზლად ვიყოთ ქართველებო!

ისტორია მეორდება! სამწუხაროა, რომ თანამედროვე რუს შავრაზმელებს დასაყრდენი ჰყავთ რუსის მონა ე.წ. ქართველი „პატრიოტების“ სახით.

რუსეთის სათათბიროში, ერთ-ერთი გამოსვლისას, კარლო ჩხეიძემ დაიცვა რა ქართული ენა, ასეთი მარადიული სიტყვებით დაამთავრა: **„ქართული ენა საშიში არ არის, არც მართლმადიდებლისთვის, არც თვითმპყრობელობისთვის, არც რუსეთის ერთიანობისთვის. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ქართული ენა – ეს ის ენაა, რომელზედაც სახარება ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში იქმნა გადათარგმნილი, ანუ იმ დროს, როცა ბევრი აქ მყოფი ნაციონალისტის წინაპარი ჯერ კიდევ ტყეში დაეხეტებოდა და კენკრას ჭამდა“.**

(ხაზგასმა ჩვენია. ბ.ა.).

რუსეთის სათათბიროში როცა რუსი შავრაზმელების რისხვა და მუქარა მიმართული იყო პოლონეთის წინააღმდეგ, ამ დროს გამოვიდა კარლო ჩხეიძე და დაიცვა პოლონელი ხალხი – **„პოლონეთის კულტურა გაცილებით მაღლა დგას, ვინემ რუსეთის. აი, რით არის საშიში პოლონელი ხალხი... მათში მეტია დისციპლინა, მათი ეროვნული თვითცნობიერება უმაღლეს საფეხურზეა ვინემ რუსების. პოლონელებს ორგანიზაციის, ერთობის მეტი უნარი აქვთ, ისინი უფრო ძლიერნი არიან ეკონომიურად, მათი საწარმოო ძალები უფრო განვითრებულია, მათი მრეწველობა და მეურნეობა უსწრებს რუსეთისას. ყოველივე ეს კი დიდად საზარალოა რუსეთისთვის“.**

კარლო ჩხეიძის გამოსვლებიდან ამონარიდების მოტანა კიდევ შეიძლება. ურიგო არ იქნება ქართველმა პოლიტიკოსებმა გულდასმით წაიკითხონ კარლო ჩხეიძის და კაკი წერეთლის ნაწერები... აქ კი მსურს მცირე მოგონება შემოგთავაზოთ: გასული საუკუნის 60-იან წლები იყო. ასპირანტი ვიყავი და საჯარო ბიბლიოთეკის სამეცნიერო დარბაზის მუდმივი მკითხველი გახლდით. ყოველდღიური ურთიერთობის გამო თანამშრომლებთან ვმეგობრობდი. ერთხელ დარბაზში შემოვიდა ტანმორჩილი, სიმპათიური ქალი. წიგნები გამოიტანა, მაგიდას მიუჯდა და კარგახნის კითხვის შემდეგ წიგნები ჩაბარა და წავიდა. მეც ჩქარა ჩავაბარე წიგნები ბიბლიოთეკას. თანამშრომელმა – მზია მეგრელაძემ ჩუმად მითხრა:

– იცი ვინ არის ეს ქალი?

– არა-მეთქი.

– კიდევ უფრო დაუწია ხმას და ყურში მიჩურჩულა:

– კარლო ჩხეიძის ქალიშვილიაო. ეს დიდი გამბედაობა იყო ქ-ნ მზიას მხრიდან, რადგან კარლო ჩხეიძის სახელის ხსენებაც სასტიკად იყო აკრძალული საბჭოთა ცენზურის მიერ. ხშირად ვხედავდი კარლო ჩხეიძის ქალიშვილს დარბაზში, მაგრამ, მიუხედავად დიდი სურვილისა, ვაღიარებ, ჩეკას შიშით, გამოლაპარაკება ვერ გავბედე.

კარლო ჩხეიძემ – ამ გენიალურმა მოღვაწემ და ორატორმა, ვერ გაუძლო ემიგრანტის გამწარებულ ცხოვრებას და 1926 წლის 11 ივლისს თავი მოიკლა.

*

ჩვენი სასიქადულო პოეტის გიორგი ლეონიძის შემოქმედების პირველი პერიოდი

ტემა – **„სწორედ ამიტომ იყო, რომ გიორგი ლეონიძე იმათ მხარეზე იდგა, ვინც ეროვნული, ნაციონალისტური პოზიციიდან განიხილავდა საქართველოს ყოფნა-არყოფნის ინტერესებს, ვინც ეძებდა და სახავდა გზებს ერის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული განვითარების და მისი ინტერესების, საქვეყნო წარმოჩენისათვის“** – აღნიშნავს გელა საითიძე.

თუმცა ჯობია თანმიმდევრობით მივყვეთ:

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას (ედპ) 1918 წელს გამოეყო და ცალკე პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა „საქართველოს ნაციონალისტური (ეროვნული) პარტია“. მიზეზი გამოყოფისა იყო შინაგანი პრინციპული შეუთანხმებლობა. გამოყოფილმა ფრაქციამ დააარსა „საქართველოს ნაციონალისტური (ეროვნული) პარტია“. მათ ჰქონდათ ბეჭდვითი ორგანო გაზეთი – „ნაციონალისტი“. რედაქტორი გახლდათ გრიგოლ ვეშაპელი (ვეშაპიძე). გაზეთის რედაქცია ფაქტიურად ახლადდაარსებული პარტიის ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის ცენტრად იქცა. აი, ამ გაზეთში დაიწყო მოღვაწეობა გაზეთ „საქართველოდან“ წამოსულმა ახალგაზრდა გოგლა ლეონიძემ. რა თქმა უნდა, პოეტის არჩევანი ამ გაზეთზე შემთხვევითი არ იყო. „ნაციონალისტის“ პროგრამა მისთვის მისაღები აღმოჩნდა, რადგან ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ აგრარული საკითხების გადაჭრას. ამ დროს „ედეპელთა“ მეორე ჯგუფი, ე.წ. „საქართველოს“ მიმართულება – **„ქალაქის ნვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს ანიჭებდა უპირატესობას“**. ამ პარტიამ დამფუძნებელ კრებაში 2 დეპუტატი გაიყვანა. 1920 წლის გაზაფხულზე შემუშავდა და 20 ოქტომბერს კონფერენციაზე დაამტკიცეს საკუთარი პარტიული პროგრამა. ამ კონფერენციაზე გადაწყდა პარტიისა და მისი ბეჭდვითი ორგანოს სახელის შეცვლა. პარტიას ეწოდა – **„საქართველოს მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტია“,** ხოლო გაზეთს – **„მიწა“**.

გული არ მიშვება არ მოვიტანო ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერის – დავით ვაჩნაძის სიტყვები, რომელშიც რელიეფურად ჩანს პარტიის იდეოლოგია და მიზანი: **„ქართველ ნაციონალისტთა გეგმა მარტივია: დაცვა და განმტკიცება ერთიანი და თავისუფალი საქართველოს ცხოვრებისა...**

ნაციონალისტის სწამთ. მეურნეთა საქართველოს სახელმწიფო, სწორედ ამ მეურნეთა და საქართველოს მსახურება, მისი ინტერესებისთვის ბრძოლა შეადგენს უდიდეს მიზანს ნაციონალისტური პარტიისა... საქართველოს ეროვნული დროშის ქვეშ ჩვენ საბოლოოდ გამოვალთ და, იმედია, მტკიცე საფუძველს ჩავუყრით სოფლის მეურნეთა პარტიის ორგანიზაციებს, რომლებსაც ექნებათ საღი ნაციონალური პროგრამა სახელმძღვანელოდ“ *(გაზეთი „ნაციონალისტი“, 1920 წ.№20).*

... ნეტავი დღეს გვყავდეს ასეთი ნაციონალისტური პარტიის მსგავსი – ქართული მიწის გულშემატკივარი... მამა-პაპათა სისხლით გაჟღენთილი ქართული მიწა უცხოელებზე იყიდება და ქართველ გლეხს სანუკვარი მიწა ხელიდან უმოწყალოდ ეცლება, გამკითხავი კი არავინაა...

გეოგრაფიულმა პირობებმა მეტად ადრე გამოიყვანა ისტორიულ ასპარეზზე. ოდესმე უძლიერესი ტომები ვიყავით, მაგრამ მომავლით დაორსულებული საქართველო, მონგოლებმა გააბერწა“.

ამ სტრიქონების წაკითხვა სიამაყის გრძნობით ავსებს ყოველ ქართველს, მით უმეტეს, ვინც ახლოს იცნობდა მას, მისთვის მოულოდნელი არ იქნება ახალგაზრდა გოგლას ასეთი ეროვნული კრედო.

მქონდა ბედნიერება ათეულ წელზე მეტი ვყოფილიყავი შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურული ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი. ამ ინსტიტუტის ოქროს ხანად ითვლება ის წლები, როცა ბატონი გოგლა იყო დირექტორი. როგორც ხელმძღვანელი – ეს სხვა თემაა და ამაზე სხვა დროს... ახლა მახსენდება რაღაც ნაღვლიანად, მაგრამ სიამაყით იგონებდა ხოლმე მის დიდ წინაპარს სოლომონ ლეონიძეს. ეტყობა, ეს ახალგაზრდობიდანვე მოსდევდა. ეს კარგად ჩანს აღნიშნულ წერილში, რომლის ლიტერატურულ ლირიკას აფასებს სამეფო კანცლერი სოლომონ ლეონიძე. მან დაწერა სამგლოვიარო მარში მეფე ირაკლიზე – „აღსდექ გმირთ-გმირო, ნუ გძინავს“! რომელიც გამართულია, მოშვილდულია დიდი სიხარბით. მას აქვს ვერჰონისებული რიტმი. ძველი პოეტების შესახებ ასე წერს: **„გარდასული პოეტები.. ძველ ღვინოებს ჰგვანან, რომლებმაც დაათვრეს ძველი საქართველო“.** მაგრამ გიორგი ლეონიძე ძველი პოეტების შეფასებაზე არ ჩერდება და ქართულ წიგნზე სპეციალურ წერილს წერს – „ქართული წიგნი“. გელა საითიძე დეტალურად აცნობს მკითხველს ამ წერილის შინაარსს.

როგორც მკვლევარი, აღნიშნავს: **„პოეტი კვალიფიციურად მიმოიხილავს გერმანიაში არსებულ საგამომცემლო საქმიანობას, სადაც უდიდესი ყურადღება ექცევა წიგნის ბეჭდვას, როგორც შინაარსობრივ, ისე გარეგნულ მხარეს და ამ საქმეში თურმე „აქტიურად მონაწილეობენ თვითონ მწერლები, მხატვრები და სტამბელებიც“ *(გაზეთი „ნაციონალისტი“, 1920, №7).***

პოეტი გამოთქვამს იმედს, – საქართველოშიც მაღლა აიწევს წიგნის ბეჭდვის კულტურა.

გაოცებას იწვევს ახალგაზრდა პოეტის ფართო ცოდნა და მასშტაბური ლიტერატურული აზროვნება. როდის მოასწრო ამდენის წაკითხვა, გააზრება და გათავისება, როცა ქართველი ხალხის წარსულზე, ან მწერლობაზე წერს. გრძნობ, პოეტი შინაგანად განიცდის იმ დროით სუნთქვას და იმ დროით ცხოვრებას. სისხლხორცეულად განიცდის ქართულ ფენომენს. ამის ნიმუშად შეიძლება მოვიტანოთ მისი წერილი – „ვახტანგ VI“. ამ წერილის ყოველი ფრაზა, ყოველი წინადადება ძალზე ტევადია, საკმაოდ ორიგინალურია პოეტის პირადი დამოკიდებულება ამ ბრძენი და ტრაგიკული ბედის მქონე ქართველი მეფისადმი: **„არას დროს არ ყოფილა საქართველო თავის დასასრულთან ისე ახლოს, როგორც ამ ბაგრატიონის დროს... მისი სამეფო გაახმო ყიზილბაშების ცეცხლმა. მის დროს უდაბნოები მრავლდება და ქართული ჰორიზონტი ვიწროვდება. მთელ სამეფოში არ მოიპოვება არც ერთი დაუმახინ-**

რაში აისახა იგი?

ახალგაზრდა გიორგი ლეონიძე კითხვას ასე პასუხობს: **„ვახტანგ მეექვსემ უარყო აღმოსავლეთი და საშინელი წყურვილით ეძებს ევროპის ორიენტაციას და ბოლოს დაადგება კიდეც მას (რუსეთს). თუმცა ამის პირველ მსხვერპლად შეიქმნა თვითონ თავისი ოჯახით... მან გააკეთა რამდენიც შეძლო, ის იყო წმინდა მოწამე საქართველოსთვის, თუმცა წინამძღოლობდა იმ საუკუნეში, რომელსაც არ ეკუთვნოდა... ის დაიწვა საქართველოთი, როგორც არავინ და საქართველომ მოაშთო იგი. ძველი ელლინი ისტორიკოსი ალბათ იტყოდა მის სიკვდილზე: „ნუ სტირით მას, აღმერთეთ იგი, ის ღმერთმა დაუთმო ადამიანებს, ახლა ისევ ღმერთებს დაუბრუნდა“.**

მცირე კომენტარი: ვფიქობთ, საკამათოა – XVI-XVIII საუკუნეების რენესანსი რუსეთის გზით დაიწყოო... ქართული რენესანსი იწყება და მეტ-ნაკლები ინტენსივობით გრძელდებოდა საუკუნეების მანძილზე... სულხან-საბას შემოქმედება არის ნათელი მაგალითი. ქართული კულტურა ბიზანტიის დროიდან, ყოველთვის დასავლეთის ცივილიზაციის ორბიტაში განიხილებოდა მაშინაც კი, როცა რუსეთმა ოკუპაციის უღელი დაადგა საქართველოს, ამ დროსაც კი ქართული ინტელექტუალური და მხატვრული აზროვნება დასავლეთისკენ იყო მიმართული.

*

ერთ-ერთი საინტერესო სტატია არის **„გრიგოლ რობაქიძე – გაზეთ „Кавказ„-ის თანამშრომელი“.** ამ იძულებით ემიგრაციაში გადახვეწილი მწერლის შემოქმედება ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი. ამას მოწმობს ეს სტატია, რომელშიც გრიგოლ რობაქიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის დღემდე უცნობი მხარეა წარმოდგენილი. ეს არის რუსულენოვან გაზეთში – „**Кавказ**„-ში მისი ინტენსიური თანამშრომლობის პერიოდი, რაც მკვლევარებს გამორჩენიათ და პირველად კვლევის განსჯის ობიექტად აქცია გელა საითიძემ. მასში 30-ზე მეტი ნარკვევი, სტატია და წერილი ჰქონდა მწერალს დასტამბული შემდეგი ხელმოწერით – „**Г. Робакидзе**, **Кавкасиели**“, „**Гр.Р.К.**“ „**Р**“ და სხვ. მათი ანალიზის საფუძველზე გრიგოლ რობაქიძე **„გვევლინება როგორც დიდი მასშტაბის მოაზროვნე – ინტელექტუალი, თავისი ქვეყნის და ხალხის ბედზე დაფიქრებული გულმხურვალე მამულიშვილი, სხვათა წარმატებებით გახარებული და ნაკლოვანებათა პირში მთქმელი პიროვნება“,** – წერს გელა საითიძე და არ შეიძლება არ დაეთანხმო.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, – ყველას არ ძალუძს თანამოკალმის შემოქმდებითი წარმატების გულწრფელი აღიარება, ეს მხოლოდ დიდი ტალანტის მქონე მწერალს და კეთილშობილ პიროვნებას შეუძლია.

ამ გაზეთში გრიგოლ რობაქიძეს გამოუქვეყნებია წერილები აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ტოლსტოის, აგრეთვე კ.ბალმონტის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანის შესახებ და სხვ.

ვფიქრობთ, გრიგოლ რობაქიძის მოღვაწეობის რუსული სფერო სპეციალური კვლევის საგანი უნდა გახდეს.

მტერს არ სძინავს... ფხიზლად ვიყოთ ქართველებო!

*

საქართველოს უცხოელ კეთილმოსურნეთა შორის ერთ-ერთი პირველია **ნიკოლოზ დურნოვი.** იგი თავგამოდებით იცავდა ქართველ ხალხს და ქართულ ეკლესიას, როცა მას მისი თანამემამულე, ქართველთმოძულე მოღვაწეები თავს ესხმოდნენ. ამიტომ მას დიდად აფასებდა აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი და სხვა ქართველი სასულიერო მოღვაწეები. საბჭოთა პერიოდში მისი სახელი ტაბუდადებული იყო. მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მიეცა შესაძლებლობა ქართველ საზოგადოებას, გაეგო მისი სახელი და გასცნობოდა იმ ღვაწლს, რაც მან დასდო ზოგადად ქართული კულტურის დასაცავად და, კერძოდ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას.

ნიკოლოზ დურნოვს პრინციპულად მიუღებლად მიაჩნდა ცარიზმის მიერ საქართველოს მიმართ გატარებული ველიკორუსული პოლიტიკა, როცა შოვინიზმის შხამით მოწამლული რუსი მოხელენი და სინოდის წარმომადგენლები ყველაფერს კადრულობდნენ ქართველთა დასამცირებლად.

ამ დროს ნიკოლოზ დურნოვი არაკანონიერად აცხადებდა 1811 წელს რუსეთის წმინდა სინოდის მიერ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას. მაშინდელ სიტუაციაში ეს დიდი გამბედაობა იყო!

ნიკოლოზ დურნოვი ერთ-ერთი პირველი შეებრძოლა ქართველთმოძულე დეკანოზ ვოსტორგოვს, რომელმაც ცინიკურად განაცხადა – **„არავინ ისე არ მეზიზღება, როგორც ქართველები. ქართველები ოდითგანვე საზიზღარნი იყვნენ. მართალია, საქართველო ღვთისმშობელს ხვდა წილად, მაგრამ იმანაც ვერ გაბედა ამ საძულველ და საზიზღარ ხალხში წამოსვლა და სამოციქულოდ სხვები გამოგზავნაო. ქართველები რუსების მუდმივი მტრები არიან, ყველა ქართველი ჩვენი მოღალატეა“.**

ქართველი ხალხის უკიდეგანო სიძულვილი ვოსტორგოვმა საუკუნის წინ გადმოანთხია. ნიშანდობლივია, რომ კრემლში მოკალათებულმა კაგებეს ოფიცრებმა 2008 წლის აგვისტოს ომში ამ სიძულვილის რეალიზაცია მოახდინეს და აკადემიკოს **ალექსანდრე ნადირაძის** შექმნილი რაკეტებით მისი თანამემამულეების ხოცვა-ჟლეტა მოაწყეს, მოახდინეს ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება ამ კრებულის შესახებ, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს. აქვე იმას ვიტყვი, ამ წერილს რეცენზიის პრეტენზია არა აქვს. იგი არის მისი გულდასმით წაკითხვის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებანი.

ჩემო გელა, წერილს ვამთავრებდი, როცა გონებაში ამომიტივტივდა შენი ერთი სტატიის სათაური – **„სათქმელი ჯერ კიდევ ბევრია“!** მართლაც, სათქმელი და გასაკეთებელი ბევრია, ჩვენი ქვეყნის რუსეთის 70-წლიანი ოკუპაციით ჩაშრეტილი ქართული ეროვნული სულის და ენერგიის აღსადგენად!

მინაწერი:

პოეტი-აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის (1899-1966) შემოქმედების პირველი პერიოდი – განსაკუთრებით პუბლიცისტიკა, შესასწავლია. ეს გასაგებიცაა – ემიგრაციაში გახიზნული სპირიდონ კედიას, გიორგი გვაზავას, რევაზ გაბაშვილის, დავით ვაჩნაძის და შალვა ამირეჯიბთან თანამშრომლობისა და მათ გვერდით მოღვაწეობისთვის ბოლშევიკები თავზე ხელს რომ არ გადაუსვამდნენ. მკვლევარებმა კარგად იცოდნენ და პოეტის ამ წლების (1918-1921) მოღვაწეობის შესახებ დუმილს ამჯობინებდნენ...

ვფიქრობთ, პოეტის თითქმის საუკუნის წინ გამოქვეყნებული წერილები საინტერესო იქნება მკითხველი საზოგადოებისათვის.

გთავაზობთ 21 წლის გოგლა ლეონიძის ორ წერილს – „ძველ პოეზიაზე“ (გაზეთი „ნაციონალისტი“, 1920, №4 და „ვახტანგ VI“ (№20).

ძველ პოეზიაზე

ინტერნაციონალი კულტურა მძვინვარე ვეშაპივით მოექანება. მას დამოუკიდებელი კულტურა აბრაზებს.

კულტურა – არსი ინდივიდუალი, ნაცია – ალფა და ომეგა კულტურის – უარმყოფილია. ჩვენც დღითი დღე ვიწამლებით კომერციული კულტურის ფაბრიკაციით.

და ცოფიანი კოსმოპოლიტები ჰქმნიან დიდს კომერციულ კულტურას, ხელოვნების საერთაშორისო ბირჟით, რომ ერის სული უნაყოფო გახდეს, ხოლო სამშობლო ენის ბრწყინვალება უსახო ესპერანტომ შეაღამოს.

მაგრამ ერის კულტურა ხომ შემომქმედ პიროვნებებზეა დამოკიდებული? ჰენიაში გაშიშვლებულია ერის სული. ჰენია – ერის სულის კვინტენსეციაა.

ჩვენგან გავლილი საუკუნოები დიადი მოგონებებითაა სავსე და საპატიო ძეგლებით არი დაფარული. ჩვენი წარსული ჩვენივე თვითდამტკიცებაა.

არავითარი საერთო ჩვენ არა გვქონია რომაელებთან, ბერძნებთან, არც გერმანელებთან. სამაგიეროდ, შეგვრჩა საკუთარი სულიერი ზნეობა, ტრადიციები, მოგონებები.

ჩვენ გვქონდა მრავალი კულტურული გავლენა, მაგრამ თითოეული ჩვენთვის დარჩა, როგორც უბრალო დეკორაცია. ჩვენმა სულმა არც ერთი მათგანი არ მიიღო. ჩვენ უბრუნდებით ჩვენს ოჯახს და ვიღებთ მამათა სამკვიდროს.

ჩვენ ვამკვიდრებთ ყოველ პიროვნებას, წარსულის თითოეულ ლანდს და მიუზღავთ თანამდებს.

მათგან შეგვრჩა სიმტკიცე და ზომიერება, ამიტომ ვერ მივიღებთ „შტემპელ დასმულ“ კულტურას, რადგან დაშრეტილ რასას არ ვეკუთვნით.

გეოგრაფიულმა პირობებმა მეტად ადრე გამოგვიყვანა ისტორიულ ასპარეზზე. ოდესმე უძლიერესი ტომი ვიყავით, მაგრამ მომავალით დაორსულებული საქართველო მონგოლებმა გააბერწა.

მთელი მაშინდელი საქართველო ერთი დიდი „ყარამანიანია“, სიღარიბის დასაფარავად. „ვარდბულბულიანში“ რომ იკლავს თავს. ქართული პარნასი ალყა-შემოვლებულია „ანბანთაქებით“, ხოლო ყარაულებათ ყველგან „მაჯამები“ დგანან. ირგვლივ გრიალებენ გრძელი პოემები, იაფი ფერებით შეღებილი. უსტილო, უთავბოლო სიტყვებით გატენილი ოდები, რომლებშიც ტრადიციული და მექანიკური კადანსი რიტმად ითვლება. კლასიკური ენა ბნელდება, როგორც არასოდეს. არ არის იმდენი ქმედითი ენერგია, რომ სინამდვილე ესთეტიურად გარდიქმნას. არაბებისგან განაზებული პოეზია ჰკარგავს მთვარის ქვის სინაზეს.

კარის პოეტები ძველს სიუჟეტებს აახლებენ ისე, როგორც საშუალო საუკუნეებში ფრანგი, გერმანელი, ესპანელი და სლავიანი პოეტები ჰომერის ჰეკზამეტრებიდან და კურციუსის პროზიდან აღებულ სიუჟეტებს ჰლექსავდნენ.

მაგრამ ამ ეპოქის დასასრულს ლათინთა საერთაშორისო კულტურამ საქართველოსაც გადაანათა. სპარსული და ბიზანტიური სტილი აქაც იცვლება. კარმენილიატენელებს და წმ. ავგუსტინის ორდენის მისიონერებს შემოაქვთ არა მარტო ლიტერატურა, თვითონ ტეხნიკური ხერხი და ზოგი თავისებურებანიც იტალიური არქიტექტურის.

თუმცა ესეც დეკორაციად რჩება.

ცნობილია, რომ სწორედ მაშინ იჩინა თავი ეროვნულმა ტენდენციამ და გამძაფრებულმა ინდივიდუალიზმმა. უფრო ენერგიული გახდა პროტესტი „თათრულის“ წინააღმდეგ.

ეს არის პირველი თავის ამართვა მონგოლიზმის მერე, როცა ძველ ნაანდერძევ სახეების, კომბინაციების ახლით შევსება დაიწყო, საქართველო გახდა პოეტების დიდი სახლი:

თეიმურაზ I, არჩილ II, ან კიდევ მთელი პლეადა: ნანუჩა ციციშვილი, ხოსრო თურმანიძე, ბარძიმ ვაჩნაძე, ნოდარ ფარსადანიძე, სულხან თონიაშვილი, გარსევან ჩოლოყაშვილი, იაკობ სამებელი, ფერშანგ ბერტყაძე, ფალავანდიშვილი ქაიხოსრო, ბერიძის ქალი. ონანა კახი მდივანი და მერე რენესანსის პოეტები: მამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი, ბესიკი, საიათნოვა.

მიუხედავად სენტიმენტალი რიტორიკისა, მათ სიტყვა გაამდიდრეს ეპოქის ახალი მიღწევებით. ცხოვრების ახალი შინაარსი ძველ ფორმებს შეეპარა და გადასული ზრდა ჩამოაყალიბა.

საქართველო ეამაყება ბებერ ევროპას, სადაც იკივლა ფრანსუა ვიონმა და სადაც დაქანებული დაისივით მიდიოდნენ: შუასაუკუნეების რომანტიკა და მრგვალი ტაბლის საიდუმლოებანი, წმ. გრაალის ძიება და მერლინის სიცბიერე.

მეთვრამეტე საუკუნის ქართული ხელოვნება ლირიკით იწურება. მაშინ შეიქმნა ქართული ლირიკისათვის საკუთარი მიმღეობა და ესთეტიკა, რომელსაც არაფერი არ ჰქონდა საერთო არც აღმოსავლეთის დაშაქრულ პოეზიასთან, არც ბიზანტიურ ესთეტიკასთან.

დღემდის ბესიკს სთვლიან ჯადოქრად, თუმცა ბესიკამდე მრავალი ჯადოქარი იყო და ამ უცნობმა პლეადამ დაწურა ქართული ლირიკა, შემოიტანა რა პოეტური სიტყვის ინსტრუმენტალიზაცია, ზღვარი და იდეალი ლირიკისა – მუსიკა.

ლიტურგიული ენა პოეზიაში შეჰქმნა თეიმურაზ I-მა, რომელიც დღემდის გამოუკვლეველია. მას აქვს საკუთარი სტილი, თავისი პოეტური პრინციპი: განზრახულობა, წინასწარობა და ეფფექტების გათვლა, აწონვა თითოეული რითმის და ალიტერაციის. მას უყვარს დაგძელებული მეტაფორები და იმდენი რიტი, რამდენიც აზრია.

ქართული ლირიკის გოლგოთაზე ჯვარცმულია ვახტანგ VI-ეც – ქართული ისტორიის მარკუს ავრელიუსი. ჯერ დაუბეჭდავია მისი ორი დიდი წიგნი ლირიკის, სადაც მართალია, არის აღმოსავლური გაგება პოეზიის, მაგრამ სადაც უხვობს ქართული კოლორიტი, რასაკვირველია, არა ეთნოგრაფიული.

უსათუოდ დიდი გვირგვინოსანია, აცრემლებული იამბისტი – დავით გურამიშვილიც, რომელმაც შეჰქმნა საკუთარი ესთეტიკა და ბლომად დაღვარა საკუთარივე ცრემლი. მას აქვს ქართული პროფილი და გაგება სიტყვის შინაგანი სივრცის.

ბესიკისთვის სიტყვა სცოცხლობდა ანარეკლებით. მან უკეთ იცოდა, რომ სიტყვას შეუძლიან რიტმში სამყარო შეამწყვდიოს. მას უყვარდა სიტყვა, როგორც მასალა პოეზიისა, მისი ფერი და ფორმა, თუმცა მისი მეტაფიზიკური სიღრმე ვერ არი შეერთებული მხატვრულ ფორმასთან.

დღემდის გაუგებარი რჩება საიათნოვაც. მისი სიტყვები დაძირულია ნორჩი ალმასებივით.

მას აქვს ქართული სინათლე. ახალი პოეტები უსათუოდ მოსძებნიან მის ჩაღვენთილ სიტყვას და ის ახალი ბრწყინვალებით აღდგება ქართულ რონსარად.

ძველს ქართულ ლირიკას ათავსებს სამეფო კანცლერი სოლომონ ლეონიძე. მან დასწერა სამგლოვიარო მარში მეფე ირაკლიზე – „აღსდეგ გმირთ გმირო, ნუ გძინავს“, რომელიც გამართულია და დაჭიმული მძლავრი ხელით. ამ ლექსში თითეული სახე და სიტყვა მოშვილდულია დიდი სიხარბით. მას აქვს ვერჰარნისებური რიტმი.

ქართული ლირიკა სრულიად გამოუკვლეველია. რად ჰღირან ჯერ მარტო ლირიკოსები გოჩა და გიორგი მთაწმინდელი, რომლის „საღამოს ზარმა“ ევროპა დაიარა?

ან ის „გამორჩენილი და დავიწყებულნი“, რომელთა შუასაუკუნეობრივი ლირიკა ხალხურ პოეზიაში გადავარდა უსახოდ?

მალე ადგებიან ძველი ქართველი პოეტები: X-XII საუკ. შუა საუკუნოებიდან და მაშინ დაგვაბრმავებს ქართული რასსის საშოდან გახმოვანებული სიტყვა.

ჭეშმარიტად, მრავალი ფერისცვალება ჰქონდა ქართულ პოეზ იას, რომელიც დღემდე შემდგარი იყო მონგოლიზმით.

მართალია, ჩვენ არ გვესვენა მხრებზე არც რომი, არც ლათინთა კულტურა, არაფრით გვავალებდა ყველასაგან მოძულებული ბებერი ბიზანტიაც, მაგრამ ჩვენი სული დანახშირდა საკუთარი ცეცხლებით.

ვიწრო და ნაჩქარევი საგაზეთო წერილი ნებას არ გვაძლევს გავშალოთ სიტყვა საგანზე. ჩვენ ცალკე ვეცდებით გავანათოთ გადასული პოეტები – ეს ძველი ღვინოები, რომელთაც დაათვრეს ძველი საქართველო.

გ.ლეონიძე,
გაზეთი „ნაციონალისტი“, 1920, №4, 3 ოქტომბერი

ვახტანგ VI-ე

რამდენი განწირულობა და დაცემაა სახელმწიფო დიდებაში. ყველაზე ქაოტურ ეპოქაში ის მოვიდა, როგორც დაგვიანებული ჰარუნ-ალ-რაშადი. „ქილილა და დამანას“ მთარგმნელი და „დასტვულამას“ ბრძენი დამწერი იძულებულია ქვები ატრიალოს და წვრილ თვალა რკინა იცვას.

ძალაუნებურად გინდა აქ დაიჯერო ჰინდუსტთა მითი „ავატარა“ – ტიპებისა და ადათების გაცხადებაზე, რომელსაც იგონებს სენ-ვიკტორიც. დასარწმუნებლად, მეფე ვახტანგ მეექვსე თითქოს რომის იმპერატორი მარკუს ავრელიუსია, რომელიც XVIII საუკ. ცისკარზე გაება საქართველოში. რასაკვირველია, უფრო მცირე გამოცხადებით და უფრო ვიწრო წრეებში, თუმცა იმავე სიწმინდის განკაცებით.

არა დროს არ ყოფილა საქართველო თავის დასასრულთან ასე ახლოს, როგორც ამ ბაგრატიონის დროს, ისევე, როგორც ტროიანეს და ანტონინეს რომი მარკუს ავრელიუსის მიერ პურპურის მიღებისას. მისი სამეფო გაახმო ყიზილბაშების ცეცხლმა. მის დროს უდაბნოები მრავლდება და ქართული ჰორიზონტი ვიწროვდება. მთელ საბრძანებელში არ მოიპოვება არც ერთი დაუმახინჯებელი კანონი და გაურყვნელი ხასიათი. მისი აჯანყებული ერისთავები ბრაზობენ, როგორც კენტავრები. ეს ის დროა, როცა რაინდული მისტერიები თავდება.

ამ საუკუნის დრამაში მრავალი საშინელი აკტია, მაგრამ ყველაზე ის აკტია სისხლეური, რომელსაც ეწოდება: „საქართველოს პოლიტიკის დუელი საქართველოს გეოგრაფიასთან“.

რუსეთის საშიშარი ქირურგი პეტრე იმპერატორი, საშიშარ ოპერაციას უკეთებს საქართველოსაც.

პეტერბურგმა იცის საქართველოს სტრატეგიული და პოლიტიკური როლი შავი ზღვის დასაჭერად, ასევე ეკონომიურიც – სავაჭრო გზისა სპარსეთ-ინდოეთში, მაგრამ არ იცის ის სვინდისი და „ღვთიური თავშეწირვა“, რომლითაც ასე აბეზრებდა საქართველოს.

მრავალ პოლიტიკურ კომბინაციებით ის ატყუებს თბილისის სამეფო კარს, ჰღლის ელჩების გზავნით და უთავბოლო დაპირებებით.

ცნობილია, რომ ამ დროს ჩვენი სარდლები ატაცებულნი იყვნენ ეკლესიური შთაგონებით, ხოლო ვეზირები იამბიკოებს სწერდნენ: სამეფო პოლიტიკაში კი, როგორც იტყვის სოლომონ ლეონიძე: „ჯვარი იყო სკიპტრის საფუძველი“.

თავისი ვრცელი გეგმის განსახორციელებლად აღმოსავლეთის პოლიტიკაში, სპარსეთის წინააღმდეგ მოკავშირედ, პეტრე პირველი იწვევს ვახტანგს – სპარსეთის სიუზერენს.

1722 წელს მთავარნი „ტარკოვსკი და აქსდისკი“ პეტრეს დარუბანდის დაჭერას უადვილებენ, თუმცა ალაღებული იმპერატორი ქვევით აღარ მიდის. მდ. აგროლნისა და სელსეის შუა პუნკტებს ამაგრებს და უკანვე ბრუნდება.

გულუბრყვილო ბაგრატიონი კი, 10.000 მხედარით ამაოდ ელის მტკვარზე შეპირებულ პაემანს.

და „ქრისტეს საფლავზე მთებარე კანდელი“, როგორც ვახტანგი უწოდებდა თავის მოკავშირეს, საქრისტიანო ქვეყანას იანიჩარებს აძლევს სათარეშოდ. საქართველო რჩება „ვითარცა ნავი ოკიანისა შინა მცურავალი“, იყოფა სანჯაყებად და საფაშალიკოებად, სახანოებად და საბეგლარბეგოებად.

ვახტანგი კი, მთელი თავისი ტაძრეულით და უმაღლესი არისტოკრატიის თანხლებით, რომელიც ორი ათასი თავად-აზნაურით შესდგებოდა, მიდის პეტერბურგს მოკავშირის „საფარველის“ ქვეშ.

ამ გადახვეწამ ქართველ რასსას საუკეთესო სისხლი დაუკარგა, ხოლო ამავე განგებამ, ქართული რენესანსის ბედი გადასწყვიტა.

ვახტანგმა პირველმა უარყო აღმოსავლეთი და საშინელი წყურვილით ეძებდა ევროპის ორიენტაციას და ბოლოს დაადგა კიდეც მას (რუსეთით). თუმცა მის პირველ მსხვერპლად შეიქმნა თითონ თავისი ოჯახით. მან უპირველესმა განიცადა ის ცეცხლები და გრიგალები, რომლებშიც მერე ჩაიწვა ირაკლი II და რომელთაც საშინელი სიგიჟით შემოგვანათეს 1918 წელს, როცა ნოე ჟორდანია, მათი უტახტო მემკვიდრე, აცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას...

მან გააკეთა რამდენიც შეეძლო, ის იყო წმინდა მოწამე საქართველოსთვის, თუმცა სწინამძღოლობდა იმ საუკუნეს, რომელსაც არ ეკუთვნოდა.

ბედმა მას აჩუქა უღარიბესი საქართველო... სახელმწიფო ჰყიდდა საეკლესიო ჭურჭელს და თავადის ქალები სამშობლოსათვის თმებიდან სამკაულებს იძრობდნენ. სიღარიბე იქამდის მივიდა რომ, როგორც იგონებს ბესარიონ კათალიკოზი, მეფის დაგვირგვინებისა და ქორწილის ნადიმებში სამეფო კარი და თავადაზნაურობა ნაბდებში ისხდა...

ტყვეების ყიდვას აღარ ჰქონდა დასასრული, ხოლო ულმობელი ყეინები დაჟინებით ითხოვდნენ კონტრიბუციას...

უბედო მეფე მრავალი წელი იჯდა ტყვეობაში ქირმანს: აქ, და მერე საომარ კარავებში სწერდა წიგნებს, რომელნიც გვხიბლავენ დინჯი ოსტასტობით და მჭრელი ჭკუით.

თავის ოჯახში ის იყო უწყნარესი მამა. ბატონიშვილები ბაქარ და ვახუშტი უსათუოდ ატარებენ მის პროფილს...

სიკვდილმა უსწრო მას შორეულ აშტარახანს. საქართველო არ იყო მისი ღირსი და უფრო მისი ორი ბოლო წლით კარჩაკეტილ გამოტირებისა. ამ დროს ის დაიწვა საქართველოთი, როგორც არავინ და საქართველომ მოაშთო იგი. ძველი ელლინი ისტორიკოსი ალბათ იტყოდა მის სიკვდილზე: „ნუ სტირით მას, აღმერთეთ იგი. ის ღმერთებმა დაუთმეს ადამიანებს, ეხლა ისევ ღმერთებს დაუბრუნდა“...

გიორგი ლეონიძე,
გაზეთი „ნაციონალისტი“, 1920 წელი, №20, 23 ოქტომბერი

უკან მიდევნებული სანთელიც ანათებს

როცა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ 2014 წლის თებერვლის ნომერში სამცხე-ჯავახეთის საზოგადოების ერთი ჯგუფის სახელით გამოქვეყნებულ ინიციატივას – „მკაფიო მაგალითი იქნება“, – გავეცანით, რომელიც ქალბატონი ნანა დემეტრაშვილის – მესხეთის თეატრის ამაღორძინებლის, საქართველოს სახალხო არტისტის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო თეატრალური უნივერსიტეტის პროფესორის ღვაწლის დაფასების ღონისძიებებს ეხებოდა, უმალ ბრძენი დიდაქტიკოსის – სულხან-საბა ორბელიანის იგავი – „უკან მიდევნებული სანთელი“ – მოგვაგონდა. იგავის ძირითადი დედააზრია: სჯობს სიკეთე დროულად აკეთო; სანთელი წინ გაუძღოლო მოკვდავს. მაგრამ ცხოვრება გვკარნახობს: სიკეთის კეთება არასოდეს არაა გვიან. იდეაში – უკან მიდევნებული სიკეთეც სიკეთეა (სანთელია), რადგან სანთელი უკან მომავალთაც უნათებს გზას.

ინიციატივის არსი შემდეგშია: განსაკუთრებული დამსახურების აღიარების დასტურად, მესხეთის სახელმწიფო თეატრის შენობის წინ გაიხსნას მისი სახელობის ვარსკვლავი, ხოლო თავად თეატრს მიენიჭოს ნანა დემეტრაშვილის სახელი.

მისასალმებელია!

როცა ინიციატივა ფრთებს შეისხამს, ახალციხეს თეატრის შენობის წინ ექნება ამ თეატრისათვის ღვაწლდადებული ქალბატონის ვარსკვლავი, ხოლო თეატრს – ახალი ტიტული – **„ნანა დემეტრაშვილის სახელობის მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი“.**

შესანიშნავია!

ქვემორე ხელმომწერთაგან ერთ-ერთი – ქალბატონი იზოლდა წიქარიშვილი იყო ახალციხიდან, რომელმაც გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე მოინახულა და ესაუბრა ქალბატონ ნანა დემეტრაშვილს.

ფერშეცვლილი და ღონემიხდილი პროფესორი მესხეთის თეატრის გაძლიერებაზე ფიქრობდა ისევ. შემოქმედებითი აღტყინებით სავსემ გაანდო ქალბატონ იზოლდას: ოთარ ჩხეიძის „თევდორეს“ აღდგენა და მესხეთის თეატრში მისი ახლებური დადგმა გადაეწყვეტა, რადგან ახლა სულ სხვა განზომილებაში ხედავდა პიესაში განვითარებულ სიუჟეტს. ნაღვლიანად საუბრობდა თურმე იმ დღეებზე, როცა თავადაც ახალგაზრდამ, ჩამოიყვანა თეატრალური ინსტიტუტისა და კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდათა ჯგუფი, როგორ ზრუნავდა თითოეულ მათგანზე, როგორ იღვაწა, როგორ იბრძოლა, როგორ შემოიკრიბა და მიიზიდა მაყურებელი, როგორ შეიყვარეს ისინი და როგორ შემოიარეს საქართველოს მრავალი სოფელი, ქალაქი, საზღვარგარეთის რიგი ქვეყნები ტაშის გრიალში. ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით როგორ მიაღწია დაეკმაყოფილებინა მსახიობები საცხოვრებელი ბინებით, როგორ მიიღეს დამსახურებული არტისტის წოდებები, როგორ გახდნენ ლაურეატები, როგორ ზრუნავდა მსახიობთა მომავალ ცვლაზე და როგორ დაარწმუნა კულტურის სამინისტრო თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში ჩაესვათ განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული „მესხეთის ჯგუფი“, როგორ „ააწრიალა ქვეყანა“, რომ თეატრის იმ შენობას, რომელიც ასე გამორჩეულია მთელ მხარეში, საძირკველი ჩაყროდა და აგებულიყო; შემდეგ როგორ ზეიმობდა მთელი საქართველო მესხეთში ულამაზესი სვეტებიანი შენობის – თეატრის ექსპლოატაციაში შესვლას.

ამიტომ მოგვაგონდა „უკან მიდევნებული სანთელი“, მაგრამ გვწამს, ეს ინიციატივა – მისი ღვაწლის დასაფასებელი ღონისძიებები, ბევრს გაუღვიძებს გადაწურულ იმედს, რომ არაფერია დავიწყებული, ხალხს ყველაფერი ახსოვს, ხალხმა ყველაფერი იცის და ქვაზე დადებული მადლი და სიკეთე შენ თუ არა, სხვას წაადგება!

ნანა დემეტრაშვილის ნაღვაწის დაფასება იმდაგვარად, როგორცაა ჩაფიქრებული, არა მარტო ვალია ჩვენი, ვალდებულებაცაა!

იზოლდა წიქარიშვილი,
მესხეთის დრამატული თეატრის სამხატვრო საბჭოს ყოფილი წევრი;

ზურაბ გოჭორიშვილი,
გადამდგარი პოლკოვნიკი;

პავლე ნარიმანიშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი;

ლუკა მესხი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი;

მარინე აბაშიძე,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი;

ვლადიმერ ზედგინიძე,
შპს ნათია „77„-ის მენეჯერი;

ნათელა და ვახტანგ კვესიტაძეები,
კულტურის დამსახურებული მუშაკები;

მარია მელიტოსიანი,
„საქპრესის“ სამცხე-ჯავახეთის მენეჯერი;

თეატრის გულშემატკივრები: ***კიმა აკოფიანი, ნაირა ხითარიშვილი, მარინა ვანიშვილი, გიორგი ივანიძე და სხვ.***

სულ 26 ხელმოწერა

განუყოფელი სახელები

მესხეთის თეატრი და ნანა დემეტრაშვილი განუყოფელ ცნებად იქცა ჩვენს სათეატრო თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იმდენად ორგანული აღმოჩნდა ეს კავშირი, ნანა თითქოს ამ თეატრის სიმბოლოდ იქცა. ძირძველ ქართულ მიწა-წყალზე ბერიკათა სანახაობებში აღორძინება უწინარესად, მის სახელთანაა დაკავშირებული. ამ მხარის კულტურულ ყოფასა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნანამ ღრმა ხნული გაავლო, რომელზეც ამოიზარდა მშვენიერი ნაყოფი სასცენო ხელოვნებისა, საერთოდ, სანახაობითი კულტურისა. ნანა ბუნებით ენთუზიასტი იყო და ყოველ სახალხო დღესასწაულსა თუ საზეიმო საღამოებს მონდომებით ხელმძღვანელობდა. მესხეთის დრამატული თეატრის ხელმძღვანელი არაერთი აღდგენილი ტრადიციის, სახალხო ზეიმის მოთავეც გახლდათ, რადგან შინაგანად ატარებდა სადღესასწაულო განწყობის მუხტს, რომელიც გადამდებიც იყო და სიხარულის მაუწყებელიც. რომანტიული სული და პრაგმატული გონი, ერთი შეხედვით, შეუთავსებელი მოცემულობა, მის პიროვნულ სამყაროში დაზავებული ჩანდა. ჩემი აზრით, ეს იყო უმთავრესი ნიშანი ხელოვნებაში მისი ცხოვრების ფორმისა.

რეჟისორობა მამაკაცურ პროფესიად ითვლება, რეჟისორი ქალბატონი – იშვიათი მოვლენაა. ეს მსოფლიო სასცენო თუ კინოხელოვნებამაც დაადასტურა. ნანა დემეტრაშვილი ამ იშვიათ გამონაკლისთა გუნდის წევრია. იგი საგანგებო ბედისაც აღმოჩნდა და ტრადიციული სათეატრო ინტრიგის მსხვერპლიც შეიქმნა – საკუთარ თავზე გამოსცადა ბერიკათა აღტყინების სიხარულიცა და ბედის ტრიალის სიმუხთლეც.

ორივეს გაუძლო, რადგან შინაგანი სამყარო ციხესიმაგრესავით ჩაკირული ჰქონდა. წარმატების გაძლებისა და ჭირთა თმენის უნარიც აღმოაჩნდა, თუმცა ადვილი გადასატანი არ აღმოჩნდა ცხოვრების ჩარხის წაღმა-უკუღმა ტრიალი. ნანა ბუნებით ოპტიმისტი იყო, თუმცა, ზოგჯერ, ქალური სისუსტეც იჩენდა თავს და ბედისადმი საჩივარიც წასცდებოდა ხოლმე (ეს იშვიათად ხდებოდა)...

ნანა საინტერესო ბედის ადამიანი იყო იმითაც, რომ თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის იმ ჯგუფში, 1958 წელს რომ გახდნენ სტუდენტები, ერთადერთი მანდილოსანი აღმოჩნდა. ათი ვაჟი და ერთი ახტაჯანა გოგო! ბიჭები ამ დაუდგრომელ გოგონას ქალადაც ვერ აღიქვამდნენ, – ექცეოდნენ, როგორც ძმაკაცს. გამორჩეული გახლდათ გარეგნობითაც. უძველესი ხელოვნების წარმომადგენელი „ძველმოდური“ ვარცხნილობითაც იპყრობდა ყურადღებას. მას თითქმის თავისივე სიგრძის მაჯის სიმსხო ნაწნავი ამშვენებდა, რომელიც თავზე ჰქონდა შემოხვეული. ასე განვლო ცხოვრება XX საუკუნის მეორე ნახევარში – ულტრა თანამედროვე სპეციალობითა და ძველმოდური გარეგნობით. ასე განვლო ცხოვრება, ვიდრე უკურნებელმა სენმა არ შეინირა მისი დაუდგრომელი ენერგია და მაჯის სიმსხო გრძელი ნაწნავიც.

ნანას ჯგუფი საინტერესო აღმოჩნდა: ორმა კინემატოგრაფია აირჩია სამოღვაწეოდ (გელა კანდელაკი, კოტე კერესელიძე), რეზო წულუკიძე საბალეტო ხელოვნებაში დამკვიდრდა, ხუტა ჯოპუა და ზაურ ჭანბა აფხაზურ თეატრში მოღვაწეობდნენ. სამნი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდნენ თეატრებს (ნიკა ჯანდიერი, ედგარ ეგაძე, გია ანთაძე); ორმა – დედაქალაქში ახალი თეატრები შექმნა (მეტეხის – სანდრო მრევლიშვილმა, ახმეტელის – ლერი პაქსაშვილმა). ნანა მათს შორის გამორჩეულია – იგი სრულიად ახალგაზრდა 17-20 წლის მსახიობთა გუნდს ჩაუდგა სათავეში, არ შეუშინდა სოციალურ თუ პროფესიულ სიძნელეს და უდიდესი პასუხისმგებლობით იტვირთა მამულიშვილობის მძიმე ხვედრი – იქ, სადაც იწყება საქართველო, იქ, სადაც ჭრელი მოსახლეობის გამო ქართულ ენას „მოკრძალებული“ ადგილი ჰქონდა განკუთვნილი, – მშობლიურ სალიტერატურო ენას კუთვნილი მდგომარეობა უნდა აღედგინა! ეს არ გახლდათ მხოლოდ თეატრის აღდგენა! ეს ეროვნული მნიშვნელობის აქცია გახლდათ და ყმაწვილმა ქალბატონმა მამულიშვილობის ჯვარი მტკიცედ ატარა, თითქმის ორი ათეული წელი მეთაურობდა მესხეთის სახელმწიფო თეატრს, მთელი ამ მხარის კულტურული ყოფის მონაწილე – შემოქმედი შეიქმნა.

ნანა დემეტრაშვილმა გააგრძელა ის ტრადიცია, რომელიც ახალი ტიპის ქართველმა რეჟისორებმა შექმნეს (ალექსანდრე წუწუნავა, მიხეილ ქორელი, ვალერიან შალიკაშვილი, აკაკი ფაღავა), მათ სრულიად საქართველოს მასშტაბით „გაშალეს“ საქმიანობა და თავიანთი რეჟისორული მოღვაწეობით შეამზადეს ნიადაგი ქართული რეჟისორული თეატრის შენებისათვის. ნანა მათი უშუალო შთამომავალიცაა. მამულიშვილობა ლიტონი სიტყვა არ არის, საქმით და მხოლოდ საქმით დასტურდება ბუდობს თუ არა ხელოვანში მოღვაწის პასუხისმგებლობის მუხტი. იმ პირობებში ნანას რომ მოუწია ახალციხეში მოღვაწეობა, უკვე ნიშნავდა, რომ მას ესმოდა რა მნიშვნელობისა იყო ამ კუთხეში ქართული თეატრის აღორძინება და იქ, სადაც იწყება საქართველო – ლიტერატურული ქართულით მეტყველება! – მშობლიურ სალიტერატურო ენას საჯარო-სამოქმედო ასპარეზი შეექმნა! ეს გახლდათ უპირველესი მისია ახლადშექმნილი დასისა.

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ნანამ სპექტაკლები დადგა ალ.გრიბოედოვის სახელობის თეატრშიც, მაგრამ მისი რეჟისორული მოღვაწეობა მესხეთის თეატრში განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა და განსაზღვრა კიდეც დასის ხელოვნება ორი ათეული წლის მანძილზე. პედაგოგების – მიხეილ თუმანიშვილისა და გიგა ლორთქიფანიძის აღზრდილმა, ახალციხის ახალგაზრდულ დასში დანერგა უმნიშვნელოვანესი პრინციპები – მოქალაქეობრივი სიმტკიცე, თეატრის ერთგულება, პატრიოტიზმი და თავგანწირული შრომის კულტი.

იქ, „სადაც იწყება საქართველო“, ქართული ძარღვიანი სიტყვა ომახიანად აჟღერდა სცენაზე! ნანა დემეტრაშვილის სპექტაკლები – ოთარ ჩხეიძის „თევდორე“, შილერის „ყაჩაღები“, მოლიერის „ტარტიუფი“, აკაკი გენაძის „პაემანი ცაში“, ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ – არა მარტო მესხეთის თეატრის, არამედ, სრულიად ქართული თეატრის შენაძენია.

ოცი წლის მანძილზე მესხეთის თეატრის სცენაზე მან დადგა სამოცზე მეტი სპექტაკლი და წარმატებული საგასტროლო მოგზაურობით დასმა შემოიარა მთელი საქართველო, ესტუმრა თბილისსა და მოსკოვს.

ნანა დემეტრაშვილმა შემდგომ სპექტაკლები განახორციელა საზღვარგარეთ – ბულგარეთში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის რუსთავისა და ჭიათურის თეატრების სცენაზე. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას შოთა რუსთაველის სახელობის თეტრისა და კინოს უნივერსიტეტში. ქართულ თეატრს აღუზარდა არაერთი მსახიობი.

უკურნებელმა სენმა ჩამოაშორა ქალბატონი ნანა საყვარელ საქმეს, მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მისი უპირველესი საფიქრალი ოჯახთან ერთად თეატრი და მისი მომავალი იყო.

2011 წლის 13 აგვისტოს შეწყდა მამულისა და ქართული თეატრის მოყვარული, მოამაგე რეჟისორის გულისფეთქვა.

ნანა დემეტრაშვილის სახელი და შემოქმედება განუყრელადაა დაკავშირებული XX საუკუნის II ნახევრის ქართულ თეატრთან.

დღესაც კი, მესხეთის თეატრი და ნანა დემეტრაშვილი განუყოფელი ცნებებია!

დაბოლოს. მხარს ვუჭერ გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში“ გამოქვეყნებულ ინიციატივას, ნანა დემეტრაშვილის ღვაწლის აღსანიშნავად, მესხეთის თეატრს მიენიჭოს მისი სახელი.

ნათელა არველაძე,
თეატრმცოდნე

ნანას დაბრუნება

მე მისი პირველი მაყურებელი ვარ. მახსოვს და კარგად ვიცნობ მის ყველა თაყვანისმცემელს ახალციხეში და ჩვენ თანამოქალაქეობის გარდა, ნანა დემეტრაშვილიც გვაერთიანებს, რადგან ნანა სწორედ ის ადამიანი იყო, მეხთატეხასავით რომ გაარღვია ჩვენი ცხოვრების რუტინა და დღესასწაულად აქცია იგი.

არასოდეს დამავიწყდება მისი პირველი როლი სპექტაკლში – „დრო – 24 საათი“, – კომისარ ქალს თამაშობდა. მახსოვს პირველიდან ბოლო სპექტაკლამდე მისი ყველა გამოსვლა ქალაქში, მოხდენილობა, არაჩვეულებრივ ენერგიას შერწყმული გარეგნობა, ულამაზესი შავი გიშერივით თმის წნული, განუმეორებელი პლასტიკა ცეკვა „ლეკურში„; მახსოვს ყველა ის დღესასწაული, რომელიც მან აჩუქა მესხეთს თავისი სპექტაკლებით, რითაც დედაქალაქს მოწყვეტილ მხარეში კულტურული ცხოვრება შემოჰქონდა და ამითაც გვაკავშირებდა ცენტრთან.

ჩემს მეხსიერებას მადლიერებით შემორჩა ეს მშვენიერი და ნიჭიერებით აღსავსე ქალბატონი და ძალიან მინდა, რომ იგი ქალაქის ხსოვნაშიც დარჩეს; ეს დაიმსახურა როგორც ქალბატონმა ნანამ, ასევე ამ ქალაქმაც, რომელმაც დიდი სიყვარულით შემოინახა მისი სახე. სამწუხაროა, რომ იგი ჩვენს შორის აღარაა და ამიტომაც, უპრიანია, მის ხსოვნას მივაგოთ პატივი.

ვეთანხმები გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში“ გამოქვეყნებულ ინიციატივას – მესხეთის თეატრის შენობის წინ გაიხსნას მისი სახელობის ვარსკვლავი და თეატრს მიენიჭოს ნანა დემეტრაშვილის სახელი.

თაყვანისმცემელთა სახელით,
ნინო ბლუაშვილი

ყოფილ ბაკურიანელ დეპუტატში მალალი მწვრთველები

დიდი ხანია ვაპირებდი ნარკვევის დაწერას ლეგენდარულ კობა წაქაძეზე, ადამიანზე, რომელმაც ქართული სპორტის მთელი ეპოქა შექმნა, კერძოდ, სამთო-სათხილამურო სპორტის ისეთი ვაჟკაცური სახეობის განვითარებაში, როგორიცაა თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა.

სულ ვფიქრობდი, ვაითუ ისეთი წერილი არ გამომივიდეს, რასაც ჩემი დიდი ხნის უფროსი მეგობარი იმსახურებს-მეთქი. ბოლოს გავბედე და მკითხველის სამსჯავროზე გამოვიტანე ქართულ სპორტში დამაშვრალი ადამიანის განვლილი ცხოვრების ისტორია. მწამს, ახალგაზრდებისთვის ნამდვილად არ იქნება ურიგო კობა წაქაძის ბიოგრაფიის და სპორტული მიღწევების გაცნობა.

ყოფილხართ ბატონი კობას სახლში, რომელიც მუზეუმის ფუნქციასაც ასრულებს? თუ არ ყოფილხართ, ბევრი რამ დაგიკარგავთ. პირადად მე არაერთხელ ვყოფილვარ მის მუზეუმში, სადაც წლების მანძილზე დიდ სპორტში ასპარეზობისას მის მიერ მოპოვებული ჯილდოებია გამოფენილი. 200 კვადრატულ მეტრიან უშველებელ დარბაზში, იატაკიდან ჭერამდე, კედლებზე ლამაზად მოწყობილ თაროებზე, ჩამწკრივებულია უშეღავათო სპორტულ ბრძოლებში მოპოვებული თასები, მედლები, სამახსოვრო პრიზები, ვიმპელები, თხილამურები, მის შესახებ სხვადასხვა ენაზე გამოცემული წიგნები, გაზეთები და, რა ვიცი, რას არ ნახავთ ამ მუზეუმში.

– ადგილი საკმარისი არაა, ბევრი ჯილდო და პრიზი ჩემოდნებსა და ყუთებში მაქვს ჩაწყობილი, ნაწილი კი მიწისძვრის დროს დაიმსხვრა, – ჩვეული თავმდაბლობით მითხრა კობამ.

ბატონ კობას მიმდინარე წლის 18 აგვისტოს დაბადებიდან 80 წელი უსრულდება. ასაკს არ ემორჩილება სპორტულ ბრძოლებში გამობრძმედილი ვაჟკაცი, იგი ახლაც ახალგაზრდული ენერგიითაა აღსავსე.

შეხვედრისას მოგეფერება, ოჯახის ამბებს გამოგკითხავს, გულიანად დაგლოცავს და... მოგიყვება თავს გადამხდარი სპორტული პერიპეტიების ისტორიას. თავისებური ხიბლი აქვს მის საუბარს. სულ ,,გენაცვალეს~, ,,შენი ჭირიმეს“და ,,სიყვარულს“აფრქვევს, ერთ რამედ ღირს მის მიერ განვლილი ცხოვრების ისტორიის მოსმენა...

ბავშვობაში ოჯახს უჭირდა და ცხვარ-ძროხას მწყემსავდა. მამა გაუკულაკეს, მერე დაიჭირეს, გადაასახლეს. 36 წლისა გარდაიცვალა. დედას ედგა მხარში და ეხმარებოდა. შრომა არ ეზარებოდა და, მამის ალერსს მოკლებული, დედის, ბიძის და ახლო ნათესავების დახმარებით ცხოვრობდა. 6-7 წლის ყმაწვილი თავის ტოლ ამხანაგებთან ერთად დასდევდა შეკრებაზე ჩამოსულ სპორტსმენებს, აკვირდებოდა მათ ვარჯიშებს. იმხანად, ისინი ძველ ტრამპლინზე ვარჯიშობდნენ... გამოცდილი სპორტსმენებისგან ბევრს სწავლობდა. მისი პირველი მწვრთნელი და მასწავლებელი არამ ადამიანცი 5-10 მეტრიან ტრამპლინზე სხვებთან ერთად ავარჯიშებდა.

ბიძამისმა – სოგრატ კოზანაშვილმა, პირველად დააყენა თხილამურებზე. ის თხილამურები ყავარს ან ღობის ფიცარს უფრო ჰგავდა. თანატოლებს შორის 4 წლის კობამ 400 მეტრიანი ტრასა პირველმა გადაკვეთა და ჯილდოდ... შოკოლადის ორი ფილა მისცეს.

– გენაცვალე, რომ წამოვიზარდე, შოკოლადი მერე კი მქონდა, მაგრამ ბავშვობაში ,,კოპტონიც“და მახრჩობელა პანტაც ბევრი მიჭამია, – ეს უკვე მძიმე ბავშვობის გახსენებაა.

...პირველ ოფიციალურ შეჯიბრებამდე კობა გულმოდგინედ ვარჯიშობდა და 17 წლის ახალგაზრდა რუსეთში სოფლის ახალგაზრდობის ჩემპიონატზე წაიყვანეს საასპარეზოდ. 47 მეტრზე გადახტა, ჩემპიონი გახდა და ტრამპლინის რეკორდიც დაამყარა. კობა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო ნაკრებში ჩარიცხეს. ორი წლის შემდეგ მოსკოვის საერთაშორისო შეჯიბრებაზე მეოთხე ადგილი დაისაკუთრა და საბჭოთა მხტომელებს შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა.

19 წლის კობა საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩაირიცხა და მას შემდეგ 21 წელი ნაკრების უცვლელი წევრი იყო. სწორედ კობა იყო საბჭოთა კავშირიდან უცხოეთში გასული პირველი სპორტული ბრენდი, რომელსაც ამერიკელები ერთ მილიონ დოლარს სთავაზობდნენ იმ დროს, როცა პელე 800 ათას დოლარად იყო შეფასებული.

კობამ ფულზე არ გაყიდა სამშობლო, მშობლიური ბაკურიანი, არ წავიდა უცხოეთში, მისთვის იოლი არ იყო სამშობლოს მიტოვება. აქ, ბაკურიანში ეგულებოდა დედა, ძმა, ნათესავები...

ბატონი კობა, საოცარი ნიჭის გამო, საბჭოთა სისტემამ თითქმის უპრეცენდენტო უფლებებით შემოსა.

– 1953 წლიდან, საბჭოთა კავშირის სპორტის კომიტეტის ხარჯებით, ვცხოვრობდი და ვმოგზაურობდი, – სიამაყით მეუბნება კობა და კვლავ აგრძელებს საუბარს სპორტული ცხოვრების შესახებ. უფრო მეტიც, როცა ,,დიდი კობა წაქაძე“გახდა, მისთვის სპეციალურ ბიუჯეტს ადგენდნენ. მთელი თავისი სპორტული კარიერის მანძილზე უცხოეთში უწევდა მოგზაურობა, იმდენად პოპულარული იყო, ავტოგრაფის ნაცვლად ათასობით დაბეჭდილ თავის სურათს ურიგებდა გულშემატკივრებს. შეჯიბრებიდან მხოლოდ გამარჯვების აღსანიშნავად მოპოვებული მედლებისა და თასების წამოღების უფლებას აძლევდნენ, ხოლო საპრიზო თანხა საელჩოების მეშვეობით საბჭოთა ბიუჯეტში ირიცხებოდა.

საზღვარგარეთ პრიზად სამი მანქანა მოიგო, არც ერთი არ მისცეს. იმ დროს ეს საქციელი საბჭოთა სპორტსმენისთვის შეუფერებელი იყო.

კობა წაქაძეს წლების მანძილზე სახელმწიფოს ხარჯზე დაჯავშნილი ჰქონდა მოსკოვში სასტუმრო ,,მეტროპოლის“ნომერი, მაგრამ იგი სულ ბაკურიანისკენ იწევდა, ზამთრისთვის ხან თივის მოთიბვას იმიზეზებდა, ხან – შეშის დაჩეხვას. სავარჯიშო შეკრებებიდან იშვიათად ათავისუფლებდნენ, წელიწადში ორი-სამი კვირით თუ გამოუშვებდნენ. ეს მისთვის დიდი სიხარული და ბედნიერება იყო.

ბუნებრივად, იბადება კითხვა – მაინც რატომ იყო ასე მიღებული და დაფასებული საბჭოთა ნაკრებში ბაკურიანელი მხტომელი, რით დაიმსახურა ორი ათეული წელი საბჭოთა კავშირის ნაკრებში ყოფნა, ნუთუ ვებერთელა რუსეთში კობას შემცვლელი ვერ გამონახეს?

საქმეც ისაა, რომ ვერ გამონახეს! კობა საუკეთესო იყო ნაკრებში. მიუხედავად იმისა, რომ მას ბედი არ სწყალობდა, ხშირად დახტომისას ეცემოდა და უიღბლობაც თან სდევდა. ტაშს მაშინაც უკრავდნენ, როცა ტრავმირებული მოედნიდან გაჰყავდათ და მაშინაც, როცა სხვები იმარჯვებდნენ. მაყურებელთა და გულშემატკივართა აღფრთოვანების მიზეზი მარტივი იყო – კობას ხტომის სტილი ყველა ცნობილი მხტომელისაგან განსხვავებული ჰქონდა.

1958 წელს გაზეთი ,,თაიმსი“წერდა: **,,წაქაძემ თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომის ახალი სტილი გამოიგონა. ჰაერში ის საერთოდ არ იხრება წელში. მისი სხეული გამართული და მოშვებულია. ისე იხრება წინ, რომ მისი სახე თითქმის თხილამურების წვერს ეხება, ხელები სხეულის გასწვრივ უწყვია, თავი მაღლა აქვს აწეული, თხილამურების სამაგრები ისე აქვს მოჭერილი, რომ მხოლოდ ფეხის წვერებით ეხება თხილამურების ზედაპირს, ის ძალიან შორს ხტება და მისი ფრენა საოცრად ლამაზია~.**

კობა წაქაძის სპორტული ცხოვრება მეტად მრავალფეროვანი და შთამბეჭდავია. 18 წლის ახალგაზრდამ პირველი საერთაშორისო ნათლობა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ შპინდელლუკში მიიღო, სადაც ტრამპლინის რეკორდი დაამყარა – 73 მეტრზე იფრინა, კობას ეკუთვნის ინსბურკის ტრამპლინის რეკორდი – 79,5 მეტრი. განსაცვიფრებელი სილამაზის ნახტომის გამო, ბევრი სპეციალისტი გააოგნა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ინსბურკის მერმა სპეციალური პრიზი – ვერცხლის თასი გადასცა.

მეორე დღეს გაზეთები აჭრელებული იყო კობასადმი მიძღვნილი სახოტბო წერილებით... **,,კობა წაქაძე ნახტომს ძალიან ლამაზად ასრულებს, მისი ფრენის სტილი საუცხოოა, ხტომის დროს იგი თხილამურებზე იხრება, მისი ნახტომი პირველად ვიხილეთ და, უნდა ითქვას, მან ფინელებსაც კი აჯობა“**– წერდა გაზეთი ,,*ტოროლდ ტაიგეს ცაიტუნგი~*, ხოლო გაზეთმა ,,*ზალცბურგ ნაჰრიტენმა*“კობაზე მიძღვნილ წერილს სათაურად გაუკეთა – **,,კობა წაქაძის ავაზისებური ნახტომი~.**

როგორი ეპითეტებით არ იყო შემკული კობა: **,,მფრინავი ტორპედო~, ,,ცის მოიერიშე~, ,,სამხრეთელი ავაზა**“და ა. შ.

1956 წელს კობა მთელმა საქართველომ გააცილა იტალიაში ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისათვის. კორტინა დამპეცოში დებიუტი ნამდვილად წარმატებული იყო, კობა ყველაზე შორს – 82,5 მეტრზე გადახტა, მაგრამ დაეცა. მეორე ნახტომი ერთი მეტრით გააუმჯობესა, მაგრამ იღბალმა აქაც უმტყუნა. კობა მეთერთმეტე ადგილზე გავიდა. ჩემპიონი ფინელი გახდა (81 და 82). საბჭოთა ნაკრებში კობა საუკეთესო იყო. იმავე წელს კი ქ.კიროვსკში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა და ქალაქის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

მომდევნო წელს კობამ ზედიზედ რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრი მოიგო ფინეთში, ნორვეგიაში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, კანადაში. საკავშირო ჩემპიონატში იმ წელს მეორე იყო.

სტატისტიკის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ კობა თავისი სპორტული კარიერის მანძილზე ექვსჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, სამჯერ მოიპოვა სსრ კავშირის თასი, ოთხჯერ მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებში, ექვსჯერ იასპარეზა მსოფლიო ჩემპიონატში. სულ უცხოეთში 327 ტურნირში მონაწილეობდა, აქედან 54 ტურნირი მოიგო, ყველაზე შორი ნახტომი ობესდორფის ტრამპლინზე შეასრულა – 167 მეტრზე გადახტა, ეს შედეგი მხოლოდ 9 წლის შემდეგ გააუმჯობესეს.

ბატონი კობა შეუდარებელი იყო 1968 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც, მაგრამ უიღბლობამ აქაც იჩინა თავი. ფინეთის ქალაქ ლახტში კობა ყველაზე შორს გადახტა (78,5 და 74,5 მ), მაგრამ წონასწორობა დაკარგა, დაეცა და მხოლოდ მეშვიდე ადგილზე გავიდა. მსოფლიოს ჩემპიონი ფინელი კიარ კინენი გახდა, რომლის ნახტომები შესაბამისად მხოლოდ 72,5 და 68,5 მეტრი იყო.

ფინეთის შემდეგ კობამ გაიმარჯვა ნორვეგიის, ჩეხოსლოვაკიის და შვეიცის ტურნირებში.

1960 წელს უძლიერესი მხტომელები ამერიკის ქალაქ სკვო ველში შეიკრიბნენ ოლიმპიურ თამაშებზე. კობასგან აქაც ოქროს მედალს ელოდნენ (მანამდე კობა ქ.ტომსკში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა და ძირითადი კონკურენტები კამენსკი და შამოვი დიდი უპირატესობით დაამარცხა), მაგრამ კობას ფორტუნამ აქაც უმტყუნა და მხოლოდ მეექვსე-მეშვიდე ადგილზე აღმოჩნდა.

მომდევნო წელს კობამ 15 საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და თითქმის ნახევარში ბრწყინვალედ გაიმარჯვა.

1962 წელს პოლონეთის ქალაქ ზაკოპანეში მსოფლიო ჩემპიონატზე მეოთხე ადგილს დასჯერდა, თუმცა, აქაც ჩემპიონზე ბევრად შორს გადახტა.

1964 წელს ზამთრის ოლიმპიური თამაშები ავსტრიის ქალაქ ინსბურკში გაიმართა. აქ კობა ნამდვილად გადაღლილი იყო და, შესაბამისად, მე-17-მე-18 ადგილი დაისაკუთრა. სამაგიეროდ, 1965 წელს ტრამპლინიდან ხტომის 20-მდე ტურნირში გაიმარჯვა. 1966 წელს კობა სსრ კავშირის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა, თუმცა ოსლოს მსოფლიო ჩემპიონატზე მაინც არ წაიყვანეს. კობა ბაკურიანში დაბრუნდა... მალე აქაც ჩამოაკითხეს და საასპარეზოდ სასწრაფოდ წაიყვანეს ოსლოში. მან პირველივე ნახტომით ყველას აჯობა, მერე თოვლი წამოვიდა და... მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა.

სამწუხაროდ, კობა ვერც ჩეხოსლოვაკიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე და ვერც საპოროს 1972 წლის ოლიმპიადაზე გახდა ჩემპიონი, თუმცა მსოფლიოს საუკეთესო მხტომელთა ათეულში მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი.

საგაზეთო წერილში ბატონ კობა წაქაძის წარმატებებზე საუბარი შეუძლებელია. ალბათ, უპრიანი იქნება, მისი სპორტული ბიოგრაფია წიგნად დაიწეროს.

მკითხველს კი შევახსენებთ, – კობამ შეჯიბრებაში 1974 წელს ქალაქ კიროვსკში, 40 წლის ასაკში, უკანასკნელად მიიღო მონაწილეობა და საბოლოოდ გამოემშვიდობა დიდ სპორტს. რას იზამ, ასაკს თავისი კანონები აქვს.

ფაქტია, კობას ქრონიკულმა ტრავმებმა და უიღბლობამ ხელი შეუშალა კიდევ უფრო უკეთესი შედეგე-

ბის მოპოვებაში, მაგრამ, რასაც მიაღწია, ისიც დიდი გამარჯვებაა.

უცხოური პრესა ყველაზე მეტ საქებარ სიტყვებს კობას უძღვნიდა. სპეციალისტებს და ჟურნალისტებს მისი ლამაზი ნახტომები აოცებდათ. ისიც აღსანიშნავია, რომ უცხოეთის სამთო-სათხილამურო სკოლებში მოზარდებს სპეციალურ გაკვეთილებს უტარებდნენ, რომელსაც **„წაქაძის ხტომის სტილი“**ეწოდებოდა. ბავშვებს პატარაობიდან აჩვევდნენ წაქაძის არაორდინალური ხტომის სტილის დაუფლებას და პრაქტიკაში ნერგავდნენ მის გამოცდილებას.

ოლიმპიური ჩემპიონი, დანიელი **შელდერუპი** კობას შესახებ წერდა: **„იგი საერთოდ არ ხრის ტანს, თავი უჭირავს გამართულად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე... მისი სახე თხილამურებიდან ორი ფუტითაა დაშორებული. ის შორ მანძილზე ხტება და ფრენა მეტად ლამაზია. ჩვენ ყოველთვის ვოცნებობდით ისე ლამაზად გვეხტუნა, როგორც კობა აკეთებდა, ბევრი კიდეც მივუახლოვდით მის სტილს, მაგრამ ოლიმპიურმა ჩემპიონებმაც ვერ შევძელით, იქნებ იმიტომ, რომ წაქაძე ძალიან მამაცი და გამბედავია~.**

კობა დამარცხების შემთხვევაშიც ხალისიანი და ლაღი იყო, ამიტომ მეტოქეებს ძალიან უყვარდათ.

ჩეხოსლოვაკიელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ირჟი რაშკამ** შესანიშნავი წიგნი დაწერა თავის სპორტულ ცხოვრებაზე. სპორტულ მეტოქეებს შორის ყველაზე კარგად კობაზე წერს: **„საბჭოთა მხტომელებიდან განსაკუთრებით გამოვყოფ კობა წაქაძეს, – უდავოდ ყველაზე სიმპათიურ მეტოქეს. როდესაც იგი ჰაერში აიჭრებოდა, მავიწყდებოდა, რომ მეც შეჯიბრების მონაწილე ვიყავი. მართლაც საუცხოო სტილისთვის – შესანიშნავი არეკვნისათვის, ძლიერი დახრისათვის და ჰაერში ორიგინალური დგომისათვის კობას „მფრინავ ტორპედოს“ვუწოდებდით. სამწუხაროდ, მასაც ჰქონდა სუსტი ადგილი – დაშვება. წაქაძე დიდი პოპულარობით სარგებლობდა მხტომელებში, რადგან მისი ოსტატობა, შემართება, არნახული ენთუზიაზმი და სიყვარული თხილამურებისადმი, მართლაც სამაგალითო იყო ყველასთვის...~.**

კობას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა აქ, სამშობლოში და, იქ, საზღვარგარეთაც. დიდი სპორტიდან რომ წავიდა, ხშირად მსაჯად და შეჯიბრების კომისრად იწვევდნენ. ერთხელ, პოლონეთში ყოფნისას, მასთან სიმპათიური მამაკაცი მივიდა და მორიდებით უთხრა: – *პან წაქაძე, როცა თქვენ ასპარეზობდით, მე კრაკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი და ხშირად თქვენი ხტომების საყურებლად ლექციებს ვაცდენდი,* – მერე თბილად გამოემშვიდობა და წავიდა. კობამ იკითხა იმ კაცის ვინაობა და ძალიან გაოცდა, როცა უთხრეს, – *პოლონეთის პრეზიდენტი კვაშინსკიაო.*

2007 წელს მის სპორტულ მეტოქეს – გერმანელ **რეკნაგელს** დაბადების 70 წელი შეუსრულდა. სახელოვან სპორტსმენს მთელმა გერმანიამ გადაუხადა იუბილე. საპატიო სტუმრებს შორის კობაც იყო მიწვეული. ყველა მუზეუმში წაიყვანეს და მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სპეციალური სტენდი კობას საპატივსაცემოდ იყო მოწყობილი.

– *სიხარულით ცას ვეწიე, თავი ვერ შევიკავე და ვიტირე. პატარა საქმე ხომ არაა, გენაცვალე, ჩემი დიდ სპორტში გამოსვლიდან 34 წელი იყო გასული და ხალხს კიდევ ვახსოვდი და ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი სიამაყე,* – ამბობს ღვაწლმოსილი სპორტსმენი და განაგრძობს: *ბევრი მაქებდა ჩემი ხტომის სტილისთვის, ზოგიც მაკრიტიკებდა, ხტომის მისეული სტილი თავისდაუნებურად აღმოაჩინაო, მაგრამ ასე არაა, გენაცვალე, ამ სტილს ბავშვობიდან დავეუფლე, როცა საქონელს მწყემსად დავდევდი. სწორედ მაშინ ვნახე არწივის ნადირობა – მსხვერპლის დანახვისას კისერს წაიგრძელებდა, ფრთებს შეკუმშავდა და ტყვიასავით იწყებდა დაშვებას. ვარჯიშის დროს მექანიკურად დავიწყე ხელები სხეულის გასწვრივ და გამომივიდა...*

ბატონო კობა, რაზე ფიქრობდი, როცა გადმოსახტომად ემზადებოდი? – არ ვასვენებ კითხვებით.

– *სახტომ ბოგურაზე რომ დავდგებოდი და ჩემს გვარს გამოაცხადებდნენ, მაყურებელი ტაშს მიკრავდა ხოლმე. გული ამიჩქროლდებოდა, გამაჟრიალებდა და ჩემს თავს შევუძახებდი: აბა, კობა, თავითაც რომ დაერჭო, მაინც ყველაზე შორი და ყველაზე ლამაზი ნახტომი უნდა აჩვენო, შენი სამშობლო – საქართველო, მშობლიური ბაკურიანი უნდა ასახელო. სულ ეს იყო, გენაცვალე, მეტი რა გითხრა, რომ დავცემულიყავი, მაინც ოვაციას მიმართავდნენ და ხელში აყვანილი გავყავდი ხალხს. როცა ხალხი ასე გაფასებს, უფლება არ გაქვს, კარგად არ იასპარეზო და მეც ბოლომდე ვიხარჯებოდი.*

კობასთან საუბარი ერთ რამედ ღირს, – მიკვირს, როგორ ახსოვს თავს გადამხდარი უამრავი თავგადასავალი და კურიოზი. მის მუზეუმში უამრავი ჯილდო, პრიზი თუ საჩუქარია, ზეპირად იცის თითოეულის ისტორია.

– *ეს თასი ფინეთის პრეზიდენტმა ურხო კეკონენმა გადმომცა, როცა მასთან მიღებაზე საბჭოთა მხტომელებიდან მხოლოდ მე ვიყავი მიწვეული. აი, ეს ჭიქა კი იუგოსლავიის ცეკას მდივანმა ბროზ ტიტომ მაჩუქა თავის სახლში,* – იხსენებს კობა.

ნორვეგიაში ასპარეზობის შემდეგ მარტო მას ჰქონდა საშვი, რომლითაც ყველგან ურიგოდ შეეძლო შესვლა.

კობა წაქაძე განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა, როგორც საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელობაში, ისე საზღვარგარეთ.

ის დიდი პატივით მიიღო ნორვეგიის მეფემ, ფინეთის პრეზიდენტმა, პოლონეთში – გომულკამ, ჩეხოსლოვაკიაში – დუბჩეკმა, კანადის პრემიერ-მინისტრმა, იუგოსლავიაში – ბროზ ტიტომ, ამერიკაში – რიჩარდ ნიქსონმა, იაპონიაში – იმპერატორმა ხიროხიტომ, გერმანიის კანცლერმა ადენაუერმა, საბჭოთა ლიდერებმა და, ვინ მოსთვლის, სად არ იყო და ვის არ შეხვდა.

– *გერმანიაში უშველებელი „მერსედესით“წამიყვანეს კანცლერ ადენაუერთან. ახალ შარვალკოსტიუმში გამოწყობილი შევედი მის აპარტამენტში. პირველად იქ გავსინჯე ანანასი. მე კი იმაზე ვფიქრობდი, აქედან რომ გავალ, ახალ ტანსაცმელს ხომ არ გამხდიან-მეთქი. არ გამხადეს, დამიტოვეს, მაგრამ მერე ერთი თვე მატარეს უშიშროებაში, რაზე გესაუბრაო.*

კობა მეტად თბილად იხსენებს **ვასილ მჟავანაძეს:**

– *მასთან კარგი ურთიერთობა მქონდა. სწორედ მის პერიოდში აშენდა ბაკურიანში ტრამპლინები, ჩემი სახლის აშენება მისი დამსახურებაა.*

ერთხელ, მოსკოვიდან თბილისში მოვფრინავდი. აეროპორტში ვზივარ და ვხედავ, ვასილ პავლოვიჩი შემოვიდა დარბაზში, მიცნო, მომესალმა და წავიდა. რამდენიმე ხანში ჩემთან ორი პიროვნება მოვიდა და მითხრა, მჟავანაძემ დაგვავალა, თვითმფრინავის ტრაპამდე მიგაცილოთო. მიმაცილეს, თვითმფრინავით ვასილ პავლოვიჩთან ერთად ვიმგზავრე. თბილისში რომ ჩამოვფრინდით, თავის „ჩაიკაში“ჩამსვა და ბაკურიანში გამომისტუმრა. მართლაც დიდებული პიროვნება იყო, სპორტსმენებს გვაფასებდა, – სიამაყით იხსენებს მჟავანაძესთან ურთიერთობის ეპიზოდებს.

კობა მადლიერია ბორჯომის სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის **ილია ამილახვარის,** განსაკუთრებით საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს **გიორგი სიხარულიძეს** იხსენებს კარგად.

– *ჩემს წარმატებებში უდიდესი წვლილი მიუძღვის რაიონის ყოფილ ხელმძღვანელობას. როცა თვეობით შეკრებებზე ვიყავი, ჩემს ოჯახს უყურადღებოდ არ ტოვებდნენ, ყოველმხრივ ეხმარებოდნენ.*

როცა დიდი სპორტიდან წავედი, ბორჯომის საკურორტო დარბაზში საზეიმო გაცილება მომიწყვეს, დიდი პატივისცემა გამოხატეს ჩემს მიმართ რაიკომის მდივნებმა, – ბატონებმა შოთა ჭალაგანიძემ და ირაკლი გურგენიძემ.

*ახალდაბის საავეჯო ფაბრიკის დირექტორმა ბატონმა **აკაკი მოსიძემ** მეავეჯეები გამომიგზავნა, მუზეუმის კედლები მათი გაკეთებულია.*

ბორჯომის რაიონის საზოგადოებრიობისაგან ყოველთვის ვგრძნობდი ჩემდამი გამოხატულ პატივისცემას და დაფასებას. სევიკო ყიფიანის, ზაურ შერგელაშვილის, გედი ფოფხაძის, რევაზ ლურსმანაშვილის, თენგიზ არუცევის, ვიქტორ ლომიძის და *სხვათა სიკეთის შესახებ ხმამაღლა არასდროს მითქვამს. მათ 7.800 მანეთი შეაგროვეს, ბატონმა ვიქტორ ლომიძემ მოსკოვში ავეჯი მიყიდა და ბაკურიანში ამომიტანა. ამ და სხვა სიკეთის შემდეგ უფლება არ მაქვს ბორჯომისადმი და მშობლიური ბაკურიანისადმი ერთგულება და სიყვარული არ გამოვხატო.*

*სოჭის ოლიმპიადის დაწყების წინ ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე **ლერი ხაბელოვი** თავის თანამშრომლებთან ერთად ბაკურიანში მეწვია და სიმბოლურად ოლიმპიური ნაკრების წევრის ეკიპიროვკა გადმომცა. ეს ჩემი ღვაწლის დაფასებაა და მეამაყება, რომ ხალხს ასე ვუყვარვარ,* – ამბობს ვალმოხდილი ვეტერანი.

ბატონმა კობამ თავისი ნიჭიერებით, დაუღალავი ვარჯიშით და, რაც მთავარია, თავისი კეთილშობილებით მოიპოვა მეგობრების, მეტოქეების, ახლობლების სიყვარული და პატივისცემა.

– *გენაცვალე, თუ ცუდად გადმოვხტებოდი, სხვას ხომ ვერ დავაბრალებდი, მოგებაც ჩემი დამსახურება იყო და დამარცხებაც. გამარჯვებულს გულით ვულოცავდი, ეს სპორტსმენის წესია. ჩემი წილი მედალი სხვას არავის წაუღია, ყველას თავისი მიჰქონდა,* – სიამაყით მეუბნება ჩემი რესპონდენტი.

კობა ღირსეულად წავიდა დიდი სპორტიდან. 40 წლის ასაკში საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა და თასიც მოიგო. იშვიათია ჩვენში დიდი სპორტიდან წასული 40 წლის ასაკის ჩემპიონი.

კობა წაქაძის სპორტში მიღწეულმა დიდმა წარმატებებმა და დამსახურებულმა ავტორიტეტმა, ნამდვილად შეუწყო ხელი საქართველოში სამთო-სათხილამურო სპორტის აღმავლობას. სწორედ მისი მცდელობით აშენდა ბაკურიანის ცენტრში 90,70 და 40 მეტრიანი ტრამპლინები, სადაც ყოველწლიურად საერთაშორისო დონის ტურნირები იმართებოდა, სხვა სიკეთეც ბევრი გააკეთა ბაკურიანში.

ერთხანს, საბჭოთა კავშირის მოთხილამურეთა ნაკრების მწვრთნელიც იყო. წლების მანძილზე კობა ზრდიდა და ავარჯიშებდა ბაკურიანელ ახალგაზრდებს, ამზადებდა მათ დიდი სპორტისათვის. არაერთი შესანიშნავი ტრამპლინიდან მხტომელი აღზარდა. პატარებს თავის ხელით უკეთებდა სახტომ ბოგურებს, უმზადებდა დასაშვებ ტრასებს.

კობა საერთაშორისო დონის კომისარიცაა და არაერთხელ უმსაჯია დიდი შეჯიბრებებისათვის. ამას წინათ გერმანიაში იყო მიპატიჟებული, შეხვდა თავის ძველ მეგობრებს, სამშობლოში დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა, წიგნები ჩამოიტანა, რომლებშიც ვეტერანი მხტომელები კობას დიდების შარავანდედით ამკობენ.

გასული საუკუნის 80-იან წლებში გაზეთ „ბორჯომის“რედაქციის თაოსნობით ორ ტურნირს ჩავუყარეთ საფუძველი. ზამთრობით ბაკურიანში მოზარდებს შორის ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომის შეჯიბრებას ვატარებდით, ზაფხულობით – ქუჩებისა და უბნების ტურნირს ვმართავდით ფეხბურთში. ორივე შეჯიბრი საკმაოდ პოპულარული იყო.

ზამთრის ტურნირის მთავარი მსაჯი ჩვენი რედაქციის ერთგული მეგობარი კობა წაქაძე იყო. აღფრთოვანებული სიხარულს ვერ მალავდა, შეჯიბრს ის ხელმძღვანელობდა. რედაქციის ამ ინიციატივით გამართულ ტურნირში დავაჟკაცდნენ კობას შვილი კახა წაქაძე, ელგუჯა ორჯონიკიძე, იბრაგიმ გობოზოვი, დათო დიაკონაშვილი, სოტიშვილი და მრავალი სხვა. მომდევნო წლებში ეს ახალგაზრდები იცავდნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას.

მერე ქვეყანაში ცხოვრება აირია და ზამთრის სპორტისთვის ვიღას ეცალა. ერთეული ნიჭიერი სპორტსმენები თუ ახერხებდნენ რესპუბლიკის გარეთ გასვლას და იქ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღებას.

კობა მორალურად არ დაეცა და მოზარდებს მაინც ავარჯიშებდა. ახლაც კოხტაგორისა და ტრამპლინების მიდამოების ხშირი სტუმარია. სიცოცხლე ემატება, როცა ბავშვების ფრენას უყურებს. კობას შეეძლო ბაკურიანიდან შორს – მოსკოვში, საზღვარგარეთ წასულიყო, სადაც უზრუნველი ცხოვრება ექნებოდა. არ წავიდა! მშობლიურ ბაკურიანს ვერ მოსცილდა! რომ წასულიყო, ბაკურიანში სპორტული ცხოვრების ის პატარა ნაპერწკალიც ჩაქრებოდა, რომელიც დღეს თანდათან ძლიერდება.

უმადურობა იქნება კობას დიდებულ ოჯახზე არ ვათქვათ ორიოდე სიტყვა.

– *მე რაც შემეძლო, გენაცვალე, ყველაფერი გავაკეთე ჩემი ქვეყნისათვის. ნამდვილად მეამაყება ის, რომ საქართველოდან საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონი მე ვიყავი ტრამპლინიდან ხტომაში, ბოლო ჩემპიონი – ჩემი შვილი, კახა წაქაძე გახდა.*

ეს მართლაც საამაყოა. კახას მამასავით საბჭოთა კავშირის პირველობებზე თავი ნამდვილად არ შეურცხვენია, ბევრი ტურნირი მოიგო. საკუთარი ხარჯებით დადიოდა შეჯიბრებებზე და ოლიმპიურ ლიცენზიებს იგებდა. სამ ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა და, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში ცხოვრობდა, საქართველოს სახელით გამოდიოდა, თუმცა არავითარი დახმარება მისთვის არ აღმოუჩენიათ.

კობას შესანიშნავი მეუღლე, – ქალბატონი მერი ბაკურიანის საბავშვო ბაღს ხელმძღვანელობს. იმ ბაღის არსებობაც კობას დიდი დამსახურების შედეგია.

ორი ვაჟი და ორი ქალიშვილი ჰყავს, ყველა დაბინავებული და დაოჯახებულია. შვიდი შვილიშვილი და შვიდივე ვაჟკაცი ეზრდება, ჯერჯერობით ერთი შვილთაშვილი ჰყავს.

ზემოთ ვთქვი და კვლავ მინდა გავიმეორო, ბატონი კობა ჩვენი გაზეთის და რედაქციის მუშაკთა ერთგული მეგობარი და მხარში მდგომია. გაზეთის არცერთი საიუბილეო თარიღი მისი მონაწილეობის და დახმარების გარეშე არ გამართულა. ნამდვილად გვემაყება უფროსი მეგობრის ჩვენს გვერდით დგომა. გვწამს, ჩვენი მეგობრობა მომავალშიც მტკიცე იქნება.

ბატონი კობა წელს იუბილარია, მალე 80 წლის გახდება. მწამს, მის საიუბილეო თარიღს რაიონის საზოგადოებრიობა ღირსეულად აღნიშნავს. კობა ნამდვილად იმსახურებს პატივისცემას და დაფასებას, თუმცა ხალხის სიყვარული და დაფასება არასოდეს აკლდა.

მინდა არ გამომრჩეს მისი საპატიო რეგალიები.

კობა წაქაძეს მინიჭებული აქვს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება, დასახელებულია საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო მხტომელად, დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის და ღირსების ორდენებით, არჩეულია ბორჯომის საპატიო მოქალაქედ, მისი სახელი მინიჭებული აქვს ბაკურიანის ყველაზე გრძელ, წრიულ ქუჩას და სხვა.

ბატონ კობას სოლიდური ასაკის მიუხედავად, ახალგაზრდული ენერგია ნამდვილად არ აკლია, აქვს მეტად საინტერესო წინადადებები ბაკურიანში ზამთრის სპორტის განვითარების თვალსაზრისით. მის შესახებ სხვა დროს მოგითხრობთ.

დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას ვუსურვებთ ბატონ კობას თავის საყვარელ ოჯახთან, ერთგულ მეუღლესთან, შვილებთან და შთამომავლობასთან ერთად.

ვალერიან ლომიძე,
გაზეთ „ბორჯომის“
რედაქტორი

სერგო მელიქიძე



კიდევ ერთი ნიჭიერი და გულიანი კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან, კაცი, რომელმაც თავისი ცხოვრება სინდის - ნამუსით, სანიმუშო, მისაბაძი გზით იარა და არამარტო ოჯახს, არამედ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს და მთლიანად საქართველოს დააკლდა. 10 აპრილს 71 წლის გახდებოდა...

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო მელიქიძე 70-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, იგი მუშაობდა ჩვენს უნივერსიტეტში დაარსებიდან დღემდე და ცხოვრების ბოლო წლები მის განვითარებას, სტუდენტების აღზრდას მოახმარა, რასაც ქართული ენისა და ლიტერატურის ღრმა ცოდნით, თავისი განუმეორებელი სიმშვიდით, თავდაბლობით, დიდი შემართებითა და სიყვარულით აკეთებდა. ბატონი სერგოსთვის დამახასიათებელი იყო სამაგალითო მეცნიერული კეთილსინდისიერება. ბევრი რამ არის მისაბაძი სერგო მელიქიძის ცხოვრებიდან მეცნიერების ყველა მუშაკისათვის. მისაბაძია, მაგალითად, მისი შეურიგებლობა მეცნიერებაში არაპროფესიულობისა და დილეტანტიზმისადმი. მან კარგად იცოდა, რომ არაფერი ისე არ ამშვენებს ადამიანს, როგორც შრომა. მთელი მისი ცხოვრებაც დაუცხრომელი შრომა იყო მეცნიერებისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ბატონმა სერგომ სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა 1973 წელს დაიწყო. 1973-2006 წლებში თსუ ონომასტიკის ლაბორატორიაში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე მუშაობდა, ხოლო 1990 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე – თსუ მესხეთის ფილიალის (ამჟამად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ფილოლოგიის ფაკულტეტის პროფესორია. მან თბილისსა და სამცხე-ჯავახეთში არაერთი თაობა აღზარდა და აზიარა ქართული ენისა და ლიტერატურის სიღრმეებს, მისი წაკითხული ლექციები დღემდე ახსოვთ და ემახსოვრებათ სტუდენტებსა თუ კოლეგებს. მეცნიერის ღვაწლი და თავდადება დააფასა საქართველოს მთავრობამ და 2000 წელს მიენიჭა ღირსების ორდენი. 2013 წელს კი კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ პრეზიდენტმა „ქართული სულის“ სიმბოლური გამოსახულებითა და ოქროს მედლით დააჯილდოვა მესხეთში მოღვაწე გამოჩენილი პიროვნებები და, მათ შორის, სერგო მელიქიძე, ღრმა ერუდიციისა და მაღალი კულტურის, გამორჩეული შრომისმოყვარეობისა და მეცნიერებისადმი უსაზღვრო თავდადების გამო. სერგო მელიქიძის ნათელი სახელი მუდამ დაამშვენებს ქართული მეცნიერების ისტორიას.

ბატონი სერგო ლექსებსაც წერდა...თავისივე სიტყვებით რომ ვთქვათ – „მთელი ცხოვრება ფუსფუსებს, ჩქარობს, ოცნებობს, ნატრობს სამოთხე ნახოს...“

ასეთი იყო ცნობილი მეცნიერი, – ცხოვრება ფუსფუსში, ირგვლივმყოფებზე ზრუნვაში, დაუღალავ შრომასა და ლამაზ ოცნებებში გაატარა.

„რისთვის ირჯები,
მე შენთან, ალბათ,
არ მაქვს სადაო, არც გასაყოფი;
მკაცრი მსაჯული მოსულა უკვე –
ჟამი ამქვეყნად ყოფნა არ ყოფნის”!

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ადმინისტრაცია და თანამშრომლები დიდი გულისტკივილით ვეთხოვებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, დიდი ადამიანური თვისებებით გამორჩეულ მამულიშვილსა და მეცნიერს, ბატონ

სერგო მელიქიძეს

ამასთანავე სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გაზეთის ერთ-ერთ აქტიური თანამშრომელი – პასუხისმგებელი მდივანი და უერთგულესი მეგობარი, პოეტი და პუბლიცისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

სერგო მელიქიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ფესტივალის ბესტსელერებზე

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში, წერილში – „ერთი დღე გოკიაში“, გამორჩენილია ავტორის – **რობერტ ბერიძის** გვარი, რაზედაც რედაქცია ბოდიშს უხდის მას.

მილოცვა

ახლახან შეჯამდა საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ ახალგაზრდა მწერლებისათვის გამოცხადებული კონკურსის შედეგები, სადაც მონაწილეობდა 200-ზე მეტი შემოქმედი.

კონკურსში მონაწილე 30 საუკეთესოთა შორის აღმოჩნდა სამცხე-ჯავახეთიდან ორი ახალგაზრდა პოეტი – **გივი ნემსაძე** და **უჩა ღონღაძე**.

ჟიურის გადაწყვეტილებით სპეციალური დიპლომი და ფასიანი საჩუქარი გადაეცა **გივი ნემსაძეს**.

გაზეთის – „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია ულოცავს ახალგაზრდა პოეტს ამ დიდ ჯილდოს და უსურვებს ახალ-ახალ წარმატებებს შემოქმედებით სარბიელზე.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2014-15 სასწავლო წელს აცხადებს აპიტურიენტთა მიღებას შემდეგ მიმართულებებზე ასალციხეში:

განათლების, სოციალურ და კუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

- ქართული ფილილოგია,
- ინგლისური ფილოლოგია,
- თურქული ფილოლოგია,
- დაწყებითი განათლება, — 1750
- მასობრივი კომუნიკაცია და ჟურნალისტიკა. — 2250

იურიდიული ფაკულტეტი

- სამართალი,
- საჯარო მმართველობა. — 2250

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

- ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, საბუღალტრო აღრიცხვა, მენეჯმენტი.) — 2250

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

- ინფორმაციული ტექნოლოგიები,
- მათემატიკა,
- ეკოლოგია,
- აგრონომია. — 1500

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას შემდეგ მიმართულებებზე ასალქალაქში:

- ისტორია,
- ქართული ფილოლოგია,
- დაწყებითი განათლება, — 1750
- ბიზნესის ადმინისტრირება. — 2250

არაქართულენოვან აპიტურიენტთათვის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ასალციხეში:

- აზერბაიჯანულენოვანთათვის –40 ვაკანსია,
- სომხურენოვანთათვის –40 ვაკანსია,
- აფხაზურენოვანთათვის –8 ვაკანსია. — 2250

ნუ გაუშვებთ შანსს ხელიდან!

ასალქალაქში:

- აზერბაიჯანულენოვანთათვის –10 ვაკანსია,
- სომხურენოვანთათვის –10 ვაკანსია,
- აფხაზურენოვანთათვის –2 ვაკანსია — 2250

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

- ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირება (IV–V საფეხური)
- ქვისა და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავება (IV-V საფეხური)
- კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (utocad) ოპერატორი (IV საფეხური)
- ბუღალტერი (IV საფეხური)
- სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი (IV საფეხური)
- ფარმაცევტის თანაშემწე (V საფეხური)
- მასაჟისტი (III საფეხური)
- ექთნის თანაშემწე (III საფეხური)
- ინტერნეტტექნოლოგიები (IV საფეხური) (ვებ-სპეციალისტი)

სამაგისტრო პროგრამები:

- ინფორმაციული ტექნოლოგიები,
- ასტრონომია,
- ბიზნესის ადმინისტრირება,
- სისხლის სამართალი,
- საქართველოს ისტორია,
- ქართველური ენათმეცნიერება,
- ქართული ლიტერატურის ისტორია. — 2000

www.sjuni.edu.ge
ახალციხე, რუსთაველის ქ. №106
TEL: 593 55 47 19
ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. №119
TEL: 599 65 70 22

დამფუძნებლები: შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღორძინების რესპუბლიკური ფონდის სახელით და კერძო პირის სტატუსით ავთანდილ ბერიძე;
საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განყოფილება,
ა(ა)იპ-ი ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე – ალ. პუშკინის ქ. №5–ის წინ, მეტრო „თავისუფლების“ გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში – „საქპრესის“ ჯიხურებში

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა „კოლორ-პრინტში“
მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს 43ა
ტელ: 2–93–27–66

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, რამაზ ბერაძე, ვახტანგ ინაური

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 99 97 95 24,
პასუხისმგებელი მდივნის – 99 23 35 84;
lit_meskheti@yahoo.com